# საერთო გაზეთი

№15 (327) ● 29 აპრილი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

20 წლის მერე ევროპამ კარი რომ გაგვიღოს და გვითხრას, ევროკავშირში შემოდითო, რომელ ევროპაში შევლენ ჩემი შვილები და შვილიშვილები — ისლამურ ევროპაში?



ბიძინა ივანიშვილმა შეასრულა დანაპირები და სააკაშვილი გაუშვა ხელისუფლებიდან, დანარჩენი ქართველი ხალხის გასაკეთებელია

**უკრაინული გამოცემის სკანდალური ინფორმაცია — დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი სააკაშვილთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში იღებენ მონაწილეობას?**



**დოკუმენტური ფაქტები ლაურა ლაჭავას და მისი ოჯახური კლანის შესახებ**

რას ითხოვს ე.წ. ტერორისტის ვოვა არუთინიანის დედა ხელისუფლებისგან?





საქართველოში სერიული მკვლელი დადის...

**„შეზიარებულთა“ ქვეყანა**

**ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!**

# ქართული ენერგეტიკის დიდი ღამე



- როდის წარსდგება სასამართლოს წინაშე ზურაბ ნოღაიდელი — ქართული ენერგომაფიის „რუხი კარდინალი“?
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს კვლავ ალექსანდრე ხეთაგური მართავს!
- ვინ გაწმენდს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ძველი კორუმპირებული კადრებისგან?
- სემეკი — ხალხის ინტერესების დამცველი დამოუკიდებელი ორგანიზაცია თუ ენერგომაფიოზების კერძო ინტერესების გამტარებელი „კანტორა“?
- სემეკს და ენერგეტიკის სამინისტროს დღესაც „ნაციონალები“ აკონტროლებენ?!







# საქართველოში სერიული მკვლელი დადის...



ვახტანგ ხარჩილავა

ამ რამდენიმე თვის წინათ ერთი კაცი მესტუმრა რედაქციაში და კარებში შემოსავლისთანავე ეგრევე მომახალა — შენ მოგკლავენო.

ისე მოულოდნელად მითხრა ეს ამ კაცმა, რომ შეშინება ვერ მოვასწარი და შეშინების ნაცვლად, გამეცინა.

— რა გაცინებს, კაცო? რომ გეუბნები, მოგკლავენო, ე.ი. მოგკლავენ, მე სიტყვებს ჰაერში კი არ ვისვრი, რასაც ვამბობ, ასპროცენტიანს ვამბობ! — დამაიმედა სტუმარმა.

დაბნეულობამ ცოტათი რომ გამიარა, „განაჩენის" გაპროტესტება ვცადე: — კი, მაგრამ, რატომ უნდა მომკლან, რა დავაშავე ასეთი?

— რატომ უნდა მოგკლან და ამიტომ, ამიტომ და ამიტომო, — ჩამომითვალა სტუმარმა ჩემი „დანაშაულობანი".

საქმე „საერთო გაზეთში" გამოქვეყნებულ რამდენიმე წერილს ეხებოდა, მათ შორის ჩემი ნაცნობი ერთ ვრცელ პუბლიკაციას გამოჰყოფდა განსაკუთრებით, რომელიც „საერთო გაზეთის" რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით დაიბეჭდა და ჩემი მოსალოდნელი ლიკვიდაციის უტყუარ და წყალგაუვალ არგუმენტად სწორედ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებას ასახელებდა.

— ამასწინათ ამ წერილის განხილვა იყო საკმაოდ დიდი აუდიტორიის წინაშე. მე შენ იქ გმირი გიწოდე და თანაც ჩემი ნათქვამი დავასაბუთე კიდევაც, — თქვა ჩემმა კეთილისმყოფელმა და მაგიდაზე მუშტი დაარტყა.

— თუ გმირი მიწოდე, მაშინ მართლაც მომკლავენ, ალბათ... დიდი მადლობა, ბატონო, ამ პატივისცემისა და დაფასებისთვის, — ვცადე, სუმრობაში გადამეტანა ჩვენი საუბარი, თუმცა სტუმარს ისეთი კუშტი და სერიოზული სახე ჰქონდა, რომ მივხვდი, არაფერი გამომივიდოდა.

ერთი კვირის თავზე ჩემი ნაცნობი ისევ მესტუმრა. ამჯერად რაღაცნაირად ჩამქრალი და სევდიანი ჩანდა. იჯდა მაგიდასთან ზურგში მოხრილი და ყრუ, ჩავარდნილი ხმით ლაპარაკობდა:

— არ ვიცი, რატომ აღმოვჩნდი დღეს შენთან. არაფერი საქმე არ მქონდა აქეთკენ და ჩემდაუნებურად მაინც აქეთ წამოვედი.

ბოდიში მინდა მოგიხადო, ამასწინათ ასე ჯიქურად რომ მოგახალე, მოგკლავენ-მეთქი, თუმცა, იცოდე, ჩემი პროგნოზი ყოველთვის მართლდება. ჟვანიას ვუთხარი, მოგკლავენ-მეთქი და მოკლეს! შარაძეს ვუთხარი, მოგკლავენ-მეთქი და მოკლეს! პატარკაციშვილს ვუთხარი, მოგკლავენ-მეთქი და მოკლეს! შენც მოგკლავენ, ჩემო ვახტანგ, მეც მომკლავენ, სხვებსაც მოკლავენ, ზოგს ტყვიით, ზოგს საწამლავით, ზოგს შიმშილით, ზოგს შეურაცხყოფით... ჩვენი მოკვლა რა პრობლემაა, როცა ათიათასებს, ასიათასებს, მილიონებს კლავენ, ქვეყნებს კლავენ, ღმერთს კლავენ!

დედამიწაზე სატანა ზეიმობს, სატანა!

ასე რომ, ფრთხილად იყავი, ჩემო კარგო! — მხარზე ხელი მომითათუნა ჩემმა ნაცნობმა და წავიდა.

ამ ამბიდან ცოტა ხანში საქართველოში ერთმანეთს წაეწყო მკვლელობათა სერია და „კონკურენტებიც" გამომიჩნდა: — არა, მე მიპირებენ მოკვლას და არა მეო, — ამტკიცებდნენ მავანნი და მავანნი და ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ.

მე თავმდაბალი კაცი ვარ და პირველობა სხვისთვის დამითმია, თანაც სულაც არ მაქვს ისეთი დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომ იმ საერთაშორისო მასშტაბის მკვლელებმა, რომლებზეც ჩემი ნაცნობი საუბრობდა, სათანადოდ დამაფასონ და ტყვიით დამაჯილდოვონ.

ასე რომ, არავის არაფერში ვეცილები, თუმცა ერთ რამეზე კი ნამდვილად ღირს დაფიქრება.

**ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ანუ იმ პერიოდიდან, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ვინმემ თუ აღწერა და აღნუსხა, რამდენი ცნობილი თუ შედარებით ნაკლებად ცნობილი ქართველია მოკლული ისე, რომ ნამდვილი მკვლელიც კი არ არის დადგენილი და გამოაშკარავებული.**

იმდენად გრძელი სიაა, შეძრწუნდები...

ვინ კლავდა ამ ქართველებს, თანაც ისე, რომ კვალსაც არ ტოვებდა?

**ოცდახუთი წელია, საქართველოში სერიული მკვლელი დადის და ამ მკვლელს არა მხოლოდ ცალკეული ქართველების, არამედ მთელი საქართველოს მოკვლა უნდა.**



როცა საზოგადოებაში საყოველთაო ფსიქოზი და შიში ისადგურებს, რომ ამ ქვეყნის სიყვარული და მისი ერთგულება შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს, ის საზოგადოება უკვე ნახევრად მკვდარია და ბოლომდე რომ არ მოკვდეს, ჯერ ეს შიში უნდა მოკლას ვიღაცამ...

რაც შემეხება მე, ისეთ მნიშვნელოვანს და განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ — უბრალოდ, შიშს ვებრძვი!

ცოტათი მეშინია, მაგრამ მაინც ვებრძვი, რადგან შიშია თვითონ მკვლელიც და მკვლელობების წამქეზებელიც.

* * *

მოუთმენლად ველოდები, როდის მოვა ჩემი ძველი ნაცნობი მესამედ და რა ახალ ამბავს „მომახარებს"...

**როცა საზოგადოებაში საყოველთაო ფსიქოზი და შიში ისადგურებს, რომ ამ ქვეყნის სიყვარული და მისი ერთგულება შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს, ის საზოგადოება უკვე ნახევრად მკვდარია და ბოლომდე რომ არ მოკვდეს, ჯერ ეს შიში უნდა მოკლას ვიღაცამ...**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში"; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# კაცი და ღირსება

## ერის ბედისწერა და კაიყმის ფენომენი



**კობა არაბული**
მწერალი

„სოფელი ვინ და ერთი კაციო!“ — გვასწავლის ხალხური სიბრძნე. ეს ანდრეზული ფრაზა ღირსეულ კაცთა არსებობაზე მოითითებს...

ზოგადად თემ-სოფელს ხუთი ენიგმური ფენომენი იცავდა:

ხუცესი — რჯულის გამრიგე და რიტუალთა წარმმართველი.

დოსტაქარი — ნაჭრილობევთა და სნეულთა მკურნალი.

კაი ყმა — სოფლის იმედი „მეთოფე“ „მემეტედ“ წოდებული.

ცხენი — „სოფლის მუხლად“ წოდებული მტრის მდევარი.

ნაგაზი — „სოფლის ყურად“ წოდებული ერთგული გუშაგი.

ეს ხუთი მნიშვნელოვანი ფენომენი იდგა სოფლის (თემის) საარსებო სივრცეზე, მაგრამ, მაინც „კაიყმის“ ფენომენი სულ სხვა იყო!

ერის ბედისწერა და კაიყმისა ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული.

კაი ყმის ბედი არ იყო მარტივი, იგი მუდმივ ხიფათში აყენებდა საკუთარ სიცოცხლეს, და დაურიდებლად წირავდა თავს მამულისთვის (სამშობლოსთვის) „ვაჟი მოკვდება ქალზედა, მამულსა საკუთარზედა“, ანუ „კაი ყმა ომში მოკვდება — სწორების მჯობინობასა, ცუდაი საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა!“

ბეჩავი (ლაჩარი) დიდხანს ცოცხლობს, მაგრამ სიკვდილის მერე მისგან არაფერი რჩება! — ლაჩარს, უჯიშოს გმირად (კაი ყმად, მემეტედ) ქცევა არ შეუძლია!

„კაიყმა“ საკუთარი ქვეყნის და ღირსების დაცვისთვის ბრძოლაში კვდება და მისი სახელი თაობათა ხსოვნაში რჩება ზნეობრივ მაგალითად...

დიმიტრი მეფე „ოქროს ურდოში“ წავიდა და საკუთარი ერის არსებობისთვის სიცოცხლე გაწირა — იგი თავდადებულ გმირად იქცა ისტორიისთვის...

სააკაშვილი ბრძოლის ველიდან გაიქცა და სხვა შესწირა!.. მას შეეძლო იქ მომკვდარიყო და გმირად ქცეულიყო — მაგრამ ეს ვერ შეძლო — მას უფალმა არ არგუნა ეს პატივი: იგი ცოცხალ-მკვდარი, საკუთარ (დაუმარხავ) მიცვალებულთა გვამებზე მროკავ მოლოხად იქცა...

ასეთია ადამიანთა ბედისწერა. ასეთი კონტრასტულია უღირსთა და ღირსეულთა გზაგასაყარი!..

ამიტომაც ტიროდნენ სოფლის დედანი კაიყმაზე: „ნუ მოჰკლავ დამბადებელო, სოფლობა წაგვიხდებაო“..

* * *

სადაც და როდესაც პიროვნება და მისი ღირსება დაფასებულია, იქ და მაშინ ეს ქვეყანა (თემი, სოფელი) ძლიერია, მყარად დგას, ხალხი კარგად და მშვიდად ცხოვრობს, ვინაიდან გასაჭირში ჭკუას სოფლის კითხულს ჰკითხავს და კაიყმას მოუხმობს...

როცა სახელმწიფო, პარლამენტი, პარტიათა და არასამთავრობოთა ბაკქანალიებით პიროვნების ღირსებას მარხავს, როდესაც ქვეყანა (თემი, სოფელი) ამ ჭილყვავების კარნახით ერის ლოგოსური სივრციდან დევნის ღირსეულ და გამოჩინებულ პიროვნებებს — ის ქვეყანა საბედისწერო ხიბლში და ხიფათშია...

ღირსეულ პიროვნებათა დევნა, სევდა და გაძევება (დისკრედიტება) მოასწავებს ქვეყნის ერთიან, განურჩეველ ჭაობად ქცევას, სადაც „ლიბერასტები“ (ლიბერალ-დემოკრატები) ჭკუას ვითომდაც ხალხს (ანუ ყველას) ჰკითხავენ, ხოლო ვინ არის ეს „ხალხი“ და „ყველა“, არავინ იცის... ვისი და რისი დემოკრატიაა „ყველას“ დემოკრატია და „ბაკქანალია“?

შალიკოსი და პალიკოსი? სავლედ ქცეული „დემოკრატი“ ალასანიების და პეტრიაშვილების? ყაჩაღი თარგამაძეების და ბოკერიების? თუ არასამთავრობო ყვავების — გიგაურების, ნინუების, კოჟორიძეების და მისთანათა: ყელში რომ ამოუყვანეს ხალხს — გაბუნიას და გრიგოლიას შოუებმა... როგორ შეიძლება დარჩიაშვილების და ჯაფარიძეების მუდმივი ჯდომა ქანდარებზე ნოეს კიდობნის მამლებივით და განსასჯელთა გალიებში მჯდომარე გიგი უგულავასა და მერაბიშვილის შეურაცხმყოფელი ტირადების და მუქარების მოსმენა: რომის კონსულებივით რომ დააბრძანებენ...

გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ „ობიექტივის“ ეკრანიდან 4 საათი ლანძღავდნენ ივანიშვილს ქორიძე და ნინო ბურჯანაძე ჟურნალისტთა კასტასთან ერთად? რა ხდება? ნუთუ ჩვენი ხალხი და პოლიტიკოსები სხვა ხიფათს ვერ ხედავენ და ივანიშვილის ფენომენშია ეს ხიფათი?

ვთქვათ, საერთოდ აიყარა და გადაიხვეწა ამ ქვეყნიდან (ანუ საკუთარი სამშობლოდან) ბიძინა ივანიშვილი, მერე რა? ამით რა ეშველება ამ ქვეყანას?! კაცი, რომელმაც შეძლო ჰიქსოსების ტირანიიდან და საპყრობილეთა ჯურღმულებიდან ერის გამოხსნა. ამნეზია დაგვემართა და სალანძღავად ვაქციეთ? ამაზე წუხდა დიდი ვაჟა: კაცს გამოჩინებულს ჩვენი ხელით მოვკლავთ და მერე სახეს ვიხოკთ და გოდებით მივაცილებთო...

ილიასაც ეგრევე მოექცნენ უმადური ქართველნი, ჯერ „შეაფურთხეს“ და მერე ტყვია ესროლეს! იგივე მკვლელები: იგივე მახარაძეები, ჟორდანიები, იგივე ნაცები თუ სოც-დემოკრატები დაძრწიან ამ მიწა-წყალზე. შუაზე გადაჭრილი ფუნეებივით რომ ჰგვანან ერთმანეთს!

ისინი არ დაინდობენ არავის, ამიტომ ხელისუფლება და ხალხი გონზე უნდა მოვიდეს: და როგორმე მიხვდეს, რომ დრო და ვითარება ბედისწერულია (სახიფათოა): პოლიტიკური სივრცე გაჯერებულია მტრებით და მოყვარე-მტრებით. საჭიროა დიდი სიფრთხილე და სიმამაცე ამ ვითარების დასაძლევად... ვინაიდან საქართველოში არის ადამიანთა ჯიში და კასტა, ვისაც შეუძლია თქვას: „მერე რა, სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტიც ცვივა?“

ამათ მიზანში ჰყავს ამოღებული ერთადერთი რჩეული და ჩინებული ადამიანი, რომელიც ღმერთმა მოუვლინა ამ ქვეყანას, ის უნდა გადარჩეს!..

* * *

ბოლოში რომ ცხოვრობ და სათავეში წყალს რომ გადაგიკეტავენ და მწყურვალი მოკვდები... ასე არის ახლა ჩვენი ქვეყანა თემ-სოფელთა მორღვეული საკრალური სივრცით, საიდანაც ისტორიულად მოედინებოდა სულიერი და მატერიალური ენერგეტიკა და დოვლათი...

ჩვენ უნდა აღვადგინოთ ეს სივრცე: და მივცეთ მას ინვესტიციები მეურნეობისთვის და ახალი ინფრასტრუქტურისთვის: ისტორიულად მთიანეთის დამცავმა სარტყელმა გადაარჩინა საქართველო, მისი ბარი, ახლა ჩვენ უნდა გადავარჩინოთ იგი.

მთიელებს არ მოუთხოვიათ „ზალოგი“ ბახტრიონისთვის თუ კრწანისისთვის...

ნურც ჩვენი მთავრობა მოგვთხოვს „ზალოგს“! მივცეთ უშურველად და მათი „რწმენა და ღირსება“ იყოს ზალოგის წილი! თუკი ჩვენ შევაჩერებთ თემთა და სოფელთა დემოგრაფიულ კოლაფსს და კულტურულ ეკონომიკურ დეპრესიას, ჩავთვალოთ, რომ ეს იქნება ჩვენი ქვეყნის გადარჩენის დასაწყისი...

უეჭველად დადგება დრო, როდესაც ჩვენ გადაგვიკეტავენ საარსებო წყაროს, იმ სარჩო საბადებელს, რომელსაც ხელგაწვდილი სხვათაგან ველოდებით: ეს იქნება ჩვენი ხალხისთვის (ერისთვის) მონად ქცევის საბედისწერო ჟამი, საიდანაც თავს ვეღარ დავიხსნით...

როგორ მოვიქცეთ, როცა ქვეყნის დამაქცევარ სააკაშვილებს და ადეიშვილებს უკრაინის ხელისუფლებაში ტენიან, ხოლო მერაბიშვილს და უგულავას ცხელი ცრემლით დასტირიან ჩვენს საპატიმროებში! სხვადასხვა ტიპის სექტათა, რელიგიურ უმცირესობათა არასამთავრობო პედოფილთა და ჰომოსექსუალთა ლობირებით ერსა და ეკლესიას გვინგრევენ?

**რა ქნას ჩვენმა ხელისუფლებამ ამ ვითარებაში? აქეთ ცეცხლი, იქით — მეწყერი? ზურგთან რუსეთის საოკუპაციო ჯარი, ცხვირწინ — ხალიფატი, თავზე ევროატლანტიკური ყვავი — სად წავიდეთ, როგორ მოვიქცეთ!**

ალბათ, ყველანი ერთად უნდა ავდგეთ ფეხზე და დავიწყოთ გაუგონარი მრისხანე აჯანყება უფლის კარნახით... და უცნობი ახალი ენერგიით...

* * *

„დაკვრა სჯობს დაღირებასა!“ — ამბობს ჩვენი მთის ადათი: „დაღირება“ მერყეობას ნიშნავს... და მართლაც, არ არის მერყეობის დრო. საჭიროა რადიკალური გაბედული გადაწყვეტილებების მიღება! დაჟინებული კარნახი ხელისუფლებისთვის და მხარში დგომა! ზოგი რამ უნდა გაუქმდეს! ზოგი რამ უნდა აღსდგეს!

აუცილებელია, ზოგიერთი ტელევიზიის შეჩერება, ობსტრუქციის, დემაგოგიის და გაუგონარი ცილისწამებების შეწყვეტა!

საჭიროა პირველი სატელევიზიო არხის ქცევა ჭეშმარიტ სახელმწიფო ტელევიზიად! ვინ არიან იქ, რომელი ბორდი თუ ბორდელი მართავს მას? საჭიროა მისი დაბრუნება პარლამენტის ან პრემიერის გადაწყვეტილებით!..

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო ერთი გარემოება: „ქართული ოცნების“ ლოიალობამ და სირბილემ, „კოაბიტაციურმა“ ორჭოფობამ საზოგადოების მხარდაჭერა და ნებელობა ჩაახშო და მიაძინა! ეს ისეთი სახიფათო მდგომარეობაა, რომ თუკი ქვეყანას გაუჭირდა და „ქართულ ოცნებას“ კვლავ დასჭირდა ქვეყნის გადარჩენა, შესაძლოა, ხალხის გამოღვიძება ივანიშვილმაც კი ვეღარ შეძლოს და „გიენებმა“ ადვილად გადაუარონ მიძინებულ, „თვითლიკვიდირებულ“ საზოგადოებას!

აი, ხიფათი, რომელიც „ფარდის უკან“ გვიდგას სპექტაკლის II ნაწილისთვის...



* * *

დასასრულს, მკითხველის მოთმინებით მინდა ვისარგებლო და ვთქვა, რომ ჩვენ „უპრეზიდენტო ქვეყანაში“ ვცხოვრობთ და მართლაც არ გვყავს პრეზიდენტი, თუ გვყავს, სრულიად „უცხოა“ და „უცხო“ ინტერესებისთვის მუშაობს.

სახიფათო სინდრომია: ერთდროულად ყველა გარეგანი და შინაგანი „ობსტრუქციის“ წისქვილზე ასხამს წყალს, აძლიერებს მათ, თიშავს ხელისუფლებას და ქვეყანას აყენებს საბედისწერო ზღვარზე...

ახლახან მან საგანგაშო (მიუღებელი) განცხადება გააკეთა ბალტიის ქვეყნებში ყოფნისას, შეაქო სააკაშვილის ღვაწლი და აღმშენებლობა, და ქვეყანა მის საქმეთა გამგრძელებლად გამოაცხადა! რა არის ეს?!

რატომ გვიკვირს, თუკი ინტერპოლი წითელი ცირკულარიდან ხსნის ან არ სჯის აქედან გადახვეწილ ჯალათებს ან პოლიტდევნილებად აცხადებს მათ? — თვით პრეზიდენტი ატარებს ამ პოლიტიკას...

ნუთუ ისე გადავშენდით, რომ სახელმწიფო მეთაურად კაცი ვერ გვიპოვია! იქნებ სჯობდა, ჩვენც იქიდან განდევნილი იანუკოვიჩი ჩამოგვეყვანა პრეზიდენტად? ანდა ვინმე ბაშარ ასადი?! თუკი უკრაინაში შეიძლება ასეთი რამ, ჩვენთან რატომ არ შეიძლება? ყოველი ვარიანტი ამაზე უკეთესი იქნებოდა...

რა სამწუხაროა, როდესაც ადამიანს (პრეზიდენტად წოდებულს) ხალხის, ერის, საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის გადაგდება შეუძლია! მან „ქართული ოცნების“ იდეა მთლიანად ჩაამთხლევა-დაშალა!..

მე ვწერდი თავიდანვე, რომ ეს ადამიანი იქცეოდა „ქართული ოცნების“ აქილევსის ქუსლად — ეს მართლაც გაცხადდა.

ახლა ყველა ფსევდოდემოკრატი, ყველა არასამთავრობო, ყველა ლიბერასტი, შალიკო და პალიკო მის მხარეზეა...

* * *

აქვე ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ: ბავშვს სათამაშო თოფი უყიდეს და ჰკითხეს: ვის ესვრიო? — დედასო! — მიუგო ბავშვმა, — დედას მოვკლავო!

ბავშვს სათამაშო თოფით „დედის მოკვლა“ კარგი ეგონა.

ეს კაცი, ჩვენი ფილოსოფოსი პრეზიდენტი, რომელსაც თოფი მისცეს ხელში — საკუთარ ქვეყანას ესვრის (უმიზნებს) და კარგი ჰქონია!

ეს ფილოსოფია, ბავშვის ფილოსოფიისგან განსხვავებით, ამოუხსნელი და ამაზრზენია...

მას “თოფი“ მისცეს და თოფის მიმცემს უმიზნებს?!

ის პრეზიდენტიც უნდა გადადგეს საკუთარი ნებით, ან იმპიჩმენტით, ან რეფერენდუმით ხალხის მიერ უნდა იქნას გამოწვეული!

საზოგადოებამ უნდა ამოირჩიოს ახალი ღირსეული კაცი პრეზიდენტად. ასეთი ადამიანი ჯერ კიდევ მოიძევება ამ მიწაზე!

ერთად მოვიფიქროთ და ვქმნათ საქმნელი! ხალხი ჯერ კიდევ დაუჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“, ანუ ივანიშვილს, ვიდრე გვიან იქნება, „დაკვრა სჯობს დაღირებასა“...

დგება სრულიად უცნობი დრო ჩვენს მამულში!..



# უკრაინული გამოცემის სკანდალური ინფორმაცია — დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი სააკაშვილთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში იღებენ მონაწილეობას?

## პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია — ქვევრი ცოცხლად დამარხულებისთვის

რატომ არის ათონელზე მდებარე პრეზიდენტის რეზიდენციაში გადასვლა პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაცია, ყოვლად გაუგებარია; ამასთანავე, რატომ არ ესმის ფილოსოფოს პრეზიდენტს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის კი არა, ასეთი საეჭვო ჯინიანობით საეჭვო პირთა ჯგუფთან ერთად მისივე პიროვნების დისკრედიტაციას პირადად რომ ახდენს?

პრეზიდენტის სავარძელს ხომ არ ართმევს ვინმე, რა საინტერესოა, რატომ ებღაუჭება კონკრეტულ შენობას? ის, რომ პრეზიდენტი, ბატონი მარგველაშვილი არცთუ ნელ-ნელა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“, მასთან დაახლოებული პარტიების, მასთან გარიგებაში ეჭვმიტანილ და კონკრეტულ პირთა პრეზიდენტად იქცა, დღესავით ნათელია, მაგრამ შენობას რა დატვირთვა აქვს, რატომ იცავს?

სხვათაშორის, ხალხში ეჭვი გაჩნდა, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტად კი არა, სწორედაც ყარაულად არის დაყენებული რეზიდენციაში და ყარაულობს იმას, რაც რაღაცით მნიშვნელოვნად ფასეული დანატოვარია ვიღაცის(ებ)თვის, რისი გატანაც ვერ მოხერხდა; ან რაღაცის კვალია წასაშლელი და სანამ ის კვალი არ წაიშლება, იქ უნდა იყოს გამაგრებული თავისი წივილ-კივილა და მსოფლიო მასშტაბის გრანტმოსილი ენატანიების მხედრიონით.

როდესაც ვადაგასულმა სააკაშვილმა განაცხადა, მე ვიქნები ახალი ხელისუფლების ოპოზიციაო, შავ დღეში ჩააგდეს „საბრალო“ შლეგი, ეგ რა თქვი, როგორ შეიძლება პრეზიდენტი ხელისუფლების ოპოზიციაში იყოსო? ახლა — დამჯდარი ჭკუაგონების კაცად ცნობილი პრეზიდენტი პირდაპირ ოპოზიციაშია ხელისუფლებასთან. რაც მთავარია, ამას აკეთებს სიხარულით და ახარებს როგორც თავის „გრძელ ჭიას“, ისე სწორედ ზემოთჩამოთვლილი ქვეყნის „ოპოზიციისას.“

„პრეზიდენტი — პრეზიდენტად, მაგრამ ახლა იმ ხალხს აღარ ეკითხებით, ვინც მის გარშემო თბილად არიან მოკალათებულები და ცოცხალი თავით არ დაანებებენ მარგველაშვილს იქიდან გამოსვლას? რამდენი უსაქმური, გზააბნეული, ძალად ექსპერტი და ნაცნობობით თავშეფარებული ხალხი ჰყავს ამ შენობაში, ვინმემ დაითვალა? რა ფული იხარჯება ამ გაღლეტილი ხალხის ჯიბეებიდან, ვინმე ითვლის? სამი მილიონი ადამიანი ტოკიოს ერთ უბანში ცხოვრობს და აუდიან საქმეს — რათ უნდა საქართველოს მოვლას ამდენი ხალხი, ამდენი შტატები, ასეთი გაბერილი ბიუჯეტი და თავგასული ბიუროკრატია? ურუგვაის პრეზიდენტი სახლში მიდის და შეშას თვითონ ჩეხს, წყალს ეზიდება, ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს, ესენი ვინ არიან, რა განდიდების მანიამ შეიპყრო ეს უსაქმურები? ეჰ, ბიძინა, ბიძინა, მადლი თუ ქენი, მარილიც მოაყარე!“

„ინფორმაცია რომ გავრცელდა, „ნაცების“ ამ ბოლო აქციაზე არეულობა და რაღაცები უნდა მოხდესო, მაშინ რომ ითქვა, ალასანია ელაპარაკა მარგველაშვილს და მარგველაშვილმა უთხრა, თუ აშშ-იდან მეტყვიან „დაბროს“, საგანგებო სიტუაციას გამოვაცხადებ და მერე თქვენ იცითო, მაშინ ეჭვი მეპარებოდა და ახლა მჯერა, ვითომ რატომაც არ შედგებოდა ასეთი საუბარი?“

უკრაინის პრეზიდენტის აპარატის თანამშრომელი სერგეი კირნიკი რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს კიევში ვიზიტის დროს მიამაგრეს, აცხადებს, რომ იაცენიუკთან შეხვედრის შემდეგ უსუფაშვილმა მას პრეზიდენტის აპარატში მიყვანა სთხოვა. მისი თქმით, უსუფაშვილის თხოვნის შესაბამისად, ისინი თბილისიდან ოფიციალურად ჩასულ დელეგაციას გამოეყვნენ და დავით უსუფაშვილის მეუღლესთან ერთად ლუტერანსკაიას №17-ში მიიყვანა. მათ იქ ელოდათ მიხეილ სააკაშვილი და ერთი დაბალი, მელოტი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. სააკაშვილმა გულმხურვალედ გადაკოცნა დავით უსუფაშვილი და მისი ცოლი. სერგეი კირნიკმა ჩაიწერა მათი საუბარი, რომელიც შემდგომ უკრაინულ მედიასასუალებებს გადასცა.



უკრინულმა გამოცემამ http://slovo.net.ua/ukraina/torgovlya-lyudskimi-organami-v-ukraini-stala-simekn-



im-biznesom-mikhajla-saakashvili საუბრის შემოკლებული ვარიანტი ვებ-პორტალზე განათავსა სათაურით, Що задумав Саакашвілі та голова парламенту Грузіі Усупашвілі? На що витрачаються Українські кошти? Коли “хохлів” дурманять коньяком! რომელიც შემდგომ უკვე „მარშალპრესმა“ წარმოუდგინა თავის მომხმარებელს:

**სააკაშვილი:** — დათო, ეხლა ყველაფერი კარგად იქნება. მე ჩავრთე სხვა ხალხი და ის შეცდომები, რომელიც დებილებმა, გიგამ და გივიმ დაუშვეს, აღარ განმეორდება. 50 000 არ იქნება პრობლემა, რეალურად გაცილებით მეტი იქნება. შენ ხო ხედავ, ჩვენი პროექტი რეგიონებში მუშაობს, მთელ ხალხს გამოვიყვანთ.

**უსუფაშვილი:** — ბატონო მიშა, თქვენ გესმით, რომ ჩვენ ძალიან ვართ დამოკიდებული ბიძინას ფინანსებზე...

**სააკაშვილი:** — დაიცადე, დაიცადე დავით! მე ხო ვთქვი, რომ ფინანსური საკითხები აქ გადაწყვეტილი მაქ და თქვენ რასაც შეგპირდით, გავაკეთებ.

**ხიდაშელი:** — ბატონო მიხეილ, ჩვენ კონკრეტულად უნდა ვიცოდეთ, აქ რისკი დაუშვებელია და საერთაშორისო მხარდაჭერა აუცილებელი.

**სააკაშვილი:** — თინა, შენ როგორც ყოველთვის მოვლენებს წინ უსწრებ! ამერიკელებმა თქვენ უკვე გაგაფრთხილეს და საელჩოც კონტაქტშია თქვენთან. იმ ანგარიშებზე, რომელიც თქვენ გადმოგვეცით, პარასკევს შევაგდებ 100-ს და ყოველთვე გამოვაგზავნი 30-ს, კიდევ 60 ათასს მიიღებთ თბილისში. ჩანაფიქრის განხორციელების შემდეგ დათო დარჩება პარლამენტის თავმჯდომარედ, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომნარის პოსტი შენი იქნება, თინა!

**ხიდაშელი:** — კარგი, ჩვენ გვაწყობს, მაგრამ თუ თქვენ ვერ გამოიყვანთ ხალხს, ჩვენ არ ვიმოქმედებთ, არ ჩავერთვებით და ფულსაც არ შევეხებით!

**სააკაშვილი:** — დაიცადე, თინა! დათო, ეს რა კონიაკია? ასეთი არ მინახავს...

**უსუფაშვილი:** — ეს „ენისელის“ სპეციალური სასაჩუქრე ჩამოსხმაა, თქვენთვის წამოვიღეთ.

**სააკაშვილი:** — დიდი მადლობა. ძალიან საინტერესოა, მაგრამ მოგვიანებით გავხსნი. „ხოხოლებს“ გავუმასპინძლდები, ალკოჰოლი აქ მალე თავდება.

**უსუფაშვილი:** — რა თქმა უნდა! მე თქვენ კიდევ გამოგიგზავნით ღვინოს და კონიაკს, ჩვენებს თელავში ქარხანა აქვთ.

**სააკაშვილი:** — მადლობა, დავით! შენ ხომ იცი, „მარგველა“ ჩვენთანაა და საჭირო მომენტში იტყვის თავის სიტყვას.

**უსუფაშვილი:** — კი, გიორგისთან კონდიციაში ვართ.

**სააკაშვილი:** — აქამდე როგორ უსმენთ ამ გაუნათლებელ სოფლელს, დათო?

**უსუფაშვილი:** — ის სხვა პლანეტაზეა, ერთობა თავის ტელეპროგრამით, ბატონო მიშა.

**სააკაშვილი:** — ხო, დავით, ვუყურებ და ბევრს ვიცინი... მისმინეთ! მოკლედ, ჩვენ მალე გადავწყვეტთ აქცია 26 მაისს გაიმართება თუ მოგვიანებით. 26-ში ბურჯანაძე და სხვები დაიწყებენ ლაყბობას და შეიძლება ხელი შეგვიშალონ, ჩვენ გამოვითვლით და შეგატყობინებთ. მთავარია ყველაფერი გავაკეთოთ ისე, როგორც მოვილაპარაკეთ. თქვენ უნდა იყოთ ხალხთან და ხალხს ჩვენ წარვმართავთ იქ, სადაც საჭიროა. ამ გაუნათლებელ დებილებს ცოტა დარჩათ! ყველა გაიქცევა როგორც ვირთხები და ეს პინგვინი ვერ გაფრინდება!“

საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, ნამდვილია თუ არა ამ საუბრის ჩანაწერი და თუ ეს ფაბრიკაცია არ არის, მაშინ უსუფაშვილს და მის კნეინას სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის მიღებისთვის სათანადო პასუხი უნდა მოსთხოვოს.

# დოკუმენტური ფაქტები ლაურა ლაჭავას და მისი ოჯახური კლანის შესახებ

## „მთავარი ოპოზიციური ძალა“ ლაყე კვერცხების წინააღმდეგ სასწორის პინაზე 500 ლარიან „ვაუჩერს“ დებს

„მთავარი ოპოზიციური ძალა“ ლაყე კვერცხების წინააღმდეგ სასწორის პინაზე 500 ლარიან „ვაუჩერს“ დებს.

დიახ, არც მეტი, არც ნაკლები - 500 ლარი!

მიხეილ სააკაშვილი კიევში მიხვდა, რომ 20 ლარიანი „შნირები“ ფონს ვერ გაიყვანდნენ, ახლა სხვა დროა, სხვა ვითარება და ესეც რომ არა, „ცხოვრება გაძვირდა“. ამას თუ დავუმატებთ ხალხის აგრესიას ნაციონალური სპექტრის წინააღმდეგ და მოსალოდნელ შედეგს, ერთხელაც შეიძლება, მომხრესაც და მისამხრობსაც თავყბა იმ ადამიანებმა გაუერთიანონ, ვისაც „ნაცმაცუნა ელიტარები“ „ბრბოს“ ეძახიან. პრინციპში, „სტავკა“ სწორედაც რომ უნდა გაზრდილიყო! საქმე ისაა, რომ „დამრტყმელ ძალას“ „ნეცმაცუნა ელიტა“ ყოველ თვეში ხელფასის სახით 500 ლარს უხდის! ეს არაა თითიდან გამოწოვილი ინფორმაცია და არც „ჩიტის ბუდიდან“ ამოფრენილი რომელიმე ბახალას ნაყრანტალები. ეს ზუსტია და ვფიქრობ, ვინმე მაინც უნდა დაფიქრდეს საიდან აქვთ ნაციონალებს ამდენი „ფარა“!

„ფარა“ მეგრული სიტყვაა და ფულს ნიშნავს. ნაციონალურ ყულაბას ახლა ბევრი „ფარა“ სჭირდება, ბევრი „მწვანეები“ კი ბევრს არა აქვს! ცოტას კი ბევრი აქვს და ამ ცოტადან უმეტესობა სააკაშვილთან „კუდითაა გადანასკვული“. კუდი კუდია, მაგრამ პირდაპირ კავშირშია თავთან და სწორედ ამიტომ, იმის შიშით, რომ ვინმემ ვინმეს ეს კუდი არ წააჭრას, კუდს თავზე მეტად უფრთხილდებიან!

უკვალოდ არაფერი ქრება და დღეს ყველამ თუ არა ბევრმა იცის, რომ სააკაშვილმა თავისი გარემოცვა „დავარცხნა“. ის, ვისაც ენდობოდა მიშა ცოტა ხნის წინ კარგად გამოჩნდა, მაშინ როცა უკრაინაში დაასაქმა ნაციონალური „სახეები“! არაუკრაინული ნაცები კი სოფელ-სოფელ შუკაშუკა დარბიან და ლაყე კვერცხებს თავს უშვერენ, აქაოდა ეგებ „იმან“, „იქ რომ ზის“, დაგვინახოს და დაგვაფასოსო. ზოგი კვერცხებს უშენს თავს, ზოგიც, მაგალითად, ვანო მერაბიშვილი, თავს „მატროსოვზე“ ურტყამს კედელს! ვანოც, გიგიც და სხვებიც განწირულნი არიან, მაგრამ არა გმირობისათვის, ისე, როგორც მიშას საქართველოში დარჩენილი „ასკოლკები“ ოცნებობენ! „რასკლადი“ დაწყობილდალაგებულია, წასაყვანი წაყვანილია, დასაჯდომი ზის და აქვე, ორთაჭალაში სავარაუდო დასაჯდომების საქმეები დევს თაროებზე და არავინ იცის, ამ საქმეებს რომელი ვირთხა შეახრამუნებს...

ცოტა ხანში, როგორც ამბობენ, დასრულდება აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის საქმის გამოძიება, რომელიც დარწმუნებული ვარ, ბევრს „მოსვამს“, მაგრამ არავინ იცის, როდის დაიწყება გამოძიება (ან თუ დაწყებულია, რა ეტაპზეა)

სააკაშვილს ბევრი „კასირი“ არ ჰყოლია, მთავარი „ბუღალტერი“ დავით კეზერაშვილი დღეს ისეა გასუსული, თითქოს მას არ ბრალდებოდა აგვისტოს ომის დროს ჩამოწერილი საბრძოლო ტექნიკის შემოტანა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია და ამას ვერ გავექცევით - დღეს კეზერაშვილს თითქმის არავინ ახსენებს. არადა, როგორც ამბობენ, კეზერაშვილმა საქართველოში ნაშოვნი ფული საზღვარგარეთ კარგად დააბანდა! იგივეს ამბობენ ირაკლი კოდუას შესახებ, რომელიც „ჩერდაკიდან“ სასახლეში გადასახლდა. როგორც ამბობენ, სწორედ კოდუას ფულები მიდის დღეს არა ერთ მედია-საშუალებაში! არადა, ის, ვისაც ხელეწიფება კოდუების კლანის „მოსმა“ საეჭვოდ დუმს!

ცოტა ხნის წინ ინტერპოლმა ძებნილთა სიიდან ამორიცხა ნაციონალების „რუხი კარდინალი“ ზურაბ ადეიშვილი. არ ვიცი, რას დავაბრალო, ამტყდარ აჟიოტაჟს თუ დაბნეულობას, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება ადეიშვილის ადვოკატის ამ განცხადებას: „ლტოლვილის სტატუსის გამო ადეიშვილის ძებნის შეწყვეტის შესახებ განცხადებები კეთდება ბიძინა ივანიშვილისთვის, რათა დაამშვიდონ გაბრაზებულია პროკურორებზე. მინდა, ვუთხრა ბიძინას, რომ ატყუებენ. ერეკლე კოდუას ლტოლვილის სტატუსი აქვს, მაგრამ ინტერპოლის დევნილთა სიიდან არ ამოუღიათ. ინტერპოლის კონსტიტუციის მესამე მუხლის თანახმად, დაუშვებელია ინტერპოლის მექანიზმის გამოყენება პოლიტიკური მოტივაციის საქმეზე. ამ შემთხვევაში ზურაბ ადეიშვილის საქმეზე დადგინდა, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს პოლიტიკურ დევნას. ჩვენი წერილები, რომელსაც ინტერპოლს ინტენსიურად ვაწვდიდით, სწორედ ამ საკითხს ეხებოდა“, — განაცხადა ოთარ კახიძემ. ანუ, ოთარ კახიძემ, იცავდა რა თავის კლიენტს, ფაქტობრივად აღიარა, რომ კოდუა დამნაშავეა! ე.ი. კახიძემ განაცხადა, რომ ადეიშვილის მიმართ წაყენებული ბრალი არ დადასტურდა და ამიტომ ამოიღეს ძებნილთა სიიდანო და ასევე განაცხადა, რომ აგერ, ბატონო, კოდუაც ლტოლვილია, მაგრამ ინტერპოლი მაინც ეძებსო! ეს სამართლებრივ ენაზე არც საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის დაცვას ნიშნავს და არც იდეალურ გამოსავალს იურისტისათვის! ეს, უბრალოდ, ყველა „ენაზე“ „ჩაშვებაა“ და მეტი არაფერი!



შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს ერეკლე კოდუას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თაღლითობაში სდებენ ბრალს. საქმეში ორი ეპიზოდია. ორივე შემთხვევაში კოდუამ, ძვირადღირებული ავტომანქანები მათ მფლობელებს საკუთარი ოჯახის წევრებზე იძულებით გადააფორმებინა.

### ეპიზოდი I.

პროკურატურის მტკიცებით, 2008 წლის 29 აგვისტოს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორი ერეკლე კოდუა, თავის სამუშაო ოთახში, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულ ბრალდებულ მერაბ რობაქიძეს შეხვდა, რომელსაც არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას დაპირდა, რაც

მისი უფლებამოსილების ფარგლებს აშკარად სცილდებოდა. ამის სანაცვლოდ კი მან სახელწიფოსთვის გადასაცემად ორი ავტომანქანის ყიდვა მოსთხოვა. მერაბ რობაქიძე ამ პირობას დასთანხმდა და მისი მეგობრების მეშვეობით, 90 000 აშშ დოლარის საერთო ღირებულების ორი ავტომანქანა შეიძინა, რომელთაგანაც ერთ-ერთი - „LEXUS GX 470“ მოდელის 45 000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა, ერეკლე კოდუამ ნაცვლად, დაპირებისამებრ, სახელმწიფოზე გადაცემისა, თაღლითური გზით, მოტყუებით, თავისი არასრულწლოვანი შვილის - ნოდარ კოდუას სახელზე გადააფორმა. ამ ავტომანქანით სარგებლობდნენ თვითონ ერეკლე კოდუა და მისი ოჯახის წევრები. ხოლო მოგვიანებით, ავტომანქანა 20 000 აშშ დოლარად, სხვა პირზე გაასხვისეს.

### ეპიზოდი II.

2008 წლის 18 დეკემბერს, ერეკლე კოდუამ, დედის, ლაურა ლაჭავასთვის შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“, შემდგომი გადახდის პირობით 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის“ მარკის ავტომობილი შეიძინა. ამის შემდეგ, 2009 წლის თებერვალში, ერეკლე კოდუა თავის სამუშაო ოთახში შეხვდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულ ბრალდებულ გიორგი გურჩიანს და მის ძმას შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დირექტორს ერეკლე გურჩიანს, რომლებსაც არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას დაპირდა, რაც, ასევე, ამ შემთხვევაშიც, მისი უფლებამოსილების ფარგლებს აშკარად სცილდებოდა. სანაცვლოდ კი მოითხოვა თავისი დედის ლაურა ლაჭავასთვის შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“ გამოყვანილი, 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „LEXUS“-ის მარკის ავტომობილის საფასურის გაქვითვა და დამატებით „ტოიოტა ჰაი-ლუქსის“ ავტომანქანის ყიდვა სახელმწიფოსათვის გადასაცემად, რაზეც ერეკლე გურჩიანი დათანხმდა. მან უარი თქვა მოეთხოვა ლაურა ლაჭავასთვის 92.000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის“ მარკის ავტომანქანის საფასურის დაფარვა. აღნიშნული თანხა კი, შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ ანგარიშზე თვითონ შეიტანა და აგრეთვე შეიძინა 41 500 ლარის ღირებულების „ტოიოტა ჰაი-ლუქსის“ ავტომანქანა, რომელიც, ნაცვლად, დაპირებისამებრ, სახელმწიფოზე გადაცემისა, მოტყუებით დარეგისტრირდა ერეკლე კოდუას მიერ შერჩეულ პირზე, ხოლო მოგვიანებით თავის სახელზე. ეს ავტომანქანა კოდუამ 2011 წლის 22 ივნისს 27 000 აშშ დოლარად სხვა პირზე გაასხვისა. აღნიშნულ ეპიზოდებზე, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, სოდის ყოფილ უფროსს ცხრა წლამდე პატიმრობა ემუქრება. აღსანიშნავია, რომ დავა კოდუებსა და „ტოიოტას“ მფლობელ გურჩიანს შორის გაცილებით ადრე, საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხებისთანავე, დაიწყო. ერეკლე კოდუას დედა ლაურა ლაჭავა სწორედ იმ დროიდან ამტკიცებს, რომ „ტოიოტა ცენტრ თბილისს“ ავტომანქანის ღირებულება სრულად გადაუხადა. პროკურატურაში საქმის აღძვრამდე „ტოიოტამ“ ჯერ სამოქალაქო წესით იდავა, თუმცა საქმე წააგო. როგორც ირკვევა, შპს „ტოიოტა ცენტრ თბილისსა“ და ლაურა ლაჭავას შორის ნასყიდობის ხელშეკრულება 2008 წლის 18 დეკემბერს დაიდო, რის შემდეგაც, მყიდველს, ავტომანქანა LEXUS LS 460 საკუთრებაში გადაეცა. მნიშვნელოვანია, რომ ამის შემდეგ მხარეებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს მომსახურების სააგენტოს და ავტომანქანის ლაურა ლაჭავას სახელზე რეგისტრაცია მოითხოვეს. დაახლოებით 4 წლის შემდეგ კი 2012 წლის 12 ოქტომბერს „ტოიოტამ“ კოდუებს



7 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# სოსო ცინცაძე: 20 წლის მერე ევროპამ კარი რომ გაგვიღოს და გვითხრას, ევროკავშირში შემოდითო, რომელ ევროპაში შევლენ ჩემი შვილები და შვილიშვილები — ისლამურ ევროპაში?

გვესაუბრება პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე:**

**— ბატონო სოსო, მსოფლიო ისლამური სახელმწიფოს საფრთხესა და პრობლემის გადაჭრის გზებზე მსჯელობს. რადიკალურ დაჯგუფებას უამრავი მოხალისე უერთდება როგორც მუსულმანები, ისე ქრისტიანები. როგორ ფიქრობთ, რამდენად მზადაა საქართველო ამ საფრთხესთან გასამკლავებლად?**

— საფრთხე გლობალურია. საქართველო დღეს აღარაა იმ სიტუაციაში თითქოს, დაუსახლებელ კუნძულზე, მარსზე ან მთვარეზე არსებობდეს — დიდი სამყაროს პატარა სეგმენტი ვართ და მისი რყევები ჩვენც გვეხება. რატომ არ გვაწუხებს პრობლემა, რომელიც მთელს მსოფლიოში უმწვავესად დგას, ვგულისხმობ, ისლამურ სახელმწიფოს. საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის ნახევარი მუსულმანია. სომხურ პრესაში სომხები შეშფოთებას გამოთქვამენ: ჩვენთვის, ისლამური სახელმწიფო საფრთხეაო. არადა, სომხეთში, ალბათ, მუსულმანი იმდენად ცოტაა, ერთ ხელზე ჩამოითვლება. მაგრამ რამდენად ადეკვატურია ჩვენი ხელისუფლება და პოლიტიკა ამ საფრთხესთან მიმართებაში, ეს უკვე სხვა საკითხია. ზემოხსენებულ შეხვედრაზე ერთი საკითხი წამოვჭერი: ღმერთმა დაიფაროს საქართველოში ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის კონფლიქტი დაიწყოს. პატარა ექსცესები, თავის დროზე, მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით იყო, მაგრამ განეიტრალდა. მაინტერესებს, კონფლიქტის შემთხვევაში როგორ იმოქმედებენ ქართველი მუსულმანები როგორც ეთნიკურად ქართველები თუ როგორც რელიგიურად მუსულმანები?! ამასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ისტორიულ ფაქტს გავიხსენებ: 1866 წელს პრუსიამ — ბისმარკმა ავსტრია დაამარცხა. ავსტრია კათოლიკურია, პრუსია — პროტესტანტული. პრუსიის მოსაზღვრე ავსტრიულმა რეგიონებმა — 15 მილიონმა ავსტრიელმა, თავისი ტერიტორიით, პრუსიაში შემოსვლა მოითხოვა. პრუსიისთვის ეს ძალიან კარგი იყო იმიტომ, რომ ტერიტორიას ღებულობდა, მოსახლეობა უმრავლდებოდა, მაგრამ ბისმარკი თავისი იმპერატორის წინააღმდეგ წავიდა და ავსტრიელების მიღებაზე უარი თქვა. იცით, რატომ არ მიიღო? — ბისმარკი ამბობდა: კი, ისინი გერმანელები არიან, მაგრამ კათოლიკები, ჩვენ კი პროტესტანტები და შეიძლება ჩვენს შორის კონფლიქტი მოხდესო. ამიტომ, ამ საკითხზე პასუხი არც მე მაქვს და ვერც სპეციალისტებისგანაც მივიღე — რა უფრო მთავარია, ეთნიკური სოლიდარობა თუ რელიგიური? რა უფრო მნიშვნელოვანია? ღმერთმა ქნას, რომ ამერიკის მეთაურობით კოალიციამ ისლამური სახელმწიფოს საფრთხე გაანეიტრალოს. თუ რადიკალური ისლამი გაჰქრა, მაშინ შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ. მაგრამ, თუ უფრო გამწვავდა, განა გვაქვს ასპროცენტიანი გარანტია რომ მშვიდად ვიყოთ? სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი, ღირსება და პროფესიონალიზმი ხომ იმაში გამოიხატება, ის საფრთხე დაინახო რასაც რიგითი „ობივატელი“ — ქსენია დიასახლისი და მევენახე მიხო ვერ ხედავენ. როდისაა პრევენცია გამართლებული? — როცა მეოთხე ან მესამე სტადიაში შესულ კიბოს კი არ მკურნალობ, არამედ საწყის ეტაპზევე, როცა მცირედი ნიშნებია, მაშინ მიასწრებ და უმკურნალებ. ამიტომ, რასაკვირველია, ეს სერიოზული საფრთხეა, რომელიც შეიძლება დღეს არ დგას, მაგრამ მისი გამორიცხვა, რისკზე წასვლა დაუშვებელია. კი, ბატონო შეიძლება რომელიმე მინისტრი კაზინოში შევიდეს, მისი ერთი თვის პრემია დადოს და წააგოს. ეს მისი საკუთარი რისკია, მეორე თვეს მაინც აიღებს იმ პრემიას და შიმშილით არ მოკვდება. მაგრამ სახელმწიფო მხოლოდ ერთხელ რისკავს — ან უმართლებს ან არა და საერთოდ ქრება. ამიტომ, ახლა რისკის ფუფუნება არ გვაქვს. ასევე, ძალიან საშიშია ის, რაც პანკისის ხეობასთან დაკავშირებით ხდება. რა არის ეს — იდეოლოგია? სკოლის მოსწავლეები რომელთაც ყურანი წაკითხულიც არ აქვთ, გაგებაშიც არ არიან ვინ იყო მუჰამედი, ალი, ასეთ ნაბიჯზე მიდიან. რა ძალაა ისეთი, რომელიც 16 წლის ბიჭს დედას, მამას, მეგობარს, ძმას მიატოვებინებს და მიდის იქ, სადაც შეიძლება მოკლან. რა არის ეს? ეს ხომ სამშობლოს პატრიოტიზმი არაა. ეს ხომ ის შემთხვევა არ არის, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს 14-15 წლის ბიჭები ჯარში იპარებოდნენ. ეს რელიგიური ფანატიზმია? როგორ შეიძლება ფანატიკოსი გახდე? გასაგებია, ბენ ლადენი ფანატიკოსი იყო, იგივე, შუა საუკუნეების ესპანელი მღვდლები — ინკვიზიციის ინკვიზიტორები. მათ განათლება ჰქონდათ და ამ დოგმების ტყვეობაში იყვნენ. მაგრამ 16 წლის ბიჭი, რომელსაც ორი წიგნიც არ წაუკითხავს, რა მოტივით დგამს ასეთ ნაბიჯს? დღეს, საზოგადოებას და მითუმეტეს, მთავრობას ამ საფრთხის მიჩუმათების უფლება გვაქვს? გადავხედოთ, რა ხდება, ამ კუთხით, ევროპაში — სირიაში საომრად ქრისტიანი გოგონები მიდიან, რომელთაც არც ოჯახით, არც წინაპრებით ისლამთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. გერმანიიდან 100-მდე გოგონაა წასული, რომელსაც ნათესავი კი არა, ისლამის მიმდევარი, მეზობელიც არ ჰყოლია. სირიაში გაიპარნენ ზოგი საომრად და ზოგიც იმისთვის, რომ ამ მეომრების ცოლები გახდნენ. ეს საფრთხე არ არის?

**— ჩვენ ამ ევროპის ნაწილი უნდა გავხდეთ?**

—კი ბატონო, ჩვენ გვინდა რომ ევროპის ნაწილი ვიყოთ, მაგრამ ხანდახან ასეთი მკრეხელური აზრიც კი მიჩნდება — 15-20 წლის მერე ევროპამ კარი რომ გაგვიღოს და გვითხრას, ევროკავშირში შემოდითო, რომელ ევროპაში შევა ჩემი შვილები და შვილიშვილები — ისლამურ ევროპაში? ამიტომ, ეს გლობალური საფრთხეა, სადაც აბსოლუტურად არავინაა დაცული. ავსტრალიაში, რომელიც ქვეყნის დასალიერშია, პატარა ბიჭები — ისლამისტები დაიჭირეს. ამიტომ, საუბარი იმაზე, რომ ეს ჩვენ არ გვეხება, აბსურდია. საუკეთესო შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლება ხალხის დამშვიდებას ცდილობს, მაგრამ თუ იგი თავადაც მშვიდადაა, ეს უკვე ტრაგედიაა.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო პოლიტიკური ელიტის კრიზისიც გვაქვს?**

— რასაკვირველია, ეს, ერთი მხრივ, მსოფლიო პოლიტიკური ელიტის კრიზისია და მეორე მხრივ, უკვე ვხედავთ ტოლერანტობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ფეტიშიზირების უარყოფით დივიდენდებს. როგორც ჩანს, ჩვენც ვრწმუნდებით იმაში, რომ თვითონ ადამიანის უფლებების აბსოლუტიზირებას, ტოლერანტობას, დემოკრატიასაც აქვს რაღაც ზღვარი, რომლის იქეთ უკვე უარყოფითი შედეგებია. ავიღოთ, დღეს, რაც ხდება ევროპაში — ევროპაში, იტალიაში, ლეგალურად უკვე 250 ათასი მუსულმანია შემოსული, ხმელთაშუა ზღვაში იხრჩობიან, რეზინის ნავებით შემოდიან. იტალიის ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრი, ამ საკითხის განსახილველად, ევროკავშირის საგანგებო სხდომის მოწვევას მოითხოვს. მათ შორის, შეიძლება, ათასობით ისლამური სახელმწიფოს მიერ შემოგზავნილი ტერორისტი იყოს. როგორია ამაზე ევროპის ლიბერალი საზოგადოების რეაქცია — როგორ შეიძლება მათ ტერორისტები უწოდო, სანამ ტერორისტულ აქტს არ ჩაიდენენო. თუ ასეთი რამ მოხდება, მერე დავიწყოთ შესწავლა ვინ არიანო. თქვენ გეცინებათ, მეც მეცინება, მაგრამ ასე უსერიოზულესი ხალხი მსჯელობს. როგორც ამბობენ, უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა არ შეიძლება. თუ ისინი ხალხს დახოცავენ, მერე ვთქვათ, უი, ესენი ტერორისტები ყოფილანო და ამით მკვდრები გაცოცხლდება? ანუ, თვითონ ევროპაშიც კი პოლიტიკური ნება აღარ არის, ევროპა დემორალიზირებულია. ეტყობა საფრთხე იმდენად დიდია, რეცეპტი ჯერ გამოგონილი არაა. ან დაავადება იმდენად საშიში და ახალია, რომ ჯერ ამის წამალი არ არსებობს. ასეთი შთაბეჭდილება იქმნება. ნელ-ნელა მართლდება აზრი, რომ ცივილიზაციათა ომი — ისლამური და ქრისტიანული ახლოვდება. ახლა, ეს პოლიტკორექტულობაც, რომ თითქოს ეს ისლამი კი არა, არამედ გაყალბებული ისლამია — ვაჰაბიზმია, არ მესმის რას ნიშნავს. მაშინ, ვინ მეტყვის რა არის სწორი, გაუყალბებელი ისლამი? გლობალურად ეს საშინელი საფრთხეა. მეტი რა გინდათ, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ 20-ზე მეტი ქვეყანა იბრძვის და შედეგი ნულია. აქ, ბრძოლებში, 10 ტერორიზმს თუ გაანადგურებენ, სამაგიეროდ, ევროპიდან ასი-ორასი ტერორისტი ჩადის. აი, ასეთი სურათია.

**— ისლამური სახელმწიფო რუსეთს განადგურებით დაემუქრა. ბუნებრივია, ამ მუქარაში, ჩვენც მოვყვებით. რა არის, ასეთ შემთხვევაში, გამოსავალი?**

— ესეც ძალიან დელიკატური საკითხია. კი, რასაკვირველია, ტერორიზმის წინააღმდეგ უნდა ვითანამშრომლოთ, მაგრამ ამას საფუძვლად რელიგიური ფაქტორი არ უნდა ედოს. ასე, ქრისტიანები ყველა მუსულმანს გადაიმტერებენ — ტერორისტსაც, წესიერსაც, პატიოსანსაც და ა.შ. მაგრამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რასაკვირველია, აუცილებელია. აქ უკვე სხვა პრობლემები დგება. დაუშვათ, ქართული უშიშროება პანკისის ხეობას, სათანადოდ, ვერ აკონტროლებს. მაგრამ მთავრობა გაბედავს, რომ აქ, ხეობის გასაკონტროლებლად, რუსები მოიწვიოს? წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდება მარტო ჩვენი ოპოზიციის კი არა, თვითონ ევროპელების მხრიდანაც?! ხომ გვახსოვს, შევარდნაძის დროს, პანკისის პირველი ეპოპეა. ახლაც, ესეა. მაგრამ თანამშრომლობა აუცილებელია. იგივე, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში რუსეთი ჩართული არაა. მას თავის ინტერესები აქვს — ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლას ბაშარ ასადი არ გადააყოლონ. რუსეთი ბაშარ ასადს არ დათმობს. აი, აქაც შეუთანხმებლობაა. როგორც ჩანს, ჯერ ამის დრო არ მოსულა. მაგრამ თუ მოვ-

→




იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლენები ასე განვითარდა როგორც დღესაა, რასაკვირველია, ამის აუცილებლობაც დადგება.

**— როგორც ირკვევა, ევროკავშირში 10-15 წელი ვერ შევალთ, ალარაფერს ვამბობ ნატოზე. ეს რას ნიშნავს, თუ არ გვღებულობენ, რა მიზანს ემსახურება ყოველივე — მათ, მძევლებად ვჭირდებით?**

— ჩემი აზრით, ძალიან ცუდია ის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ნათელი, გამოკვეთილი სტრატეგია არ აქვს. დავუშვათ, ევროსტრუქტურებში ჩვენი გაწევრიანება უსასრულოდ გაჭიანურდა, არც გვღებულობენ, არც უარს გვეუბნებიან, ალტერნატივა რა გვაქვს? — არაფერი. მახსოვს, თავის დროზე, 10-15 წლის წინ, მეტნაკლებად, ჩართული ვიყავი ევროსტრუქტურებთან მოლაპარაკებებში იგივე, სეპარატიზმის წინააღმდეგ. მაშინ, ევროპელები გვეუბნებოდნენ: სეპარატისტებთან მხოლოდ მოლაპარაკებაო. ვეკითხებოდი, დავუშვათ, ამ მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ რა ვქნათ-მეთქი — აპაპაპა, მაინც მოლაპარაკებაო. თუ შედეგი არ გამოიღო, მაინც, უსასრულოდ, კიდევ



და კიდევ მოლაპარაკებაო. ახლაც ასეა — ვთქვათ, ევროკავშირში 15-20 წელი არ მიგვიღეს. ჩვენ, მაინც იქეთკენ, უსასრულოდ, სვლა უნდა გავაგრძელოთ. აქვე, სხვა, მეორე კითხვა მებადება — ჩვენ ამდენი დრო გვაქვს? ოდესღაც, აუცილებლად შეხვალთო, გვეუბნებიან, მაგრამ 15 წელი გვაქვს, რათა პერმანენტული საფრთხის წინაშე ასე ვიყოთ ჩამოკიდებული? 15 წელი ვუყუროთ რას იზამს პუტინი, ამის დრო გვააქვს? ოდესღაც, აუცილებლად შეხვალთ ნატოში, ევროკავშირშიო. ამ ოდესღაცამდე მისვლა ხომ არის საჭირო? გარდა მაგისა, დამისახელონ ქვეყანა, სადაც 20 წელი რეფორმები მიმდინარეობდა. უკვე 25 წელია საქართველო რეფორმების რეჟიმშია. დამისახელონ, მეორე მსგავსი ქვეყანა. ანალოგი არ გვყავს იმიტომ, რომ ფიზიკურად შეუძლებელია საზოგადოებამ, მოსახლეობამ 20 წელი ქამრის მოჭერა და რეფორმები გადაიტანოს. რეფორმები რა არის? — ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობა. ამ რეჟიმში ცხოვრება საზოგადოებას შეუძლია, მაქსიმუმ 5-10 წელი, მერე უკვე საზოგადოება მარგინალდება და პროლეტარიატდება. ასეთი რამ აფრიკაში მინახავს. სულ ახლო წარსულში ინდოეთშიც. ინდოეთი უმდიდრესი ქვეყანაა. მისი მთავრობა ათობით, ასობით მილიარდ დოლარს ხარჯავს შეიარაღებაზე, მაგრამ სამი-ოთხი წლის წინ, საღამოს, ბომბეიში რომ გავისეირნე, ზღვის პირას გოდრებივით ეწყო რაღაც. ვნახე, უსახლკაროებს ეძინათ, ზემოდან ჭინჭები ჰქონდათ გადაფარებული და ეს კილომეტრებზე, მთელს სანაპიროზე იყო გაჭიმული. ამ დროს, ქვეყანას დიდი ფული აქვს. ჩვენც იმ დონემდე დავალთ. ჩვენ ხომ მხოლოდ სამი მილიონი ვართ, მეტი კი არა. რომ ვიძახით 4-4,5 მილიონი ვართო, ეს მხოლოდ ქაღალდზე ასე.

**— რატომ ვერ გამოვედით გაუთავებელი რეფორმების რეჟიმიდან, ხომ არ დგას იმის პრობლემაც, რომ სამოქალაქო საზოგადოებად ვერა და ვერ ჩამოვყალიბდით?**

— ჯერ არცერთ ლატაკ, მშიერ, უმუშევარ ქვეყანაში ნამდვილი სამოქალქო საზოგადოება არ შექმნილა. სამოქალაქო საზოგადოებას ვერ შექმნიან უცხოეთის გრანტებზე მცხოვრები არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს გამორიცხულია, ვინაიდან ისინი, თუნდაც კარგი გაგებით, გავლენის აგენტები არიან, ფულს ვინც იხდის მუსიკასაც ის უკვეთავს. ამიტომ, სამოქალაქო საზოგადოება, მეტ-ნაკლებად, საშუალო ფენების პირმშოა. როდესაც ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენა შეიქმნება, რომელიც მზადაა თავისი სოციალური, ბიზნეს, პოლიტიკური და სხვადასხვა ინტერესები ოლიგარქიისგან დაიცვას, აი, ეს ფენა ქმნის ნამდვილ სამოქალაქო საზოგადოებას. რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება? — ესაა, კარგი გაგებით, აქტივისტი. ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო საზოგადოებიდან მთავრობაში მიდიან, ბიუროკრატები ხდებიან, პარლამენტში სხდებიან, იქ, სამოქალაქო საზოგადოება ვერასოდეს შეიქმნება. ჩემზე უკეთ იცით, რამდენი მშვენიერი, პერსპექტიული სამოქალაქო საზოგადოების წევრი დავკარგეთ, გაქრნენ იმიტომ, რომ ისინი მთავრობაში წავიდნენ. ე.ი. მთავრობამ მშვენიერი გამოსავალი ნახა — სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც, კარგი გაგებით, კრიჭაში უდგას მთავრობას — მან მათი განეიტრალების ყველაზე კარგი საშუალება ნახა, მისცა თანამდებობები, ხელფასები და ისინიც გაჩუმდნენ.

**— ბოლოს, ლუკაშენკოს განცხადებაზეც მინდა გკითხოთ, მან საქართველო საერთო ოჯახში მიიპატიჟა.**

— მოდით, ამას ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ლუკაშენკო აქ, პუნქტებით ჩამოვიდა: პირველი პუნქტი — საქართველო უნდა შევიდეს ევრაზიის კავშირში, მეორე პუნქტი — უნდა შევიდეს საბაჟო კავშირში, მესამე — უნდა დაუბრუნდეს ეს-ენ-გეს და ა.შ. ეს, რასაკვირველია პრივიტიმიზმი და დღევანდელი სახელისუფლებო ოპოზიციის პოზიციაა. რა არის დღეს ჩვენი პრობლემა ლუკაშენკოსთან, რუსეთთან? რასაკვირველია, ზღაპარია იმაზე ფიქრი, რომ ხვალვე ჩვენ და რუსეთი მეგობრები გავხდებით. მთავარია, ხვალ მაინც, ჩვენ და რუსეთი ერთმანეთს მტრებად არ ვთვლიდეთ. რუსეთშიც და საქართველოშიც გამოკითხვები ჩაატარეს. საქართველოს აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთს მტრად მიიჩნევს, რუსეთში — საქართველოს მიიჩნევენ მტრად. აი, ეს უნდა გაქრეს, ერთმანეთს მტრებად აღარ უნდა აღვიქვამდეთ. შემდგომი ეტაპი, უკვე, მეგობრობისაკენ გადადგმული ნაბიჯები იქნება. მაგრამ ეს, სადღეგრძელოებით და ოჯახების მეგობრობით, არ გამოვა. აქ, რაღაც კომპრომისებია საჭირო, რაღაც ჩვენ უნდა დავთმოთ, რაღაც — რუსეთმა. ეს უკვე უმაღლესი დონის სუპერდიპლომატიის რეჟიმია. მაგრამ ჩვენ დიპლომატია საერთოდ არ გაგვაჩნია და უმაღლეს დიპლომატიაზე რა ვილაპარაკოთ.

**— დიდი მადლობა, საინტერესო საუბრისთვის.**

— მადლობა თქვენ. მადლობა „საერთო გაზეთის“ რედაქტორს ბატონ ვახტანგს. ალბათ, გავა წლები და მის ბიოგრაფიაში ჩაიწერება, რთულ ისტორიულ პერიოდში როგორ იბრძოდა და ინარჩუნებდა გაზეთს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დოკუმენტური ფაქტები ლაურა ლაჭავას და მისი ოჯახური კლანის შესახებ

5 gv.

ავტომანქანის საფასურის გადახდა მოსთხოვა, თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა და ლაჭავას კუთვნილი უძრავი ქონების დაყადაღებასაც მიაღწია. 2012 წლის 7 დეკემბერს მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ დავა ლაჭავას სასარგებლოდ დაასრულა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც გამყიდველს ავტომანქანის შემძენისთვის გადაცემის ვალდებულება მხოლოდ ღირებულების სრულად გადახდის შემთხვევაში ეკისრებოდა. ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, სასამართლომ მტკიცების ტვირთი, რომ ლაურა ლაჭავას ღირებულება არ გადაუხდია, მოსარჩელეს ანუ „ტოიოტა ცენტრ თბილისს“ დააკისრა. სასამართლოს დასკვნით, შპს-მ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება, რის გამოც ლაჭავას მიერ თანხის გადაუხდელობა არ დადასტურდა...

მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის გაშვება გახდა კიდევ ერთი საფუძველი, რის გამოც „ტოიოტამ“ საქმე წააგო.

ასევე სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის მოტივით. სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიება და ლაურა ლაჭავას უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნა. საქართველოს იურისტთა ასოციაციის კვლევის მიხედვით, მხოლოდ 2011 წელს, „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ მფლობელმა ერეკლე გურჩიანმა, შს სამინისტროს სამი ერთეული „ტოიოტა პრიუსი“ აჩუქა, თითოულის ფასი 38-დან 44 ათას ლარამდე მერყეობდა. 2012 წელს კი თავდაცვის სამინისტროს 3 ერთეული „ფორდ ტრანზიტი“ გადასცა, რომელთა საერთო ღირებულებამ 137 454 ლარი შეადგინა. ჯერჯერობით უცნობია, რა პირობებში მოხდა ზემოხსენებული ავტომანქანების სახელმწიფო უწყებისთვის გადაცემა და მოითხოვს თუ არა მჩუქებელი საჩუქრის უკან დაბრუნებას. ერეკლე კოდუას ძვირადღირებული მანქანებით გატაცებაზე მისი ბოლო ქონებრივი

დეკლარაციაც მეტყველებს. 2012 წლის დეკლარაციაში კოდუა-ჟორჟოლიანის საკუთრებაში არსებული ოთხი ავტომანქანა ფიქსირდება, აქედან ორი: PEUGEOT 207 და RANGE ROVER SPORT ნანუკა ჟორჟოლიანის სახელზეა რეგისტრირებული, ორი კი ერეკლე კოდუას ეკუთვნის: 2011 წელს კოდუამ 9 000 დოლარად გაყიდა TOYOTA HILUX 2009. იმავე წელს 140 000 დოლარად იყიდა RANGE ROVER 2010, რომელიც 125 ათას დოლარად მალევე გაასხვისა. ეს არის მინიმუმი, როგორც ჩანს, კოდუას მანქანების „დათრევა“ პალტოზე „ბულავკების“ დამაგრება ეგონა და აგროვებდა და აგროვებდა. კიდევ ვიმეორებ, ეს არის მინიმუმი და მაქსიმუმი, წესით, კი უნდა იცოდნენ პროკურორებმაც, მაგრამ რატომღაც „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“... ახლა ვინმე თუ იტყვის, რომ ის, რაც წაიკითხეთ, საფუძველსაა მოკლებული, მაშინ მეც მაქვს უფლება ვიკითხო - რატომ დაიწყეს გამოძიება და რატომ გაჩერდნენ? იმიტომ ხომ არა, რომ როგორც ამბობენ, ლაურა ლაჭავამ 2012 წლის არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან ორიოდე კვირაში ერთგან რამნდენიმე მილიონი მიიტანა და თავი „გააპრავებინა“? როგორ ხდება ისე, რომ მიუხედავად მრავალი მოწმის და დაზარალებულის არსებობისა, პროკურატურას მაინც უჭირს? ეს იმის ფონზე, როცა თავის დროზე, საქმეებში მხოლოდ რამდენიმე მოწმე და ისიც სოდ-ის თანამშრომლები ფიგურირებდნენ და ამ ხალხის ჩვენებების საფუძველზე ათასობით ადამიანი უმძიმესი ბრალდებებით იქნა ნაციონალურ გულაგებში გამოკეტილი? დღეს კოდუას ცოლი, ჟორჟოლიანი ამბობს, რომ თურმე მის ქმარს სახლში არაფერი მიუტანია! სხვებისა რა მოგახსენოთ და მხოლოდ ჩემი ოჯახიდან 66 დასახელების ოქროს ნივთი გაიტანეს, ქორწინების ბეჭედი და ნათლობის ჯვრებიც კი არ დამიტოვეს და დღემდე უმისამართოდ რომ არის ეს ყველაფერი დაკარგული, ვისთან უნდა ვეძებო თუ არა კოდუასთან? ჩემს გარდა რამდენი გაძარცვეს და რამდენისაგან წაიღეს, ცოტა თუ ბევრი? სადაა ეს ქონებები? სად წაიღეს? კარგი, სახლში არ მიიტანა კოდუამ, მაშ, სად წაიღეს? ნაციონალურ ყულაბაში? და რომელ კანონში წერია, რომ კერძო საკუთრება ამ კერძო პირის საწინააღმდეგოდ ერთ პარტიას შეწირონ? თუ „შავი ფულით“ მქონდა, მაგალითად, მე, შეძენილი დეკლარილებული ქონება, მაშინ რატომ არ მაგებინეს კანონით პასუხი და თუ „თეთრი იყო“, რატომ წაიღეს? კანონით ასეა, ამოღებული ნივთები თუ დაუსაბუთებელია, კი, ბატონო, წასაღებია (კონფისკაცია), მაგრამ მაშინ ამიხსნან, რას ნიშნავს სიტყვა დეკლარირებული და რატომ არ ჩაითვალა ჩემი დეკლარირებული ქონება დეკლარირებულად?! ასეთ ვითარებაში, საინტერესოა, ლაურა ლაჭავა როგორ ასაბუთებს მილიონებად შეფასებული თავისი ქონების კანონიერ წარმომავლობას?! ქალბატონ ლაურას შეიძლება დაავიწყდა და ხალხს კარგად ახსოვს, როგორ ჩამოქონ-



და მას ინდოეთიდან „რაღაც პრეპარატები“, რომელიც ჩვენთან აკრძალული იყო და მოხმარებაც და გასაღებაც კანონით დასჯადი?! თუ ამ „ბიზნესით“ შემოსული მილიონები „თეთრია“, მაშინ ქალბატონი ლაურა „თეთრი ყვავი“ ყოფილა და ვერ ვამჩნევთ! დღეს ლაჭავა ამბობს, რომ თურმე ქალი ვერ იპოვა ვისაც მუშაობა უნდა და რომ თურმე ქართველი ქალები ზარმაცები არიან, არადა, მისგან წამოსული თანამშრომლები ამბობენ, რომ ლაჭავა ხელფასებს არ უხდის, კაპიკებზე ამუშავებს ადამიანებს. როგორც ჩანს, ლაჭავა-კოდუებს ქართველობა მონებად უნდათ აქციონ და მერე გაშლილ სუფრასთან მსხდომებმა სასაცილოდ აიგდონ ისინი! ჰოდა, დღეს თუ პროკურატურაში „სძინავთ“ ეს იმას არ ნიშნავს რომ ხალხს სძინავს, ეს იცის კლანმა და ამიტომაა, რომ ლაჭავას შთამომავლები გაძლიერებული დაცვით დადიან, ვაითუ, ვინმემ კიდევ შეძლოს და ამჯერად მხოლოდ ერთი კი არა, საქართველოში დარჩენილ ორივე კოდუას ცხვირპირი „დაუმშვენოს“.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ქართული ენერგეტიკის დიდი ღამე

- როდის წარსდგება სასამართლოს წინაშე ზურაბ ნოღაიდელი — ქართული ენერგომაფიის „რუხი კარდინალი“?

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს კვლავ ალექსანდრე ხეთაგური მართავს!

- ვინ გაწმენდს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ძველი კორუმპირებული კადრებისგან?

- სემეკი — ხალხის ინტერესების დამცველი დამოუკიდებელი ორგანიზაცია თუ ენერგომაფიოზების კერძო ინტერესების „გამტარებელი“ კანტორა?

- რატომ არის დღემდე გასაიდუმლოებული „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და სამინისრტოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც, წესით, საჯარო უნდა იყოს?

- სემეკს და ენერგეტიკის სამინისტროს დღესაც „ნაციონალები“ აკონტროლებენ?!


თემურ ჭიჭინაძე

„ენერგო-პრო ჯორჯია“, რომელსაც ნაციონალების, კერძოდ, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ხელდასმით, მუქთად გადაულოცეს საქართველოს ლამის მთელი ენერგოსისტემა, დენის ტარიფის მომატებაზე ალაპარაკდა და შესაბამისი განცხადებითაც მიმართა დამოუკიდებელ მარეგულირებელს. თურმე სულ რაღაც ორი თეთრით უნდა გაძვირდეს დენი, რაც მავანთა აზრით, აჟიოტაჟის ატეხვად არ უნდა ღირდეს. ამ საკითხის გააქტიურებამ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გაღიზიანება გამოიწვია და შესაბამისი განცხადებაც გააკეთა სამთავრობო სხდომაზე. პრემიერს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ენერგეტიკის მინისტრი, შეთავსებით ვიცე-პრემიერი კახი კალაძე და გვამცნო, რომ „ენერგო-პრო ჯორჯია“ კერძო კომპანიაა და ტარიფის გაზრდის მოთხოვნის სრული უფლება აქვს. ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ იქცა ნაციონალებისა და მათი კონტროლირებადი მედიასაშუალებების თავდასხმის ობიექტად, თურმე პრემიერი ზეწოლას ახდენს ინვესტორზე, ხელს უშლის ენერგოსექტორის განვითარებას და ა.შ. ნაციონალების პოზიცია გასაგებია, რადგან ზემოხსენებული ე.წ. ჩეხური წარმომავლობის კომპანია მათი მმართველობისას მოევლინა ქართულ ენერგობაზარს და მათივე ხელშეწყობით, სასათბურე პირობებსაც „გამოკრა“ ხელი. რაც შეეხება ენერგეტიკის მინისტრს, მისი პოზიცია რბილად რომ ვთქვათ, გარკვეულ ეჭვებს ბადებს, უფრო ზუსტად, აძლიერებს, რომ დღევანდელი ენერგომამებიც გარკვეულ კავშირში არიან ნაციონალების ფავორიტ ენერგოკომპანიასთან, რომლის ფაქტობრივი მფლობელიც, ავ ენებს თუ დავუჯერებთ, „ნოღაიდელი და კომპანიაა“. „საერთო გაზეთის“ №0-11-12 ნომრებში დაიბეჭდა ვრცელი სტატია სათაურით „საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის რუხი კარდინალები“, სადაც კარგად ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით ვსაუბრობდით ენერგეტიკის სფეროში არსებულ განუკითხაობაზე, რაც დღესაც გრძელდება. ბოლო დროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ენერგეტიკის თემა კვლავ ძალზე აქტუალური გახდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით „საერთო გაზეთი“ საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრ თემურ ჭიჭინაძე ესაუბრა, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის მერიის ენერგეტიკული კომისიის თავმჯდომარედ, 1998-99 წლებში გახლდათ „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, შემდგომ ენერგეტიკული კომპანია „ჟინერის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, შპს „ორთაჭალჰესის“ გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ბატონმა თემურმა წინამდებარე ინტერვიუში, ფაქტობრივად დაადასტურა ყველა ის ინფორმაცია, რის შესახებაც ჩვენ ზემოხსენებულ სტატიაში ვსაუბრობდით.

**- ბატონო თემურ, რამდენად სამართლიანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნა დენის ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით?**

- ტარიფი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და ყველა მათგანს უნდა გაშიფრვა. ტარიფის გაზრდა დაკავშირებულია გარკვეული ხარჯების ზრდასთან, ე.ი. რომელიმე კომპონენტი უნდა გაიზარდოს. საქმე იმაშია, რომ ხსენებული კომპანია მალავს ერთ ხარჯს, კომპანიასა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებაც გასაიდუმლოებულია, მას სახელმწიფოც მალავს. რა არის საშუალო შეწონილი ტარიფი ეს ვიცით, დაფიქსირებულია, მაგრამ რა ჯდება ელექტროენერგიის გადაცემა, **არის კიდევ სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიამ უნდა დაასაბუთოს, ესაა ხარჯები, რომელსაც იგი ჰესის, ობიექტის შენახვასა და აღდგენა-განვითარებაზე ეწევა. აი, ეს მესამე კომპონენტი აქვს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გასაიდუმლოებული. ხსენებულ ხელშეკრულებას,** რომელსაც თავის დროზე (2006 წელი) პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მოაწერა ხელი, თავიდანვე დაედო გრიფით საიდუმლო, ასე რომ, ვერავინ ნახულობს, რა ტარიფი უნდა ჰქონდეს ენერგოკომპანიას, რომელსაც თავიდანვე შეუქმნეს სასათბურე პირობები. გავიხსენოთ ამ კომპანიის საქართველოს ენერგობაზარზე გამოჩენის ისტორია. 2005 წელს, როცა „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გასხვისების საკითხი დადგა, ერთი კილოვატი ელექტროენერგია მომხმარებელს 6,6 თეთრად მიეწოდებოდა. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ეს კომპანია გაეკოტრებინათ, რომელსაც იმ პერიოდში „იუესაიდის“ კონტრაქტორი „პიეი კონსალტინგი“ მართავდა. კომპანიას 800 მილიონიანი ვალი ჰქონდა დაგროვილი გენერაციის ობიექტების მიმართ, რომელიც შემდგომ ჩამოაწერეს და სატენდეროდ გაამზადეს. ამ დროს ნოღაიდელი უკვე პრემიერ-მინისტრი იყო და სერიოზულად მუშაობდა ენერგოობიექტების ხელში ჩასაგდებად. **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარკვეული პერიოდი, როცა ნოღაიდელი სახელმწიფო სამსახურში არ მუშაობდა, „პიეი კონსალტინგის“ ფინანსური მრჩეველი იყო, გარდა ამისა, მისი კუთვნილი იურიდიული კომპანია უწევდა მომსახურებას „პიეი კონსალტინგს“. ნოღაიდელი რო-**

## „ენერგო-პრო ჯორჯია“, რომელიც დღეს ტარიფის გაზრდას ითხოვს, სააკაშვილისა და ნოღაიდელის მიერ დანაშაულებრივი მაქინაციებით დაფუძნებული ორგანიზაციაა

**გორც კი პრემიერ-მინისტრი გახდა, მაშინვე დაიწყო მოქმედება, „გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია“ გაკოტრებულიყო და ვალები ჩამოწეროდა.** სად წაიღეს ხსენებული 800 მილიონი, არავინ იცის. ერთი სიტყვით სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ვალებისგან „გაასუფთავეს“ და გასაყიდად გაიტანეს. მყიდველიც გამოჩნდა „ენერგო-პროს“ სახით, ტენდერში სხვა კომპანიებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ „ენერგო-პრომ“ გაიმარჯვა მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შემოთავაზებული პირობები ბევრით არ განსხვავდებოდა სხვებისგან. ამ უკანასკნელს 340 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა დისტრიბუციის თითქმის მთელ სისტემაში (კახეთის და თბილისის გარდა) და გენერაციის ექვს ობიექტში (ჰესები). საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ ობიექტებს ფაქტობრივად წინა დღეს გაუზარდეს (გაუორმაგეს) გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი, ანუ „ენერგო-პროს“ შემოსვლისთანავე გაცილებით მაღალფასიანი ელექტროენერგია უნდა მიეწოდებინა მომხმარებლისთვის. გარდა ამისა, ნოლაიდელმა შემდგომ ისიც ბრძანა, ტენდერში „გამარჯვებულს“ ამ 340 მილიონს ნუ გადავახდევინებთ, 130 მილიონი გადაიხადონ, დანარჩენი კი ინვესტიციაში ჩადონო, არადა, როცა რაღაცას ყიდულობენ, არ შეიძლება ქონების საფასური ინვესტიციად ჩაითვალოს. ფაქტობრივად ეს 200 მილიონზე მეტი თანხაც გამქრალად შეიძლება ჩაითვლოს. დაუზუსტებელი ცნობებით, „ენერგო-პროს“ ეს 130 მილიონიც არ გადაუხდია, მომხმარებლისგან გაზრდილი ტარიფით ამოღებული თანხებიდან ხდებოდა ვალის დაფარვა. ხსენებულ კომპანიას თავიდანვე დაუდგინეს გაუგებრად დიდი („თელასის“ ტარიფის ტოლი) განაწილების ტარიფი, ისე რომ, მას ერთი თეთრი ინვესტიცია არ ჰქონდა ჩადებული, მოითხოვა და მიიღო კიდეც. მან შემდგომში რა გააკეთა არც ესაა ცნობილი, მაგრამ რაც გაკეთდა, არ მგონია მათი ფულით გაკეთებულიყო, დარწმუნებული ვარ მომხმარებლისგან ამოღებული ფულით გაკეთდა. იმხელა სხვაობაა ტარიფებს შორის, რაც წესით უნდა დაედგინათ კომპანიისთვის და რაც რეალურად დაუკანონეს, რომ მას თავისუფლად შეეძლო ნამატი თანხისთვის ინვესტიცია დაერქმია. „ენერგოპროს“ ყოველგვარი გაანგარიშებისა და დასაბუთების გარეშე, ზეპირად უბოძეს ხსენებული ტარიფი. სხვათა შორის, ნოლაიდელს ნათქვამიც ჰქონდა რა ოდენობის ტარიფი უნდა დადგენილიყო, რომლითაც „ენერგო-პრო ჯორჯია“ დღესაც მუშაობს. ეს ტარიფი დაახლოებით 7 თეთრია, რაც არნახულად დიდი თანხაა, მითუმეტეს, რომ, როგორც გითხარით, ტარიფი კომპანიამ ნულოვან ხარჯზე მიიღო, ანუ წინსწრებით, რასაც სემეკის შესახებ კანონი არ ითვალისწინებდა, ასე რომ, ეს ყველაფერი უკანონოდ გაკეთდა. ახლახანს სემეკის ყოფილი თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი საუბრობდა „რუსთავი-2“-ის გადაცემა „ბიზნესკურიერში“, პრემიერ-მინისტრის მხრიდან ზეწოლა ხდება სემეკზე, რაც ტარიფზე იმოქმედებსო. ყველა გაბერილი ტარიფი ნაციონალების მმართველობისას არის ასე ვთქვათ, მიცემული და სემეკის მიერ დამტკიცებული, მათ შორის წყალზეც, იტყოდნენ ასე ზეპირად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ეს ტარიფი მივცეთო, რაც შემდეგ სემეკს უნდა „გაეპრავებინა“. სწორედ იმიტომაცაა გასაიდუმლოებული „ენერგო-პროსთან“ დადებული ხელშეკრულება, რომ მათთვის ნაბოძებ ხსენებულ ტარიფს ვერ ასაბუთებენ. ჩვენ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ვთხოვეთ, რომ მიემართათ სემეკისთვის ხელშეკრულების გასაჯაროებასთან დაკავშირებით, რომლებსაც შემდეგი პასუხი გასცეს, სახელმწიფომ ჩათვალა, რომ გასაიდუმლოებული ხელშეკრულებაა და გამჟღავნების უფლება არ გვაქვსო. არადა ყველაფერი, რაშიც სახელმწიფო ღებულობს მონაწილეობას, საჯარო უნდა იყოს. სემეკის მთავარი ფუნქცია და მოვალეობაა ისაა, რომ მომხმარებელი დაიცვას არასწორი, მაღალი ტარიფებისგან, თუმცა ის რეალურად ენერგოკომპანიების ინტერესებს იცავს.


ალექსანდრე ხეთაგური

იმ პერიოდში, როცა „ენერგო-პროს“ ქართული ენერგობაზარზე გამოჩნდა და სასათბურე პირობებიც გაინაღდა, სემეკის თავმჯდომარე გია თავაძე გახლდათ, რომელიც შემდეგ გურამ ჩალაგაშვილმა ჩაანაცვლა. **ახალი ხელისუფლებამ დამოუკიდებელი მარეგულირებლის ხელმძღვანელად ირინა მილორავა დანიშნა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მისი იუსტიციის მინისტრობიდან მოყვებოდა, ზურაბ ნოღაიდელთანაც მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში**. მილორავას ერთ-ერთი მოადგილე ყოფილი პროკურორი ყოფილა, არადა თურმე არ შეიძლება, რომ სემეკში პროკურატურისა და უშიშროების სამსახურის ყოფილი კადრი მუშაობდეს. სემეკი მთლიანად ნაციონალების დროს არჩეული, რბილად რომ ვთქვათ, არაპროფესიონალი კადრებით ყოფილა დაკომპლექტებული. რესპოდენტის განცხადებით, მხოლოდ შონიაა ენერგეტიკოსი, წესით ამ ორგანიზაციაში ძირითადად ეკონომისტები უნდა მუშაობდნენ, რომლებმაც უნდა გათვალონ ტარიფები, მაგრამ ამ პროფესიის იქ არავინაა. მოგეხსენებათ სემეკი არჩევითი ორგანოა, რომლის რიგით წევრებსა და თავმჯდომარესაც პარლამენტი ამტკიცებს, ოღონდ ამ უკანასკნელს პრეზიდენტის წარდგინებით. სემეკის წევრებს სხვადასხვა დროს ეწურებათ უფლებამოსილების ვადა, ბოლოს ყოფილ ნაცპარლამენტარ მაია ნადირაძეს ამოეწურა ეს ვადა. კომისიაში ხუთი წევრი უნდა იყოს, მაგრამ ახლა სამი წევრი ყოფილა დარჩენილი. თურმე ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ახალი წევრი შევიდეს, რადგან ამ შემთხვევაში სემეკის ნაკეთები „შავბნელი“ საქმეები გაიშიფრება. გასაგებია, რომ ისინი უცხოს არ გაიკარებენ, მაგრამ სად არის ამ დროს ხელისუფლება ან თუნდაც ენერგეტიკის სამინისტრო? თუმცა ეტყობა ამ უკანასკნელის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს, რადგან სემეკის თავმჯდომარის პოსტზე ირინა მილორავას კანდიდატურა სწორედ კახი კალაძის წარდგენილი ყოფილა. ერთი საგულისხმო დეტალიც, ქალბატონი მილორავა, მანამდე ესკოს (სახელგადარქმეული საბითუმო ბაზარი) ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა, სემეკში გადაბარგების შემდეგ კი ამ პოსტზე საკუთარი მეუღლე დაუტოვებია. არის თუ არა ეს ინტერესთა კონფლიქტი, შესაბამისმა ორგანოებმა იმსჯელონ. **თურმე დღევანდელი ენერგეტიკის სამინისტროს არაოფიციალური შეფი, ნაციონალების დროინდელი ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ყოფილა, ყველაფერს ის განკარგავს. მისი მეუღლე სემეკში ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელია და იქიდან მართავს გარკვეულ პროცესებსო**. ალექსანდრე ხეთაგური სხვა მხრივაც არ გასცილებია ენერგეტიკის სფეროს, რუსული ენერგოკომპანია „იტერა“ ნაციონალების შეუძენიათ, ამ კომპანიის 10% აზერბაიჯანულ „სოკარს“ ეკუთვნის, დანარჩენი ნაციონალებისაა, ეს კომპანიაც ოფშორულ ზონაშია „დავანებული“ და მოწილე ნაციონალების წარმომადგენელი სწორედ ალექსანდრე ხეთაგური ბრძანებულა. **მოსაზრება, რომ სემეკს და ენერგეტიკის სამინისტროს დღესაც ნაციონალები მართავენ, ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული.** წინააღმდეგ შემთხვევაში მაშინ რას მივაწეროთ თუნდაც ის ფაქტი, რომ მოქმედ ხელისუფლებას დღემდე არ მოუხსნია „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ნაციონალების მიერ დადებული გრიფი საიდუმლო.


ზურაბ ნოღაიდელი

**თემურ ქიქინაძე:** „ხსენებული გრიფი ნამდვილად არ მოხსნილა, პირიქით, იმ პერიოდში, როცა დენის ტარიფის შემცირებაზე იყო საუბარი, „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ ხელახლა დაიდო რაღაც ხელშეკრულებები, რომელსაც ისევ დაადეს გრიფით საიდუმლო, რაც ენერგეტიკის მინისტრის, მაქსიმუმ ვიცე-პრემიერის დონეზე მოხდებოდა. მე ეს ამბავი ჭორის დონეზე ვიცოდი, მაგრამ ჩალაგაშვილმაც დაადასტურა თავის სატელევიზიო გამოსვლაში, ახალი ხელშეკრულების დადება, სადაც თითქოს მოაზრებული ყოფილა, რომ მე დაგიკლებ ტარიფს, სამაგიეროდ შენ უნდა მომიხსნა ის საინვესტიციო ვალდებულებები, რომელიც ჩადებულია ხელშეკრულებაშიო, რაც ასევე დამალულია. ამ დროს ძალიან სერიოზული საინვესტიციო ვალდებულებებია, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ასმეგავატიანი ელექტროსადგური უნდა აეშენებინა, ბევრი სხვა რაღაცაც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. რაც მთავარია, ეს ყველაფერი საბჭოთა პერიოდშია აშენებული, ხსენებულ კომპანიას ერთი თეთრიც არ ჩაუდია მის რეაბილიტაციაში (სამაგიეროდ სახელმწიფომ მოახდინა იმ ექვსი ჰესის რეაბილიტაცია, რომელიც მალევე მუქთად გადასცეს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ - მ.ს.). მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ხსენებული კომპანიის რეალური მფლობელები ზურაბ ნოღაიდელი და ვანო მერაბიშვილი და დიდი ალბათობით, დღევანდელი მაღალჩი-


კახა დამენია


ნიკა გვარამია


დევი კანდელაკი

10 gv.

# ქართული ენერგეტიკის დიდი ღამე

8 gv.

ნოსნებიც არიან. აქვე ერთ საინტერესო დეტალზე მინდა ყურადღება გავამახვილოთ, რომელიც ბუნებრივ აირს ეხება. რუსული მხარე დღეს გვთავაზობს, რომ ყველაზე ცუდ ვარიანტში, გაზს 275 აშშ დოლარად მოგვყიდის, ანუ იმ ფასად, რა ფასადაც ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინას აწვდის. ჩვენ გაზს აზერბაიჯანისგან გაცილებით ძვირად, 300 დოლარის ფარგლებში ვყიდულობთ. ჩვენი სურვილის შემთხვევაში რუსეთი ფასს კიდევ დააკლებს. აზერბაიჯანის ასე ვთქვათ, ჭაბურღილებიდან საქართველომდე 600 კილომეტრია, რუსეთიდან ეს მანძილი გაცილებით მეტია, მაგრამ აზერბაიჯანული გაზი უფრო ძვირი გვიჯდება“.

**- თუ რუსეთი ასეთ ხელსაყრელ პირობებს გვთავაზობს, რატომ არ ვყიდულობთ მისგან ბუნებრივ აირს, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით არ უნდა მოხდეს ენერგომატარებლების შესყიდვა?**

- იმიტომ, რომ არ უნდათ, თუმცა ჩვენ არც ის ვიცით, რეალურად რა ფასში გვაძლევს აზერბაიჯანი გაზს, რადგან ჩვენს სახელმწიფოსა და აზერბაიჯანულ მხარეს შორის, სამი ე.წ. შუამავალი ოფშორული კომპანია დგას. **ერთი სიტყვით, რა სქემებიც იყო ნაციონალების დროს, იგივე დარჩა, არაფერი შეცვლილა, ისევე, როგორც არ შეცვლილა მათი დანატოვარი კადრები. ენერგეტიკის სამინისტროში თითქმის არავინაა ენერგეტიკოსი, მინისტრი რომ არ არის ვიცით, არც მისი მოადგილე ვალიშვილია დარგის სპეციალისტი, ის არც ეკონომისტია. ეს ქალბატონიც ფაქტობრივად ნაციონალების კადრია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 2007-2008 წლებში კახი კალაძის ორი კომპანიის „კალაენერჯისა“ და „ენერგომშენის“ დირექტორი იყო. მინისტრის მეორე მოადგილე ილია ელოშვილიც არ არის ენერგეტიკოსი,** იგი იმ პერიოდში მუშაობდა „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში“, როცა ეს კომპანია მიზანმიმართულად გააკოტრეს. ერთი პერიოდი ელოშვილი „ნიუ ენერჯის“ (რომლის რეალურ მფლობელე-



ბადაც ვანო მერაბიშვილსა და ცეზარ ჩოჩელს ასახელებდნენ – მ.ს.), რომელმაც სამაჩაბლოდან დევნილებს ბარაკები აუშენა, გენერალური დირექტორი იყო. ახლა ხომ ნახეთ რა აჟიოტაჟი ატეხეს პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე, რომელიც მართლაც შეწუხებული იყო დენის ტარიფის შესაძლო მატებასთან დაკავშირებით, როგორი ზეწოლა ხდება ირაკლი ღარიბაშვილზე. პრემიერმა აუცილებლად უნდა გაიგოს, როგორ შეიძლება დარეგულირდეს ენერგეტიკის სფერო. პირველ რიგში სემეკის საკითხი უნდა მოგვარდეს, პირველ რიგში ბოლომდე უნდა დაკომლექტდეს არჩევითი კომისია, ოღონდ არა ისეთი წევრებით, რომლებსაც ძველები გადაიბირებენ და მოატყუებენ, უნდა გაირკვეს რა ხდებოდა და ხდება, თორემ პრობლემა ისე ვერ მოგვარდება. როგორც გითხარით, კომისიაში სამი პირია დარჩენილი, მაგრამ ახალს არავის ღებულობენ, იმ ვადაამოწურული ორი წევრის ავტომანქანები და კაბინეტების ავეჯიც გაყიდეს, ე.ი. წინასწარ არიან დარწმუნებული, რომ იქ არავინ მივა. დარჩენილი სამი წევრი (მილორავა, შონია, მესხი) განკარგავს ამ ყველაფერს. არ გაინტერესებთ რატომ ატყდა ამხელა ხმაური „ენერგო-პროსთან“ დაკავშირებით? კომპანიის ხელმძღვანელობამ და მათმა მფარველებმა კარგად იციან, რომ ძალზე მაღალი განაწილების ტარიფი აქვს კომპანიას მიცემული, თუ დენის ტარიფს არ გაუზრდიან, განაწილების ტარიფი მაინც რომ შეინარჩუნონ, არ მოხდეს შემცირება, თორემ ეს ტარიფი თუ გადაიხედა, გაირკვევა, რომ კანონიერი არ არის. რეალური ტარიფის დადგენის შემთხვევაში არც ენერგეტიკოსები ზარალდებიან და არც ხსენებული კომპანია, უბრალოდ ის კარგავს შემოსავალს, ვინც ნამატი თანხით სარგებლობს. ნორმალურ ქვეყანაში ამ საკითხებს სემეკი უნდა აგვარებდეს, რომელიც დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და ზეგავლენის საშუალება აქვს, მაგრამ არ იყენებს, ნაციონალების მმართველობის პერიოდში მას მხოლოდ ნოტარიუსის, „გამპრავებლის“ ფუნქცია ჰქონდა, დღეს ენერგეტიკის სამინისტროს ფაქტობრივ დაქვემდებარებაშია, ამ უწყებამ წაართვა გარკვეული ფუნქციები, მისი გავლით კეთდება ყველაფერი. სემეკის სხდომებიც საჯარო უნდა იყოს, ყველა ტარიფის განხილვა საჯაროდ უნდა მოხდეს, შევარდნაძის მმართველობისას ასეც იყო, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა, დღესაც იგივე გრძელდება, ახლოს ვერ გაეკარები. ღარიბაშვილს რომ აკრიტიკებენ, როგორ თუ შენიშვნა მისცა „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ საუბარი რატომ გაასაჯაროეთო, კი მაგრამ როდის იყო მათი სხდომები საჯარო? ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მხოლოდ ერთი საჯარო სხდომა ჩატარდა, მერე ისევ ჩაიკეტნენ, შენობაშიც კი არ შეგიშვებენ. სხვათა შორის, ამ ბოლო სხდომასაც მხოლოდ მედიასაშუალებების წარმომადგენლები დაასწრეს, სხვა გარეშე პირი, თუნდაც დარგის სპეციალისტი, არ მიუწვევიათ. ე.ი. როცა თვითონ აწყობთ, თურმე საჯარო მხოლოდ მაშინ უნდა იყოს, ეს რა მიდგომაა? სემეკის კანცელარიის დღევანდელი უფროსი იუსტიციის ყოფილი მინისტრის გიორგი ქავთარაძის ასევე ყოფილი მოადგილეა, რომელსაც ახლოს ვერ გაეკარები. **წესით პრემიერ-მინისტრმა უნდა იცოდეს რა უბედურებაც ტრიალებს ენერგეტიკის სფეროში, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბოლომდე არ იყოს ჩახედული.** ამიტომაც ვთქვი ჩემს ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ძალიან ცუდი მრჩეველი ყავს ენერგეტიკის დარგში, არ ვიცი ეს სტატუსი ვის აქვს, შეიძლება ვიცე-პრემიერი კალაძეცაა. კალაძის თქმით, დენის ტარიფის სამი თეთრით შემცირება მისი პირადი კავშირების ხარჯზე მოხდა. ამ განცხადების განხილვას აღარ მოვყვები, საზოგადოებამ ისედაც სათანადოდ შეაფასა. ტარიფის შემცირების საშუალება ისედაც ჰქონდათ, მაგრამ აქაც დიფერენციაცია მოხდა, ზოგს შეუმცირეს, ზოგს არა. რახან 350 კვტ ელექტროენერგიას მოვიხმარ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სხვაზე მდიდარი ვარ. მოსახლეობა უფლებამოსილია იცოდეს, რის ხარჯზე მოხდა ტარიფის შემცირება, ეს „ენერგო-პროს“ კეთილი ნება იყო, თუ რაღაც გაცვლა მოხდა, სახელმწიფომ საინვესტიციო ვალდებულებები მოუხსნა და იმიტომ შეამცირეს. თანაც გარკვეული ვადითაა შემცირებული ეს ტარიფი, არადა საინვესტიციო პროგრამა გრძელვადიანია, ე.ი. სახელმწიფო ზარალობს. წინა ხელისუფლება რომ მალავდა გარიგებებს, ვიცით, მაგრამ დღევანდელი რატომღა მალავს, ეს ხომ საჯარო ინფორმაციებია?



**- ბატონო თემურ, ვინც თუნდაც „ენერგო-პროსთან“ სახელმწიფოსთვის წამგებიანი ხელშეკრულებები გააფორმა, მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს? ხსენებულ კომპანიას სასათბურე პირობები კი შეუქმნეს, მაგრამ ალბათ გარკვეული ვალდებულებებიც ექნებოდა, რაც დარწმუნებული ვარ არ შეუსრულებიათ. ახლა თურმე აქტივების გაყიდვას აპირებენ, რადგან თურმე მათი ბიზნესი წამგებიანი ყოფილა.**

- რა თქმა უნდა პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს, მათ შორის, ნოღაიდელისაც, მილიარდობით თანხებია წაღებული. თუნდაც ზემოხსენებული 200 მილიონი დოლარი რაში აპატია ნოღაიდელმა პრემიერ-მინისტრის რანგში „ენერგოპროს“ (სინამდვილეში საკუთარ თავსა და ბიზნესპარტნიორს – მ.ს.), გაუგებარია. ნოღაიდელის აწყობილია მთელი ეს სისტემა, რომელიც საკმაოდ ჭკვიანია, მაგრამ მხოლოდ სათავისოდ. „ენერგო-პროს“ ვალდებულებები მართლაც არ აქვს შესრულებული, სად არის თუნდაც ასმეგავატიანი ელექტროსადგური, რომელიც უნდა აეშენებინათ. არავითარი წამგებიანი ბიზნესი არ აქვს ამ კომპანიას, წამგებიანს კი არა, მომგებიანს ყიდის, იმხელა თანხები აქვთ ამოღებული, რა წაგებაზეა საუბარი. ამის შემოწმება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. **ჩემი ინფორმაციით, ნოღაიდელს ძვირფასი ვილა აქვს შეძენილი ინგლისში, ძირითადად დასავლეთშია, რატომაც არა, ყველაფერი ისე აქვს აწყობილი, რომ დღესაც მილიონობით მოგება აქვს ენერგოსექტორიდან, ჩვენმა ხელისუფლებამ კი ელემენტარულად ეს წყაროც ვერ გადაკეტა. რა პრობლემაა იმ ძველი კადრების შეცვლა, რომლებიც დღესაც არიან მოკალათებული სემეკსა და ენერგეტიკის სამინისტროში და ყველაფერს თავის ჭკუაზე ატიალებენ. ხეთაგური, დამენია, გვარამია, „თელასის“ გენდირექტორი კანდელაკი დაიჭირეს, მაგრამ თურმე ბრალი ვერ დაუმტკიცეს. ერთი მილიონი დოლარი აღმოუჩინეს დამენიას სეიფში, მეტი რა მტკიცებულება უნდოდათ? ამ პირთა ე.წ. გამართლება ლაშა ნაცვლიშვილის გენპროკურორის მოადგილეობის დროს მოხდა, დღეს ნაცვლიშვილი შვეიცარიაში ცხოვრობს, საიდან ამის საშუალება, ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ მან დიდი ფული აიღო მაგანთა „გასაპრავებლად“. მის მიმართ უამრავი ეჭვი არსებობს, მაგრამ რატომღაც არავინ ინტერესდება.** სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად ჟურნალისტების მიკვირს, იმის მაგივრად რომ დაინტერესდნენ რეალურად რა ხდება ენერგოსექტორში, პრემიერ-მინისტრის განცხადებას აკრიტიკებენ ხმაშეწყობილად, რომ თურმე მთავრობა ინვესტორებზე ზეწოლას ახდენს, ტარიფის ხელოვნურად შენარჩუნებას აიძულებს, რის გამოც მათ პრობლემები ექმნებათ. რეალობის გარკვევა სერიოზულად იბლოკება. მე ერთხელ დამიკავშირდნენ „მაესტროდან“, მაგრამ როგორც კი მიხვდნენ, რომ განსხვავებული მიმართულება მქონდა, ბოდიში მომიხადეს, მოდით ეს თემა გადავდოთ, ცოტა ხანში თვითონ დაგირეკავთო, თუმცა აღარ დამკავშირებიან. მაშინვე მივხვდი, რომ ეს თემა დაბლოკილი იყო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ვინ აკონტროლებს დეზერტირების საკოლმეურნეო ბაზარს?

**ინტერვიუ ადვოკატ ლექსო კობაიძესთან**

**— ლექსო, სანამ ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, თქვენ მითხარით, დეზერტირების ბაზარში სრული განუკითხაობააო. კაცმა რომ თქვას, ეს ახალი ამბავი არაა, ბაზრის ადმინისტრატორის ვინაობის დადგენა არაერთ ჩვენს კოლეგას უცდია, თუმცა ამაოდ. დეზერტირების ბაზარი „აუღებელი ციხეა“. თქვენ რა გაარკვიეთ, რა ხდება იქ?**



— რამდენიმე ხნის წინ დეზერტირების ბაზრის მოვაჭრეებმა მომმართეს თხოვნით, რომ დავხმარებოდით თავიანთი უფლებების აღდგენაში. საქმე ისაა, რომ იქ ყოველგვარი შრომითი უფლება სასტიკად არის დარღვეული. მოვაჭრემ ადმინისტრაციას ყოველ დღე 30-დან 50 ლარამდე უნდა გადაუხადოს. წარმოიდგინეთ, დღეში 50 ლარი შეიძლება ვერც ივაჭროს ადამიანმა, მაგრამ მან მაინც უნდა გადაიხადოს. დეზერტირების საკოლმეურნეო ბაზარი არის კერძო და ბაზრის ხელმძღვანელობა კატეგორიულად აცხადებს, გადაუხდელობის შემთხვევაში დატოვეთ ეს ბაზარიო. ჩვენ შევისწავლეთ საკითხი და აღმოჩნდა, რომ იქ ადამიანთა შრომითი უფლებები უხეშად ირღვევა. მაგრამ საინტერესო ფაქტები თურმე კიდევ წინ გველოდა. მივყევით საქმეს და ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით აღმოჩნდა, რომ საკოლმეურნეო ბაზარს ფლობს ახალაიების ოჯახი, ხოლო ბაზრის დირექტორი გახლავთ ახალაიების ბიძაშვილი. მათ ორგანიზაცია ოფშორში აქვთ დარეგისტრირებული და თანხების მართვა ოფშორიდან ხდება.

თუ სახელმწიფოს მიდგომა არის ისეთი, რომ დემოკრატიაა ქვეყანაში, შემოსავლების სამსახურმა, ფინანსთა სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უნდა ნახონ და შეამოწმონ, რა ხდება, რეალურად, ამ ბაზარში, როგორ შეიძინა მფლობელმა, რა ვითარებაში და რა სახსრებით. ეს კითხვები არსებობს და სანამ პასუხი არ გაეცემა, მანამ იარსებებს.

**— ვთქვათ, ახალაიებს ეკუთვნით საკოლმეურნეო ბაზარი. თითქმის დარწმუნებული ვარ, დოკუმენტაცია წესრიგში იქნება, სახელმწიფომ რა დარღვევა უნდა აღმოაჩინოს დოკუმენტაციაში, თუკი პირებმა ორგანიზაცია კანონიერად შეიძინეს?**

— ახლა მე გაგახსენებთ, როგორ ართმევდა ხალხს ქონებას სააკაშვილი და მისი გუნდი და ცხადი გახდება ბევრი რამ.

ყველამ ვიცით, სააკაშვილის ხელისუფლება დაიჭერდა ქონების მფლობელს, დაუყადარებდა და ჩამოართმევდა ყველაფერს არა მხოლოდ მას, არამედ ყველა მის პარტნიორს. დღეს ასეთი მიდგომები აღარ არის, თორემ დეზერტირების ბაზრის და მსგავსი ტიპის ქონებები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს უკვე.

კარგია, რომ ეს ხელისუფლება სააკაშვილის მეთოდებით აღარ მუშაობს, მაგრამ ხომ შეიძლება დაინტერესდნენ, როგორ იშოვეს მილიონები წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა. გაარკვიოს ეს ფინანსთა სამინისტრომ. გაგვცენ პასუხი, რატომ არის პრივილეგირებული „ნაცმოძრაობის“ ძველი ბელადები კვლავ და რატომ აგრძელებენ ხალხის ყვლეფას?! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ, უფლებათა დამცველებს, გვიჩნდება კითხვა: კვლავ ვინმე ხომ არ მფარველობს ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობას“?

თქვენ ზემოთ დოკუმენტაცია ახსენეთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ შესაბამისი საბუთები იდეალურ მდგომარეობაში ექნებათ, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, სააკაშვილის დროს არათუ საკოლმეურნეო ბაზრის მფლობელობა, არამედ ბუზიც ვერ გაფრინდებოდა თავის ნებაზე. როგორ შეისყიდეს და გაიფორმეს ახალაიებმა ეს ბაზარი?!

გასაგებია, რომ 1 ლარად არავის მიუცია მათთვის ეს ქონება, მაგრამ სად ჰქონდათ ის უზარმაზარი თანხები, რომლებითაც უძრავმოძრავი ქონება შეიძინეს საქართველოში და საზღვარგარეთ და შემდეგ ყოველივე ეს ოფშორულ ზონებში დაარეგისტრირეს?

საყოველთაოდ ცნობილია, „ნაცმოძრაობის“ წევრების დიდი ნაწილი ჯიბეგაფხეკილი მოვიდა პოლიტიკაში და გამდიდრებულები წავიდნენ, თვით სააკაშვილის ქონება, როგორც ამბობენ, მილიარდებს ითვლის, გამოიკვლიონ ეს საკითხები, ან მოგვცენ ნება, ჩვენ გამოვიძიოთ. ჩამოერთვათ უკანონოდ შეძენილი სიმდიდრე და დაისაჯონ ეს გარეგნულად რაფინირებული ყაჩაღები.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**






**დეველოპერული კომპანია „არქი ჯგუფი“ თამარაშვილის 13 ნომერში მიმდინარე მშენებლობაზე ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს**

**არქი ჯგუფი**
დეველოპმენტი/ინვესტმენტი/სასტუმროები

დეველოპერული კომპანია „არქი ჯგუფი“ პროექტზე, რომელიც თამარაშვილის 13 ნომერში უნდა განხორციელდეს, უკვე 9 თვეა მუშაობს. აღნიშნულ ნაკვეთზე „არქი ჯგუფი“ გეგმავს საცხოვრებელი კომპლექსის - „გრინ სითი“-ს აშენებას, რომელშიც დაახლოებით 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება და მშენებლობის პერიოდში დასაქმდება დაახლოებით 200 ადამიანი.

იმის გამო, რომ ტერიტორიაზე ბევრი მწვანე ნარგავია, ამ დროის მანძილზე, მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად პროექტის ოპტიმიზაცია სწორედ იმ მიზნით მიმდინარეობდა, რომ ხეების მოჭრა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი. ჩვენი მიწის ნაკვეთი 7070 მ2-ია და მოშენება ხორციელდება მხოლოდ დაახლოებით 1600 მ2-ზე. შესაბამისად, მინიმალურად ხდება ნაკვეთის ათვისება, რათა რაც შეიძლება დიდი გამწვანებული ტერიტორია დარჩეს.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე, „არქი ჯგუფის“ მიერ 300-მდე ნერგი დაირგო. ამასთან, კომპანიამ მერიას შესთავაზა დამატებითი ტერიტორიის გამოყოფა, რომელზეც კომპანიის სახსრებით მოხდებოდა 800-დან 1000 ძირამდე ნერგის დარგვა.

რაც შეეხება ხეების მოჭრას, ჩვენ ნებართვა ავიღეთ 30 ხის მოჭრაზე, რომელთაგან 4 სრულად გამხმარია. დანარჩენი 26-დან კი უმეტესობა მძიმე მდგომარეობაშია და უახლოეს წლებში სრულად გახმებოდა. შესაბამისად, ნებართვის გაცემა და ხეების მოჭრა განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით.

„არქი ჯგუფის“ მთავარი პრიორიტეტები, მოსახლეობის ხარისხიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფასთან ერთად, გარემოზე, ქალაქის იერსახესა და გამწვანებაზე ზრუნვაა. ამ მხრივ კომპანიამ ახალი პრეცედენტი შექმნა – ყოველი აშენებული 10 კვადრატული მეტრის სანაცვლოდ ქალაქში 1 ხეს რგავს.

გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან, ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ „არქი ჯგუფის“ დღევანდელი მოქმედება სრულ შესაბამისობაში იყო კანონთან და იმ მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობასთან, რაც კომპანიას გააჩნია.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**„არქი ჯგუფი“, ყიფშიძის ქუჩა №15,**
**თბილისი, საქართველო**
**E-mail: info@archi.ge**
**Tel: +99532 2 602 602**
**M: 577 788 744**



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ნაირა გელაშვილი



# `Seziarebul Ta~ qveyana

კარგა ხანია ქართულ ტელეარხებს აღარ ვუყურებ. წერტილოვანი გამონაკლისების გარდა ეს არის ერთიანად ყვითელი, ქარაფშუტა და ბოროტი ტელესივრცე. ნამდვილი ეროვნული უბედურება. აქ რომ აზრები ხმიანებს, ის აზროვნების სფეროს არ განეკუთვნება. აქ რომ გრძნობები და საქციელები ტრიალებს — გადაგვარების მანიფესტაციაა. ამ ტელეარხების პატრონებს და დაქირავებულ ჟურნალისტებს ამოძრავებთ ერთადერთი ვიტალური იმპულსი: მოიპოვონ, შეინარჩუნონ, გაიზარდონ შემოსავლის წყარო, მაშასადამე: რეიტინგი! სხვა აღარფერი აღარ არსებობს: რეიტინგი! ნებისმიერ ფასად! ადამიანის ყველაზე სუსტი და ბნელი ინსტინქტების სტიმულირებით! ამას ალბათ უფრო ბიოლოგიურ-კომერციული ყნოსვით აკეთებენ, ვიდრე დემონურ-ინტელექტუალური გათვლებით. და აქა-იქ, სადაც ნათელი სახე ჩნდება და გონივრული რამ ითქმება, მთლიანად დამიწებულია გარემომცველი უაზრობით.

რადგან ტელევიზია მაინც რჩება საზოგადოებაზე ზემოქმედების ყველაზე მასობრივ საშუალებად, შეგვიძლია გავიხაროთ:ჩვენნაირიტელევიზიითდედამიწის ზურგზე ვერავინ ააშენებს სახელმწიფოს (ნამდვილი სახელმწიფოები მაშინ შენდებოდა, როცა ტელევიზია არ არსებობდა). მასობრივი უმუშევრობა (რაც ჩვენში უმეტესად უსაქმურობას ნიშნავს, თუმცა, სულ არ არის აუცილებელი, ამას ნიშნავდეს) ლამის გათენებამდე ჩართული ტელევიზორების გარანტიაა. მაშასადამე, ტელევიზიაჩვენთანუწყვეტად კვებავს ისედაც დეზორიენტირებულ ადამიანებს უსირცხვილობით, უხამსობით, ძალადობით, უაზრობით, გუშინწინდელი ცნობიერებით, სტერეოტიპებით.და რითიც კვებავს, იმის მოთხოვნილებას უჩენს. მთელ მსოფლიოში მასობრივი ნევროზე-




ბის, ძალადობის ეპიდემიის ერთერთ უმთავრეს გამომწვევად სრულიად სამართლიანად ითვლება ტელევიზია. ჩვენში მითუმეტეს ასეა. ამას რა უნდა დაუპირისპირო? ასეთ წრეში მომავალი ვერ შემოვა. რაიმე კარგის, სასიკეთოს აშენება ხომ მხოლოდ წესიერ, საღ ცნობიერებას შეუძლია.

პირველ რიგში, ამ ტელესამყაროს უნდა შეისწავლიდეს ვინმე ან რაიმე ამ ჩვენს გზაკვალარეულ ქვეყანაში, აანალიზებდეს და თავის სახელს არქმევდეს. მე რომ ხელისუფლება ვიყო, აუცილებლად აღვადგენდი და განვაახლებდი ფსიქოლოგიის ინსტიტუტს და შევუკვეთდი საზოგადოებრივი ცნობიერების, ასევე, პირველ რიგში, მასზე ტელევიზიების დამანგრეველი ზემოქმედების კვლევას. მაგრამ აქამდე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შორია. რადგან ჯერ კიდევ შორია ადამიანამდე.

2003 წლიდან 2012წლამდე საქართველოში მოხდა ბოროტების დაუჯერებელი აკუმულირება, ისეთი ხარისხის სისტემური დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ,რის შედეგადაც მრავალი ყველაზე მგრძნობიარე ადამიანის თავში პირველად დაიბადა კითხვა: ჩვენ, როგორც ერს, კიდევ გვაქვს არსებობის უფლება? როგორ წარმოშვეს ოჯახებმა, დედებმა, სკოლებმა, საზოგადოებამ ამდენი ჯალათი, ამდენი ფსიქოპატი-სადისტი, სისხლისმსმელი არარაობა, რომლებითაც გატენილი იყო „ნაციონალური“ (დიახაც, სწორედაც ლოკალურ-ნაციონალური და ამჯერად უკვე არა საბჭოთა) პენიტენციალური სამყაროსა და ხელისუფლების ლამის ყველა უჯრედი? და (როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება) რომ არ გამოჩენილიყო ადამიანი, რომელმაც შეძლო გაეკეთებინა ის, რაც საჭირო იყო ამ მონსტრისთვის ტახტის გამოსაცლელად, რა უნდა გვექნა? კიდევ რამდენი სამუდამოდ დასახიჩრებული ადამიანი და შემუსრული სიცოცხლე „გაამდიდრებდა“ ჩვენს ყოფას სულიერად გამოფიტული ტელეკორიფეების ცინიკურ მიეთმოეთში? ხომ ახლოს ვიყავით იმ შესაძლებლობასთან, რომ აღარავინ დარჩენილიყო ღირსებააუყრელი? ხომ ყოველ წუთს ვიღაცას ამსხვრევდნენ და აუპატიურებდნენ! და აქ წამიერად გავიხსენებ, რომ ყველანაირი სასტიკი ავტოკრატიის ყველაზე საიმედო დასაყრდენი მასობრივი კონფორმიზმია (ჩვენთან ასე ხშირად რომ ირგებს ვითომც ელიტარულ, ვითომცდა რაღაცაზე ამაღლებულ, საცოდავ ნიღბებს).

თუ ვინმეს გრძნობების ატროფიისა და ადამიანობის გაწყალების გამო (რასაც ემსახურება ჩვენი ტელესივრცის უდიდესი ნაწილი), ან აღარ ახსოვს, ან არა სჯერა, მაინც რა ხდებოდა „ნაციონალურ“ ციხეებში და ციხეებს გარეთ, ვურჩევ წაიკითხოს, სხვა თუ არაფერი წაუკითხავს, დაუნახავს და გაუგია, მცირეზე მცირე ბროშურა: „ისტორიები საქართველოს ციხეებიდან“ გამოცემული 2014 წელს „საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის“ მიერ (რედაქტორი ლელა ცისკარიშვილი). ადამიანის წამებისა და დამცირების ამ ენით აღუწერელმა ფაქტებმა ცხოვრებისაგან ისედაც სასოწარკვეთილ ზოგ მკითხველს შეიძლება თვითმკვლელობისაკენ უბიძგოს: რადგან შეგრცხვება, რომ იმავე ხალხს ეკუთვნი; რადგან შეგეშინდება, რომ ამ პატარა ქვეყანაში, ამ დედაქალაქში ამდენი მკვლელი და სადისტი დაიარება შენს გვერდით, სუნთქავს იმავე ჰაერით, ცხოვრობს იმავე კორპუსში... და რაღას უნდა განიცდიდნენ მსხვერპლები? მათი მშობლები? შვილები? მეუღლეები? როცა ეს მკვლელები და ჯალათები, საზოგადოებისაგან სამუდამო იზოლაციას რომ იმსახურებენ, მსაჯულებად და მორალისტებად იქცნენ? როცა ამდენ შეურაცხად ადამიანს ამდენი საშუალება აქვს თავისი ქედუდრეკი უტიფრობა საქვეყნოდ აფრქვიოს? როცა მათი აგზნებული და ანაზღაურებული „გამმართლებელნი“ თითქმის ყველა ტელეარხიდან, თითქმის ყველა „მოდური“ ტელეწამყვანის მეშვეობით საშველს აღარ აძლევენ უშუალო მსხვერპლებს, მათ ახლობლებს, საშველს აღარ გვაძლევენ ჩვენ, აღარ გვიტოვებენ სასუნთქ სივრცეს: განაგრძობენ დაცინვას და მსხვერპლთა აბუჩად აგდებას, ტყუილსა და საარაკო უსირცხვილობას და ამით უწყვეტობას ანიჭებენ განწირულთა წამებასა და ღირსების აყრას, მათ ყვირილსა და გმინვას, დაწყებული სხეულდასე-



რილი სანდრო გვირგვლიანიდან დამთავრებული იმათით, რომელთა სახელსა და გვარსაც კი ვერ დაიმახსოვრებს საზოგადოება (მაგალითად, იმ 18 წლის სრულიად უდანაშაულო ბიჭით, რომელსაც ისე სცემეს, რომ მუხლი ჩაუმსხვრიეს, მერე განგრენა რომ განუვითარდა, ფეხი მოაჭრეს და მერე, ტანჯვაში რომ დალია სული, შავი ყუთით გაიტანეს ციხიდან).

და ყოველივე ამის შემდეგ: თანამშრომლობა ბოროტებასთან!

„კოჰაბიტაცია“ ქართული ბედისწერის სახელია. რადგან: ის იყო და არის ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ცხოვრების წესი და არა მხოლოდ ხელისუფლების ფატალური შეცდომა, რომელიც მას შეიწირავს, თუ უკვე არ შეიწირა. ეს არის ორმო, რომელშიც ის ჩავარდა (მეორე ასეთი ორმო აფეთქებული საყდრისია. და ვინ ამოიყვანს მას ამ ორმოებიდან, არ ვიცი).



„კოჰაბიტაცია“ არის სრული უწესობა და უიდეობა; საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეთიკური პრინციპების ერთიანად უარყოფა; სამართლის სასიცოცხლო აუცილებლობის უგულვებელყოფა; ზავი, კარგი ურთიერთობა და თანამშრომლობა სიბილწესთან, ბოროტებასთან, სიბნელესთან, დაუსჯელ დამნაშავეებთან. ტანჯულის, მსხვერპლის, დაუცველის ღალატი და გაწირვა. ესეც პაქტია ეშმაკთან (და ისიც არანაკლები დანაშაულია, თუ ადამიანს, რომელმაც დანაშაული აღიარა, სასჯელი მოიხადა და ახლა ახალი ცხოვრების დაწყება უნდა, - წარსული წამოაძახო და ცხოვრებისაკენ გზა გადა-

უკეტო).

პოლიტიკოსების 99 პროცენტისაგან დიდი ხანია ხალხი აღარც ერთგულებას ელის და არც სიმართლეს, არც წესიერებას და არც გონიერებას. თან ისიც არავინ იცის, მაინც რა სიძლიერის წნეხის ქვეშ შემოიხვია ხელისუფლებამ თავისივე დამღუპველი „კოჰაბიტაციის“ თასმები. ეგებ სხვა გზა მართლა არ ჰქონდა. ეგებ ხელები გადაუგრიხეს. მოკლედ,პოლიტიკოსების მორალური სიძაბუნე თუ განურჩევლობა შეიძლება ფსიქოლოგიურად ისე საშიში არ იყოს, როგორც ჟურნალისტებისა და ფსევდოელიტებისა. რადგან მას შემდეგ, რაც საზოგადოება არსებობს, საბოლოოდ მაინც საზოგადოების აზრია გადამწყვეტი ქვეყნის ბედისთვის. და ხელისუფლება, როგორც ხალხის ნაწილი და გაწაფული პოლიტიკური გეშის პატრონი, ზუსტად ხვდება, რა შეიძლება გაუვიდეს ამ ხალხთან და რა არა.

„კოჰაბიტაცია“ მარტო პარლამენტში როდი ხორციელდება. მას მუდამ, თავის დონეზე და თავის ადგილას ახორციელებდა ქართველთა უდიდესი ნაწილი.

ნაციონალების ზეობის დროს ერთხელ ვწერდი: დღეს საქართველოში ღირსება მხოლოდ იმას აქვს შენარჩუნებული, ვისაც არა სჭირდება ახსნა, თუ რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა „ნანუკას შოუში“ -მეთქი. „ნანუკას შოუ“, როგორც კრებითი სახე უაღრესად დაბალი სინჯის, ვულგარული და ყალბი სანახაობისა. ნორმალურ ადამიანს რომ ასნეულებს. მეტ-ნაკლებად ასეთია ჩვენი ქართული „შოუ“-ს უმეტესობა. (და მართლა აბსურდი ის არის, რომ ყველა „ნაციონალური“ შოუ დარჩა, და ვასიკო ოდიშვილის მართლა ინტელექტუალური სატირა, დიდი სოციალური ფუნქცია რომ ჰქონდა შეძენილი, გაქრა). და ვილა არ მონაწილეობდა და მონაწილეობს ქართული ფაშიზმის ტელესანახაობებსა თუ „ტელესაუბრებში“ , ისინი, ისინი, ვითომც რომ გმობდნენ და გმობენ სისასტიკეს და ადამიანთა სიცოცხლის შემუსვრას, ვითომც რომ ემიჯნებოდნენ ყოველივე ამას და ხშირად ქრისტიანობის სახელით!

კარგი. ხელისუფლებამ ვერ თუ არ მოახერხა მართლმსაჯულების აღსრულება და ცხრაწლიანი ჯო-

ჯოხეთის ორგანიზატორები ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში განაგრძობენ ბოგინს, ჯალათები მაღალ პოსტებზე სუფევენ და ისევ განაგებენ ადამიანთა ბედიღბალს;ხელისუფლების ზოგი ოდიოზური სახე იმტკიცება, რომ სჯობს უარი ვთქვათ სამართალზე, სინდისზე ანუ, ადამიანობაზე, ოღონდ კი დასავლეთის კეთილგანწყობა და „რატიფიკაციები“ მოვიპოვოთ. კი, სახეზეა ეს ზნეობრივი კაპიტულაცია და სამართლებრივი დავრდომილობა, ეს უბედურება. მაგრამ შენ,როგორც ჟურნალისტმა ხომ იცი, ნაციონალი პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები დამნაშავეები რომ არიან და ათასობით და ათი ათასობით ადამიანის უბედურება მათ კისერზეა! ხომ იცი, რომ ვინც ამ დანაშაულს არაფრად აგდებს, ფარავს, უარყოფს, გინდაც თავად არ იყოს მონაწილე, არანაკლები და ხშირად, როგორც სისატიკის იდეოლოგი, კიდევ უფრო დიდი დამნაშავეა? არ იცი ეს? არ გაგიგია? როგორ მოგყავს ეთერში ეს ხალხი და აძლევ საშუალებას გააგრძელოს მაყურებელთა ტრამვირება?! ტრავმირება! ჭკუიდან გადაყვანა!

და ჟურნალისტებსაც დავანებოთ თავი. აღარც კი ვიცი, ჩვენთან მათ, საერთოდ, რა უნდა მოსთხოვო. მაგრამ, შენ, რიგითი მოქალაქე, ხელოვანი, მეცნიერი თუ იურისტი, თუ ვინც ხარ, ნაციონალები რომ დამნაშავეებად მიგაჩნია და „ოცნების ხალხი“ უნიათოდ, რატომ მათ ბოლომდე ვერ მოერივნენო, რისთვისღა მიდიხარ ტელესტუდიაში დამნაშავეებთან სასაუბროდ, მათთან საკინკლაოდ თუ საკალმასოდ, ამით ხომ ყველანი მათ ლეგიტიმაციას ახდენთ? რისთვის მიდიოდი და მიდიხარ რუსთავი 2-ში, განა ეს არ იყო და არ არის ერთ-ერთი ყველაზე დანაშაულებრივი რეჟიმის იდეოლოგიური მანქანა?! მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც „ექსპერტი“, მოუშორებლად მიეწებო ტელეეკრანს?! მხოლოდ იმიტომ , რომ ერთხელ მაინც გაიბრწყინო ეთერში და ეს შენი არსებობის ვარსკვლავურ საათად ჩათვალო?

ნაციონალური რეჟიმის დამარცხების შემდეგ საქართველოში უფრო მძიმე ზნეობრივი ატმოსფერო ჩამოწვა. რადგან ადრე იყო ბრძოლა, მძაფრი გამიჯნულობა ბოროტებისაგან, ხალხის უმეტესი ნაწილი საზარ რეჟიმს უპირისპირდებოდა და სხვადასხვა ფორმის საპროტესტო გამოსვლები არ შეწყვეტილა, რაც მუდამ ნიშანია ერის სიცოცხლისა. და ნიშანი იმისა, რომ ეს ხალხი სიცოცხლის ღირსია. პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა „კოჰაბიტაციამ“ კი ეს გამიჯნულობა მოსპო და ბოროტება დააკანონა. აქედან მოდის სულიერი დამბლის ატმოსფერო. და ეს იმიტომ, რომ ეთიკა და მისი პირველი ნაყოფი - სამართლიანობა ყოფიერების სამკაული კი არ არის, არამედ ადამიანობის საფუძველია. მისი სულიერი ჯანმრთელობის, მისი მთლიანობის, სიხარულისა და წინსვლის საფუძველი. მახსოვს ზოგი დიდი აზრი როგორ შემძრავდა ხოლმე. მაგალითად, ასეთი იყო: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლსა“ (პირდაპირ ვხედავდი ხოლმე: ჩამჭკნარი ხე როგორ ფოთოლ-ფოთოლ ცოცხლდებოდა და ჩაწიხლული ადამიანი როგორ ნელ-ნელა იშლებოდა წელში და უნათდებოდა სახე). და კიდევ უფრო ძველი: „ დაე, აღსრულდეს სამართალი, თუნდაც დაიქცეს სამყარო!“ ვისაც არასოდეს ჰქონია განცდა, რომ მართალი სამართალი უპირობო რამაა, ის სამართლიან სახელმწიფოს ვერ ააშენებს. ამიტომ იწყება კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილება პლატონის „სახლმწიფო“ სამართლზე, სამართლიანობასა და მართალ სამართალზე ვრცელი მსჯელობით.

და აი, ასეა: ხალხი, რომელსაც მე-12 საუკუნეში გაუჩნდა „მართალი სამართლის“ უღრმესი ცნება, 21 -ე საუკუნეში ვერა და ვერ ახერხებს მთავარ ადგილას დააყენოს მთავარი: სიმართლე, სამართლიანობა, სიყვარული და აზროვნება. უძველესი ქრისტიანული ქვეყანა ვერაფრით ახერხებს ნამდვილ ქრისტიანობასთან მიახლოებას, რომელიც გაზეპირებული ტექსტები და რიტუალი კი არა, ცხოვრებისა და აზროვნების წესია და გამსჭვალულია სახარებისეული იმპერატივით: „ნუ შეეზიარები ბნელის უნაყოფო საქმეებს, არამედ ამხილე“. და „გამოეყავი“ ( „ჩვენ კი გამცნობთ, ძმებო, რომ ჩამოშორდეთ ყოველ ძმას, რომელიც უწესოდ იქცევა“, „... განვერიდოთ უწესო და ბოროტ ადამიანებს“ 2 თესალოკ.). ყველა რომ ასე ჩამტკბარიყო და ჩამთბარიყო ბოროტებასთან, ყველას „ბნელთან შეზიარების“ გზით რომ ევლო, ყოველდღიურ ყოფაში ღირსეული უღირსობას რომ არ გამიჯნოდა, და კარგი - ცუდს, გამიჯვნის, დიახაც,ძნელად შესასრულებელი ნორმებით (განკვეთა, უწესო კაცისთვის „სალმის დაჭერა“, მასთან „პურის გატეხვის“ დაუშვებლობა, იმ ადგილის დატოვება, სადაც უღირსი ადამიანი იმყოფება), აქამდე ყველა ხალხი გადაშენდებოდა. და გადაშენება არასოდეს არ არის გვიან და ჩვენც, მგონი, აქეთა გვაქვს პირი ნაქცევი.





დიახ, ქართულმა „ნაციონალურმა“ და ერთ დროს „ანტინაციონალურმა“ ტელევიზიებმა ქართველ საზოგადოებასთან ერთად განახორციელეს „კოჰაბიტაციის“ ყველაზე გამრყვნელი და დამღუპველი კურსი, მათ აჩვენეს, რა ცოტა ღირსებაა დღეს საქართველოში, რა გაველურებაა ზნეობის სფეროში. და გააკეთეს ეს იმით, რომ დამნაშავეებს დაუთმეს თავიანთი ეთერი და რაც მთავარია, ერთმანეთთან სასაუბროდ დასვეს დამნაშავეები და მათ წინააღმდეგ მებრძოლები. ამაზე უკეთ ვერ მოახერხებ მთავარ დანაშაულს: სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთში აღრევას! ყველაფრის ერთმანეთში ალუფხვას! გაუთავებელი ლაქლაქითა და სიტყვიერი მუჯლუგუნებით ნამდვილი ტრაგედიების გაქარწყლებას! ცხედრებზე გადაბიჯებას! მოკლულთა ხელახლა მოკვლას! ცოცხლად დარჩენილ მსხვერპლთა საბოლოოდ ჩაკვლას და სამუდამო მარტოობაში ჩაკეტვას! დედათა გლოვის გაუფასურებას! და ეს მხოლოდ რეიტინგისთვის! რადგან სისხლიანი კორიდა ცხოველების მოყვარულთაც იზიდავს.



ასეთი ტელეკორიდების უბადლო ოსტატის, უკვე ლეგენდარული ინგა გრიგოლიას მორიგმა(17 აპრილის) გადაცემამ მიბიძგა ამ ტექსტის დაწერისაკენ. უფრო ყვირილი მინდოდა, ისეთი ამაზრზენი იყო ის, რასაც თვალი მოვკარი. რადგან ქართული ტელესივრცის უბრალოდ მეშინია, ისეთ ტრავმას მაყენებს, უცბად გადავირბენ ამ არხებს პულტის ღილაკის წყალობით და გარეთ გავაღწევ ხოლმე უცხო ქვეყნებში, სადაც ყოველთვის შეიძლება აზროვნების მოთხოვნილება დაიკმაყოფილო და, ან წიგნიერი ადამიანების ცოცხალ საუბარს მოუსმინო, ან რაიმე ძალიან საჭირო დოკუმენტური ფილმი ნახო. მაგრამ ამჯერად ამ ქართულ „შოუში“ჩავეშვი, რადგან „ნაციონალების“ ერთ-ერთი მსხვერპლის, უზომოდ დაზიანებული ადამიანის ნერვებდაწყვეტილ ყვირილს ვერ გავექეცი. ეს იყო უილაჯობის ყვირილი - ქალბატონი წამყვანის მჭახე გულგრილობის საზარ ფონზე. და იყო კიდევ „ყველაზე ახალგაზრდა პოლიტიკური პატიმრის“ სიმწრით ჩატეტკილი სახე. კიდევ სხვა ხელყოფილთა ასეთი სახეები - სულ უილაჯობა მათ გვერდით მჯდომ ნაციონალ-კომკავშირელთა უტიფრობის წინაშე.

შეიძლება, ერთ მხარეს უზომოდ დაშავებული, შეურაცხყოფილი და დამცირებული ადამიანები, მსხვერპლები დასვა და მეორე მხარეს ამ ბოროტმოქმედების გამამართლებლები? რომელთაც სინდისი და სირცხვილი, როგორც ადამიანობის ფუნდამენტური მონაცემი, უბრალოდ, არ გააჩნიათ?! ნაციონალური მოძრაობის ძველი და ახალი მხარდამჭერები, მათი ცვლა, ქართული ჰიტლერიუგენდი ? მე ვკითხულობ: როდემდე შეიძლება ამ ველურობის დაშვება და ატანა? ხალხი ძლივს ითოკავს ნერვებს, რადგან ჯერ კიდევ ირწმუნებს თავს, რომ სამართალს მაინც ეღირსება პური, თუნდაც გამხმარი. მაგრამ იქ,სტუდიაში ნერვებმა რომ უმტყუნოს ვინმეს, მაგალითად, სამუდამოდ დასახიჩრებული ბიჭის მამას და მავან უტიფარ ნაციონალს ყელში წასწვდეს? ოღონდაც! ოღონდაც! ნანატრი მიზანიც ხომ ეს არის! ხომ პირდაპირ ნესტოები თრთის მოწყურებული სისხლის სუნით! მერე ნახეთ რეიტინგი! რეიტინგი! რეიტინგი!

და როდემდე შეიძლება საზოგადოების ასე დასნეულება ამ მართლა უთავბოლო ქვეყანაში? ეს რა ქვეყანაა, რომ ლამის აღარაფერი აღარ არის აქ მშობლიური? კუნჭული რომ აღარ არსებობს მგრძნობიარე ადამიანის სულისთვის?

და თქვენ, თქვენ რატომღა გეშლებათ, ჩემო ძვირფასო ადამიანებო, რომლებმაც უშუალოდ გადაიტანეთ სააკაშვილის რეჟიმის მთელი საშინელება, რეჟიმისა, თქვენი ჯანმრთელობა, თავმოყვარეობა, უახლოესი ადამიანები, მთელი ცხოვრება რომ შეიწირა, რატომ მიდიხართ იაფაფსიან, აყეფებულ-აქაფებულ ტელეგადაცემებში, რატომ უყადრებთ თავს ბოროტმოქმედებს, რატომ ახდენთ მათ დაკანონებას თქვენი მათ გვერდით ჯდომით? საუბრით? რატომ აწყვეტინებთ ისედაც დაწყვეტილ ნერვებს? მესმის, რომ თქვენი საშინელი მარტოობიდან გამოსვლა, ადამიანებთან დალაპარაკება, სიმართლის აღიარება გწყურიათ, მაგრამ, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ ის ძველი კანონი, რომელიც მსგავს შემთხვევებში სწორად მოქცევას გვასწავლის, კანონი, რომელიც გვიკრძალავს მარგალიტების დაყრას ღორებისათვის, მით უფრო, სისხლიანი ღორებისათვის. და თქვენი მწარე გამოცდილება თქვენი მარგალიტია, თქვენი სიმდიდრეა, თქვენი მტკივნეული სიბრძნეა, საიდანაც, დარწმუნებული ვარ, დიდი სიმართლე და სიკეთე, დიდი ზნეობრივი გაბედულება ამოიზრდება და სხვებს დაიცავს, სხვებს გააძლერებს. მიდით ღმერთთან, მიდით წიგნთან, მიდით ბუნებასთან, დაწერეთ, რაც ნახეთ და გადაიტანეთ, მიდით კარგ ადამიანებთან, მაგრამ ნუ მიხვალთ ტელესტუდიაში, სადაც თქვენს ჯალათებს დაგახვედრებენ, სადაც როყიოდ დააზურდავებენ თქვენსა და ჩვენს სატკივარს, სადაც ტრაგედიას სანახაობად აქცევენ. ნუ მიხვალთ.და ნურც უყურებთ.



ათასობით ადამიანის ფიქრი და თანალმობა დაგტრიალებთ თავს. ათასობით ადამიანი პატიებას გთხოვთ, რომ განსაცდელში ვერ დაგეხმარათ. ათასობით ადამიანი არასოდეს დაივიწყებს თქვენს ტანჯვას. თქვენს მსხვერპლს ღრმა და წმინდა აზრი აქვს. გარდაცვლილებიც და გადარჩენილებიც იმას შეეწირეთ, რომ ჩვენი საკუთარი სიბნელე გამოვლენილიყო და ჩვენ მისთვის თვალებში ჩაგვეხედა! თვითშეცნობის გარეშე ხომ ბნელ ჩიხში დავრჩებით. ახლა კი ვიცით, რა საშინელება იმალება ჩვენში და რა არის ის, რაც არცერთ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. ახლა თავიდან გავიგეთ, რომ სინათლისათვის ყოველ წუთს უნდა ებრძოლო სიბნელეს, რათაწყვდიადში არ ჩაპირქვავდეს ყველაფერი. ღმერთმა მოგვცეს ძალა ერთმანეთის დასახმარებლად.



# არჩილ ჭყოიძე: ბიძინა ივანიშვილმა შეასრულა დანაპირები და სააკაშვილი გაუშვა ხელისუფლებიდან, დანარჩენი ქართველი ხალხის გასაკეთებელია

**ინტერვიუ „ერეკლე II საზოგადოების“ ხელმძღვანელთან არჩილ ჭყოიძესთან.**

**— არჩილ, „ნაცმოძრაობა“, რომელიც თავის თავს მთავარ ოპოზიციურ ძალას უწოდებს, ხელისუფლებას პრორუსულს უწოდებს. აქვთ ამის საფუძველი?**

— ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც რუსეთისადმი ლიბერალურად არიან განწყობილნი, თუმცა ამათ გამო მთელ ხელისუფლებას პრორუსულს ვერ დავარქმევთ.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ მთავარ სამიზნეს — ბიძინა ივანიშვილს, ეს ადამიანი არ გახლავთ პრორუსული ორიენტაციის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ივანიშვილი არ გახლავთ პოლიტიკოსი. ის არის ძალიან მაღალი დონის ბიზნესმენი და თავისი სამშობლოს მოყვარული ადამიანი.

ხელისუფლება კი პრორუსული რომ ყოფილიყო, დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო რუსეთის და საქართველოს პირველ პირებს შორის შეხვედრა.

**— სამაგიეროდ, მოხდა ბელორუსიის პირველი პირის და საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების შეხვედრა. ლუკაშენკო პირველად ეწვია თბილისს. რას შეიძლება მივაწეროთ მისი ვიზიტი, რუსეთის მხრიდან საქართველოში პოზიციების გამყარების ნიადაგის მოსინჯვას ხომ არა? ამერიკა ხომ არ თმობს აქ პოზიციებს?**

— ნუ გავაზვიადებთ ლუკაშენკოს ვიზიტის მიზნებს.

ლუკაშენკო არის, შეიძლება ვთქვათ, „ადინოკი ვოლკი“ პოლიტიკურ თამაშებში. ის ძალიან ჭკვიანი კაცია. ლუკაშენკო და ნურსულთან ნაზარბაევი ერთადერთი პოლიტიკოსები არიან პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომლებიც რჩებიან დამოუკიდებელ მოთამაშეებად, მათ ვერავინ ვერ „აუწევს ყურს“.

გაიხსენეთ ლუკაშენკოს განცხადებები მაშინ, როცა რუსეთმა ნავთობზე ფასების ზრდა გამოაცხადა და შემდეგ თავის მოსაცდელ ოთახში 8 საათი ალოდინა რუსული დელეგაცია მინსკში.

ლუკაშენკოს არ სურს იყოს ჩაკეტილი ერთ სივრცეში და იყოს დამოკიდებული ერთ რომელიმე ქვეყანაზე, ამიტომ ცდილობს მეგობრობის არეალი გააფართოვოს, თუმცა, თავისთავად ცხადია, ლუკაშენკო ვერ შეძლებს ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ტერიტორიების დაბრუნების პრობლემის გადაწყვეტას. ეს თავიდან ბოლომდე რუსეთის ხელისუფლების პრეროგატივაა.

რუსეთის ხელისუფლება არავის მისცემს კარტ-ბლანშს, რომ სხვამ შეძლოს ამ კონფლიქტის მოგვარება.

ალექსანდრ ლუკაშენკოს ჩამოსვლა თავისთავად კარგი მოვლენაა. კარგია, რომ იგი აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ ცნობს, თუმცა რაიმე სახის გადაჭარბებული იმედები მის ვიზიტთან დაკავშირებით არ უნდა გვქონდეს.

**— დასავლეთის მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, ბარაკ ობამამაც თქვა, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანება არ არის ახლო პერსპექტივის საკითხი. ამ ვითარებაში რუსეთი ხომ არ ეცდება კვლავ დაიბრუნოს დომინანტის როლი ჩვენს ქვეყანაში?**

— რუსეთმა უკვე გადმოდგა ნაბიჯები ჩვენსკენ, როცა ქართულ პროდუქციას ბაზარი გაუხსნა რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. თითქმის ყველა პროდუქტზე მოიხსნა ემბარგო და ქართული პროდუქცია იყიდება დღეს რუსეთის ბაზრებზე. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მხრიდანაც უნდა გადავდგათ მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

საქართველოს რომ ნატოში არ მიიღებენ,. ამის შესახებ განცხადება რამდენიმე ხნის უკან გააკეთა აშშ-ის პრეზიდენტმა. იგივე თქვა ანგელა მერკელმაც. რამდენიმე კვირის წინ ეს მოსაზრება გაიმეორა საფრანგეთის პრეზიდენტმაც.

ამერიკელი პოლიტოლოგები და აშშ-ის პოლიტიკის იდეოლოგები უკვე აღარც მალავენ, რომ მათ საქართველო ერთგვარ პოლიგონად სჭირდებათ რუსეთის წინააღმდეგ ისე, როგორც უკრაინა, დნესტრისპირეთი, ყარაბაღის კონფლიქტი და ა.შ. ამიტომ, რუსეთმა სხვანაირად უნდა დაიწყოს ფიქრი და ქმედებები, კერძოდ, საქართველოსთვის აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიების დაბრუნების თვალსაზრისით.

**— არჩილ, როგორ ფიქრობთ, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის გააქტიურების შემთხვევაში დასავლური წრეები ხომ არ აამოქმედებენ „ნაცმოძრაობას“, პარტიას, რომელიც, ასე ვთქვათ, ყველაფერზე წავა, ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდეს?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ ვერ უნდა უწევდეს წინააღმდეგობას ხელისუფლებას, არადა, ამ პარტიას დღეს აცოცხლებს „ქართული ოცნება“. ამ ვითარებაში ანალოგს ვხედავ შევარდნაძის ხელისუფლებასა და პარტია „აღორძინებას“ შორის. მაშინ საზოგადოებას აშინებდნენ — თუ არჩევნებს ასლან აბაშიძე მოიგებს, თბილისში დაჯდებაო. ასლანი ხალხს „მოქალაქეთა კავშირით“ ზაფრავდა — სამხედრო დაპირისპირება დაიწყებაო და ა.შ. ათი წლის განმავლობაში ასე გაიტანეს თავი.

დღეს ისეთი სიმბიოზი შეიქმნა „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის, რომ მათ ერთმანეთის გარეშე არც შეუძლიათ არსებობა.

მაგრამ ქართველ ხალხს კარგად ახსოვს „ნაცმოძრაობის“ „საგმირო“ საქმეები და რაც უნდა მოხდეს, მათი რეაბილიტაცია შეუძლებელი იქნება.

გაიხსენეთ 21 მარტის აქცია, როგორც ვიცი, „ნაცმოძრაობას“ მობილიზებული ჰქონდა თანხები 100 მლნ ლარამდე. 100 ლარს უხდიდნენ უბრალო მომიტინგეს. კოორდინატორებზე გაცილებით მეტი იყო გათვალისწინებული, თუმცა მათ ვერ შეძლეს შეეგროვებინათ 10 000-ზე მეტი ადამიანი, რეგიონებიდან, დაახლოებით, 8 000 მომიტინგე ჩამოიყვანეს. თბილისში კი 2 000 ადამიანზე მეტი შეკრიბეს. იმ მასაში ბევრი იყო არასამთავრობოთა წარმომადგენლები, რომლებმაც დიდძალი ფული მიიღეს იმ აქციაში „ნაცმოძრაობისთვის“ მხარდასაჭერად. ამიტომაც ამ პარტიაზე დაყრდნობა დღეს, რეალურად, არავის აწყობს და მით უმეტეს, დასავლეთს და ამერიკას.

ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან ხშირად გაიგონებთ „ნაცმოძრაობის“ სახელს. არადა, დამთავრდა, ბატონებო, „ნაცმოძრაობა“. გაათავისუფლეთ ისინი სამსახურებიდან. გათავისუფლდით მათი პროვოკაციებისგან. ხელისუფლებავ, მოიშორეთ ეს ხალხი!

სამწუხარო ამბავია, — ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოს აშშ-ის ელჩი მართავდეს.

ამას წინათ ერთი სერიოზული სტატია წავიკითხე, სადაც აღნიშნავდნენ, რომ აშშ-ის საელჩოში არ ყოფილა განყოფილება, სადაც ქართულ მედიაში გამოქვეყნებულ სიახლეებს შეისწავლიან. არადა, ასეთი სამსახური ყველა ქვეყანაში აქვს აშშ-ის საელჩოებს. საქმე იმაშია, რომ ასეთი რამ საქართველოში არ სჭირდებათ, რადგან თითქმის ყველა მინისტრი და ოპოზიციის წარმომადგენლებიც თვითონ სტუმრობენ ელჩს და წვრილ-წვრილად უკაკლავენ ამბებს საქართველოში არსებულ ვითარებაზე, თვით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებაც კი.

მე მაინტერესებს, რა პრეტენზიები აქვს მავანს ბიძინა ივანიშვილისადმი. მან თავისი დანაპირები შეასრულა — მიხეილ სააკაშვილი გაუშვა ხელისუფლებიდან. დანარჩენი ქართველი ხალხის გასაკეთებელია. ჩვენ უნდა გავაკონტროლოთ ხელისუფლება.

გახსოვთ, რა მოხდა საბერძნეთში, 15 წლის ბიჭი რომ იმსხვერპლა პოლიციელმა?! მაშინ საპროტესტო აქციაზე დიდი რაოდენობით სამართალდამცავი მივიდა. მათ ჰკითხეს — თქვენი კოლეგის წინააღმდეგ გამოდიხართო? პოლიციელებმა უპასუხეს — დიახ, პოლიციელი ჩვენი კოლეგაა, მაგრამ დაღუპული ბავშვი ჩვენი შვილიაო.

ქართველებს გვღუპავს ეს ე.წ. კოლეგიალობა. უნდა ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად. თუ საჭირო იქნება, კოლეგაც უნდა გავაკრიტიკოთ, დაც და ძმაც. საზოგადოება მუდმივად უნდა აკონტროლებდეს ხელისუფლებას, მის პოლიტიკურ მიმართულებებს, რადგან ეს თითოეული ჩვენგანის მომავალს განსაზღვრავს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# საარჩევნო სისტემაში ცვლილებები აუცილებელია



*ვესაუბრებით არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ დირექტორს — ბატონ **ლადო ბოჟაძეს.***

**— ბატონო ლადო, პოლიტიკურმა პარტიებმა, გარკვეულ არასამთავრობოებთან ერთად ხელი მოაწერეს მემორანდუმს მომავალ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც ითვალისწინებს საარჩევნო გარემოს შეცვლას და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია ძირითადად დაკავებულია საარჩევნო საკითხებით, ამიტომ ჩვენ შეხვედრებზე შევთავაზეთ პარლამენტს ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მომავალში, ის საარჩევნო სისტემა, რომელიც იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე ის დღეს გვაქვს. პირველ რიგში აუცილებელია გათანაბრდეს მაჟორიტარული ოლქები, ხმების თანაბრობა იქნას უზრუნველყოფილი, სულ გვაქვს 73 მაჟორიტარული ოლქი, მაგრამ მათ შორის სხვაობა ძალიან დიდია, ბალანსი დარღვეულია, კერძოდ, თანაბარი რაოდენობით ერთ დეპუტატს ირჩევს 150 ათას რაოდენობის მქონე ოლქი და 5 ათასი კაცის რაოდენობის მქონე ოლქი, ეს დაუშვებელია, თანაბრობა აუცილებელია. ასეთ შემთხვევაში ისევ 73 ოლქი დარჩება, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ის უნდა გამსხვილდეს და თანაბარი რაოდენობის ხალხმა აირჩიოს ერთი დეპუტატი, ეს იქნება დემოკრატიული პრინციპი. თუ კონსტიტუციაში ამ ცვლილებებს ქვეყანა ვერ განახორციელებს, ამის მზაობას დღეს მე ვერ ვხედავ, უნდა დარჩეს ისევ 73 მაჟორიტარული ოლქი და დავტოვოთ ერთმანდატიანები და გავამსხვილოთ ოლქი, ან გადავიდეთ ბლოკურ კენჭისყრაზე — ასეთი საარჩევნო სისტემა არსებობს, როცა მრავალმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებია და რამდენიმე მუნიციპალური ოლქი აირჩევს სამ კანდიდატს, ე. ი. პარტიები წარადგენენ სამ-სამ კანდიდატს და ამომრჩეველსაც ექნება სამი ხმა, მას შეუძლია ერთი ხმა გამოიყენოს ან სამი და მისთვის სასურველი კანდიდატი აირჩიოს, არა აქვს მნიშვნელობა მას პოლიტიკური პარტია წარადგენს თუ საინიციატივო ჯგუფი. თუ შევძელით და განხორციელდა საკონსტიტუციო ცვლილება, მაშინ შესაძლებელი იქნება გადავიდეთ მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და 150 დეპუტატი არჩეულ იქნეს პროპორციული სისტემით ანუ პარტიული სიებით და მაჟორიტარული პრინციპი ქვეყანაში აღარ იქნება. ასეთ შემთხვევაში იქნება ერთიანი სია, რომელშიც ყველა პარტია თავის კანდიდატს წარადგენს და ასეთ შემთხვევაში მოქალაქეები მხარს დაუჭერენ სასურველ პარტიას და რომელი პარტიაც გაიმარჯვებს და რამდენ პროცენტსაც აიღებს, იმდენ ადგილს მიიღებს პარლამენტში. ასევე შესაძლებელია, რომ გადავიდეთ რეგიონალურ პროპორციულ სისტემაზე, მაგალითად, აჭარაში რომ ავიღოთ, გამოიყოფა მანდატები ამ რეგიონისთვის, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და მოსახლეობა მხარს დაუჭერს მათთვის სასურველ პარტიას. ე. ი. მანდატები გადანაწილდება პარტიებს შორის. ასევე შესაძლებელია, რომ შეიქმნას მრავალმანდატიანი პროპორციული სიები და მაშინ რეგიონალურ პრინციპს მნიშვნელობა აღარ ექნება. მოკლედ, ეს სამი შესაძლო ვარიანტია, რომ საარჩევნო გარემო შეიცვალოს უკეთესობისკენ, თუ განხორციელდება საკონსტიტუციო ცვლილებები. ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა უკვე „ნაციონალური მოძრაობა“ მხარს დაუჭერს პროპორციულ სისტემაზე გადასვლას იმიტომ, რომ ახლა არიან ოპოზიციაში და ძველი სისტემა მორგებული ჰქონდათ თავის თავზე და ხელისუფლებაში მყოფი პარტიისთვის ის საუკეთესო ვარიანტია და მას კარგადაც იყენებდნენ, ახლა კი ოპოზიციაში არიან და ხედავენ ამ სისტემის შეცვლის აუცილებლობას, ამიტომ ამბობენ, რომ მხარს უჭერენ საარჩევნო გარემოს შეცვლას. იგივე შეიძლება ითქვას ირაკლი ალასანიას გუნდზე, რომელიც ამჟამად უკვე ოპოზიციაშია და ცვლილებების მომხრეა ასევე რესპუბლიკური პარტია. ცხადია, რთული იქნება გადაწყვეტილების მიღება თავად კოალიციაში, რადგანაც მაჟორიტარი დეპუტატები სავარაუდოდ ამ სისტემას მხარს არ დაუჭერენ, რადგანაც მაჟორიტარობის გაუქმება არ აწყობთ, პარტიული სიით მათ არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდებათ.




აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში მაჟორიტარული სისტემა არსებობს, ანუ ისეთი შერეული სისტემაა, როგორიც დღეს ჩვენ გვაქვს, ასეთი არის გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, მაგრამ, მაგალითად, ამერიკაში მარტო მაჟორიტარული სისტემაა და პარტიული სიები საერთოდ არ არის. ასევეა კანადაში, ბრიტანეთში და ა.შ.

**— თვითონ მაჟორიტარული სისტემა რატომ უნდა გაუქმდეს ჩვენს ქვეყანაში ის უსამართლოდ მიგაჩნიათ?**

— არა, უსამართლო ნამდვილად არ გახლავთ, საკითხი ასე არ დგას, თავად სიტყვა მაჟორიტარობა უმრავლესობას ნიშნავს, ანუ უმრავლესობის მმართველობას, მაგრამ ჩვენს რეალობაში არსებული სისტემის დატოვება უკვე აღარ შეიძლება და დარწმუნებული ვარ „ქართულ ოცნებასაც“ ესმის ეს. ამიტომ **სავსებით შესაძლებელია დარჩეს შერეული სისტემა ორივე პრინციპით ავირჩიოთ, ოლონდ 73 ოლქი გავანაწილოთ უფრო სამართლიანად და უფრო დემოკრატიულად, რომლის დროსაც ლეგიტიმაციის ბარიერი ოპოზიციურ პარტიებსაც და საინიციატივო ჯგუფებსაც თანაბარი ექნებათ მათ მიერ წარდგენილი კანდიდატები არჩეულ იქნებიან მაჟორიტარული პრინციპით.** არჩევნებს, რომლებიც დღემდე ტარდება, ხელისუფლება იგებს ყველა მაჟორიტარულ ოლქს — ასეა მოწყობილი დღეს. ამიტომ თუ ჩვენ გადავალთ მრავალმანდატიან სისტემაზე, უფრო მეტი იქნება არჩევანიც და კონკურენციაც, ამიტომ ბევრი ღირსეული ადამიანი მოხვდება ხელისუფლებაში. ეს სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ ოპოზიციონერსაც ჰქონდეს გარკვეული წარმატების და გამარჯვების შანსი და არა მხოლოდ ხელისუფლებამ გაიმარჯვოს, ეს ქვეყნის მომავალი დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია. ცვლილებები ერთი წლით ადრე უნდა განხორციელდეს, როგორც ამას რეკომენდაციები ითვალისწინებს, ამიტომ უპრიანია ეს დრო სწორად გამოვიყენოთ და საშემოდგომო სესიაზე პარლამენტმა ის განიხილოს.

**ეთერ კასრელიშვილი**

**599 110 200**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში

www.saertogazeti.ge

შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

საერთო გაზეთი


## ირაკლი ღარიბაშვილი ნინო გვენეტაძეს ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში მაქსიმალურ დახმარებას დაჰპირდა



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე მთავრობას საერთო სასამართლოების ბიუჯეტის გაზრდის თხოვნით მიმართავს.

როგორც ნინო გვენეტაძემ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრ ირაკლი რარიბაშვილთან დღეს გამართული შეხვედრის შემდეგ განუცხადა, ფინანსური საკითხი ერთ-ერთი იყო, რომელზეც დღეს ისაუბრეს.

„საუბარი, ძირითადად, სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპთან დაკავშირებით გვქონდა. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებზე ჩვენი ხედვა და პოზიცია გამოვხატეთ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრემიერისადმი ჩვენი მიმართვა ფინანსურ საკითხებზე, რომელიც სასამართლოს შენობის გაფართოებას უკავშირდება — განსაკუთრებული ყურადღება პირველი ინსტანციის თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ პრობლემებზე, სასამართლოს ხელმისაწვდომობის, მოსამართლეთა გადატვირთულობის, დარბაზების სიმცირისა და ა.შ. საკითხებზე გამახვილდა”, — განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

მისივე თქმით, ასევე ისაუბრეს მოსამართლეთა საპენსიო უზრუნველყოფასა და კომპენსაციის საკითხებზე.

„ძალიან სასიხარულოა, რომ მხარდამჭერი პასუხები მივიღეთ”, — აღნიშნა ნინო გვენეტაძემ.

პრემიერ-მინისტრი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს დაჰპირდა, რომ მთავრობა სასამართლოს ხელმძღვანელობას ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით არსებული პრობლემების მოგვარებაში მაქსიმალურად დაეხმარება.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მოსამართლეებს ხელფასები ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის დროს გაეზარდათ.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა თავი დაცულად იგრძნონ. სწორედ ამიტომ შევპირდი ქალბატონ ნინოს, რომ ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში მაქსიმალურ დახმარებას აღმოვუჩენთ“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.




ანჟელა არუთინიანი

# რას ითხოვს ე.წ. ტერორისტის ვოვა არუთინიანის დედა ხელისუფლებისგან?

***ალბათ, ყველას ახსოვს ვოვა არუთინიანი, ე.წ. ტერორისტი, რომელსაც 2005 წლის 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე, აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე თავდასხმის ბრალდებით, უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი და უკვე 10 წელია, რაც ორთაჭალის მე-7 დაწესებულებაში, მკაცრი რეჟიმის ციხეში იხდის სასჯელს. „საერთო გაზეთს" რამდენიმე დღის წინ, ვოვა არუთინიანის დედა, ანჟელა არუთინიანი დაუკავშირდა, რომელმაც თავისი გასაჭირი გაგვიზიარა და დახმარება გვთხოვა. „საერთო გაზეთი" ე.წ. ტერორისტის, ვოვა არუთინიანის დედას, ანჟელა არუთინიანს ესაუბრა.***

— ვითხოვ, ვოვა არუთინიანი სასწრაფოდ გადაიყვანონ რუსთავის მე -6 ან გლდანის მე-8 საპყრობილეში. როდემდე უნდა იყოს უვადო პატიმარი მკაცრი რეჟიმის ციხეში? 10 წელია უკვე, რაც ორთაჭალის მე-7 დაწესებულებაში, მკაცრი რეჟიმის ციხეში იხდის სასჯელს, არ ეყოფა? სულ მარტო ზის საკანში, ხმის გამცემი არავინ ჰყავს, ასე როგორ შეიძლება, ხალხო?! ე.ი. მისი სიკვდილი უნდათ, მისი გაგიჟება უნდათ თუ რა უნდათ გამაგებინეთ, მე ვერ გავიგე?! მერამდენე განცხადებას ვწერ ამ მოთხოვნით, აღარც კი მახსოვს, რა მოთვლის, პასუხი ყოველთვის იგივეა - არ გადავიყვანთ, ვოვა უნდა იჯდეს იქ, სადაც ზის, ასეა საჭირო, სადაც ეკუთვნის ზუსტად იქ ზისო. აი, ახლაც ვწერ განცხადებას, ხვალ მივიტან, კიდევ ერთხელ ვცდი, სხვა რა გზაა. ნუთუ არ შეიძლება გადაიყვანონ იქ, სადაც სხვა უვადოები სხედან, რას ვითხოვ ასეთს? რატომ არ გადაჰყავთ, ასეთი რა დააშავა ჩემმა შვილმა? რომელ ტერაქტზეა ლაპარაკი, ყველამ იცის, რომ ეს იყო დადგმული სპექტაკლი. ვოვას არავინ მოუკლავს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, ცოდო არ არის? რადგან უპატრონოა, ასე უნდა მოექცნენ?

**— ხელისუფლებიდან თუ მიმართეთ ვინმეს რაიმე თხოვნით?**

— მხოლოდ თეა წულუკიანს, ისიც რამდენიმე წლის წინ, თუმცა უშედეგოდ. ჩვენ გვინდოდა 24 საათიანი პაემანი და მაშინ უჩა ნანუაშვილმა და ნანა კაკაბაძემ მიმიღეს და როგორღაც ისე ვქენით, რომ 24 საათიანი არა, მაგრამ 3 საათიანი პაემანი მოხერხდა. 3 საათი ერთად გავატარეთ მე და ჩემმა შვილმა. ეს იყო და ეს. ყველაფერს ვერც გეუბნებით, მეშინია, რამე უსიამოვნება არ შეხვდეს ვოვას ციხეში. ერთადერთი რასაც ვითხოვ ვოვას გადაყვანაა სხვა საპყრობილეში, მეტი არაფერი, რომ უფრო ხშირად დამირეკოს. ახლა კვირაში ერთხელ მირეკავს, ორჯერ, რომ დამირეკოს, ვინმეს რამე დაუშავდება? არაფრით არ აკეთებენ ამას. ვოვა რამდენიმე დღის წინ ვნახე და ძალიან არ მომეწონა, ძალიან გამხდარია, უკან - უკან მიდის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. იმედი დაკარგა თუ არა, არ ვიცი, არაფერს მეუბნება. ყველა ამბობს, რაღაც შეიცვლება, ნუ გეშინიაო, მაგრამ როდემდე? მე აღარაფრის იმედი არ მაქვს. სახალხო დამცველი ძალიან გვიდგას გვერდში, მისი წარმომადგენელი შედის ხოლმე ხშირად ვოვასთან. მაგრამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ძალიან მკაცრად გვექცევა, ძალიან მკაცრია ჩვენს მიმართ, რატომ, რა ხდება, არ ვიცი. დიახ, რატომ არის დეპარტამენტი ასე მკაცრად ჩვენს მიმართ, არ ვიცი. ძალიან მინდა ეკა ბესელიამ მიმიღოს. ეკა ბესელიამ არაერთხელ ნახა უვადო პატიმრები, დიახ, ყველა უვადო პატიმარი ვოვა არუთინიანის გარდა უკლებლივ ყველა. სულ იმას ვწერ და ვამბობ, ქალბატონო ეკა, თქვენ დადიხართ გლდანის მე საპყრობილეში, სადაც არიან უვადოები და ერთხელ მაინც შედით ვოვა არუთინიანთან, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ასეთი ადამიანიც არსებობს. არ დაგავიწყდეთ, რომ ვოვა არუთინიანიც უვადო პატიმარია. პარლამენტში გაზეთებს არ კითხულობენ, ვინმე გამომეხმაუროს, არ შეიძლება? არ ვიცი, რა გავაკეთო, როგორ და რით დავეხმარო ჩემს ერთადერთ შვილს. შევახსენებ საზოგადოებას, რომ ეს ე.წ. ტერორისტი, ვოვა არუთინიანი უკანონო პატიმარია, მას არანაირი ტერაქტი არ მოუწყვია. ვოვას მიერ ხელყუმბარის სროლის ფაქტი არსად არ არის დაფიქსირებული. დიახ, არსად და ეს ამერიკელებმაც, რომელთა პირადი პატიმარიცაა ვოვა არუთინიანი, ძალიან კარგად იციან. უბრალოდ, მაშინ ვოვას გვერდით იდგა პოლონელი ჟურნალისტი, რომელმაც მას ფოტო გადაუღო და შემდეგ ეს ფოტო ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცა, სწორედ ამის საფუძველზე მოხდა ვოვა არუთინიანის დაკავება. ეს იყო და ეს. რაც შეეხება ხელყუმბარას, ის იქვე ეგდო, არავინ არ იცის, ვისი იყო, ვინ დააგდო, ხელისუფლებამ კი დაასკვნა, რომ ჩემი შვილის იყო და ვოვა დააკავა და მონათლა ტერორისტად. იმასაც გეტყვით, რომ ეს ხელყუმბარა სასწავლო დანიშნულების იყო და რაც ყველაზე მთავარია, სიძველისგან მწყობრიდან იყო გამოსული ანუ არ ფეთქდებოდა, ეს გამორიცხულია. იქ უამარავი ადამიანი ტრიალებდა, ვინმე რამეს ხომ დაინახავდა, არავის არაფერი დაუნახავს. ვიმეორებ, ეს დადგმული სპექტაკლი იყო, რარაცისთვის სჭირდებოდა ეს ყველაფერი სისხლისმსმელ მიხეილ სააკაშვილს. ვინმეს რამე დაუშავდა, დაემართა იმ დღეს? არაფერი ხომ?! ვინმე მოკვდა, დაიჭრა, დაშავდა, დაესხა ვინმეს ვოვა თავს, ჰქონდა რაიმე ამდაგვარს ადგილი? არაფერი მსგავსი არ მომხდარა, გამოდის, ეს ტერაქტი არ იყო. მეტიც, ტერაქტის მცდელობაც არ ყოფილა, ჰოდა, რისთვის იხდის ჩემი შვილი სასჯელს გაუგებარია. ტერაქტის მცდელობა რომ ყოფილიყო, სხვაა და ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ სად ხედავთ მცდელობას, არ ვიცი. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამ საქმის გადახედვა მოვითხოვე, მაგრამ ამაზეც უარი მითხრა ქართულმა ოცნებამ, პროკურატურის პასუხი ასეთი იყო: საქმე ხანდაზმულია, არ გადაიხედება, გამორიცხულიაო. ვიმეორებ, ვოვა არუთინიანი უკანონო პატიმარია, ჩემს შვილს არავინ მოუკლავს, მას არაფერი ჩაუდენია, მით უფრო ტერაქტი.



ვოვა არუთინიანი

**— ფიქრობდით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საქმეს გადახედავდნენ, რაიმე შეიცვლებოდა ამ საქმის ირგვლივ?**

— დიახ, თუმცა როგორც გითხარით, პროკურატურის პასუხი უარი იყო. არ ვიცი, რა გითხრათ, პრაქტიკულად, ვერაფრით ვეხმარები ჩემს შვილს, ალბათ, დარჩენილ ცხოვრებას ციხეში გაატარებს. იქნებ მას შემდეგ, რაც ეს ინტერვიუ გავა, ვინმე დამეხმაროს ხელისუფლებიდან, იმედი მაინც მექნება, სხვა რა ვქნა. ადრე ვთქვი და ახლაც ვიტყვი - ჩემი შვილი ამერიკელების პირადი პატიმარია. რატომ მაინცდამაინც ჩემი შვილი, რატომ შეირჩა ვოვა არუთინიანი? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ უპატრონოა.

ვოვას არც ამერიკელები სძულდა და არც რუსები, არავინ საერთოდ. პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდა, არავის პოლიტიკის გამტარი არ ყოფილა. იჯდა სახლში თავისთვის, მუდამ წიგნებს კითხულობდა, ძალიან განათლებულია, ვიმეორებ, ერთხელაც არ უთქვამს ჩემთან — მძულს ამერიკა და ამერიკელებიო. სააკაშვილის ხელისუფლებამ იფიქრა უპატრონოა, ამ სპექტაკლში ასეთი კაცი გამოგვადგებაო და გაწირეს და ასეთი დანაშაული შეტენეს. იმ ავბედით დღეს, როგორც ყველა, ვოვაც იქ იყო. ნეტავ, საერთოდ არ წასულიყო იქ. შინ რომ დაბრუნდა აღელვების არაფერი ეტყობოდა, ჩვეულ განწყობაზე იყო. ასეთი რამ რომ ჩაედინა, აღელვებული ხომ მაინც იქნებოდა და მე, დედას, ეს არ გამომეპარებოდა. იმ ე.წ. ტერაქტის შემდეგ ვოვა რამდენიმე თვე სახლში იყო, მხოლოდ 5 თვის შემდეგ მოხდა მისი დაკავება, სადარბაზოში აიყვანეს. ჩემი შვილი პოლიტპატიმარია და არა ე.წ. ტერორისტი. გაიგეთ, ხალხო, ეს.

**— ისე, ტერაქტის მოწყობას მწყობრიდან გამოსული ხელყუმბარით აპირებდა?**

— დიახ, აი, წარმოიდგინეთ, ტერაქტი მწყობრიდან გამოსული ხელყუმბარით, მგონი, ყველაფერი ნათქვამია. რაც შეეხება პოლიციელის მკვლელობას, იმ პოლიციელმა დაკავების დროს ვოვა არუთინიანი დაჭრა, 4 ჭრილობა მიაყენა, ვოვა ვერც წარმოიდგენდა, რომ მის დასაკავებლად იყვნენ მოსული. და როცა დამნაშავე არ ხარ და არაფრის გამო 4 ჭრილობას მოგაყენებენ, ცხადია, გაქცევას შეეცდები. ჩემი შვილი სისხლისგან იცლებოდა, საკაცეზე დააწვინეს, ისე წაიყვანეს, აი, სწორედ იმ დროს დაიჭრა ის სამართალდამცავი. მითხარით, აბა, საკაცეზე მწოლიარე კაცი, დაჭრილი, კაცი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, როგორ მოკლავდა სამართალდაცავს? ეს ხომ აბსურდია, ხალხო?! გვიანღა გავიგე, რომ ის საწყალი პოლიციელი მოკლული იქნა ერთი ტყვით, რომელიც ნასროლი იყო ზურგიდან. ის ჩემს შვილს მისდევდა და ვოვა ზურგში როგორ ესროდა, იქნებ ამიხსნას ვინმემ? როგორც ჩანს, ის შემთხვევით, ვინმეს მიერ გასროლილმა ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა და ესეც ვოვას შეტენეს. რაღაცის გამო ხომ უნდა დაეჭირათ, უვადო პატიმრობა ხომ უნდა შეეტენათ, ჰოდა, შეტენეს კიდეც ამ პოლიციელის მკვლელობა.

ვთხოვ, ხელისუფლებას ცოტა გულმოწყალება გამოიჩინოს, დამეხმაროს, საქმეს თუ არ გადახედავენ, ეს თხოვნა მაინც შემისრულოს, მოხდეს ჩემი შვილის სხვა უვადოებთან გადაყვანა, მე ხომ უკანონოს არაფერს ვითხოვ, საკმარისია, 10 წელი მარტო ჯდომა, ბოლომდე ნუ გაწირავთ ჩემს შვილს, ცოდოა, მას მართლა არაფერი დაუშავებია, საერთოდ არაფერი!



**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

# ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხის შესახებ

განცვიფრებული ვარ, ეს ქრისტიანი ხალხი, მიშას ხელისუფლების მიერ მიღებულ კათოლიკების კანონის დაფუძნებას რატომ შეეგუა და პროტესტის გრძნობა რატომ არავის არ გაუჩნდა! პირველ რიგში სამღვდელოებას? („საპროცესო გარიგებას რომ ეძახიან“). აბა, დაუკვირდით, ეს კანონი ხომ ანტიხალხურია და თანაც ანტიქრისტიანულიც! ყველა კანონი ანტიხალხურია, რომელიც სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას მაინც თუ არ ეხება. ეს კანონი კი ჩვენი მოსახლეობის 5, მაქსიმუმ, 10 პროცენტს თუ ეხება. ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს 90-95 % განსაკუთრებით უმუშევრებს? პენსიონერებს და მცირე ხელფასიანებს, რომელთაც ცარიელი პურიც კი ვერ უჭამიათ, სადა აქვთ მათ ფულის გადახდის საშუალება?! რის შესახებაც და 5 სხვა უკანონო კანონის შესახებ 2013 წელს ჩემი №01/28745 წერილით იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანსაც მივწერე. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ბ-ნმა ა. ბარამიძემ 2013 წლის 18 მარტს №30192 წერილით მაცნობა: ©თქვენს მიერ დასმული ხარვეზების აღმოსაფხვრელად იუსტიციის სამინისტროში იქმნება დროებითი სახელმწიფო კომისია, რომლის მიზანია, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაო. მას შემდეგ აი, უკვე 2 წელი გავიდა და ეს ანტიხალხური და ანტიქრისტიანული კანონი ისევ ძალაშია, რადგან გასულ წელს ტელევიზიით მოვისმინე: უგულავამ საპროცესო 50 ათასი ლარი გადაიხადაო. ფულით დანაშაულის გამოსყიდვა კანონად კათოლიკებს აქვთ. ქრისტიანისთვის კი ეს კანონი ყოვლად მიუღებელია.

ჩვენს პარლამენტს ერთხელ კიდევ მოვუწოდებ! მიშას ანტიხალხური და ანტიქრისტიანული კანონი დაუყოვნებლივ გააუქმოს!

რადგან უბრალო ადამიანების მოთხოვნას ძალა არ ჰქონია, ამ ანტიხალხური და ანტიქრისტიანული კანონის წინააღმდეგ ხმა სამღვდელოებამ უნდა აიმაღლოს.

ჩვენო ხელისუფალნო! გთხოვთ ერთ ასეთ უბრალო კითხვაზე გვიპასუხოთ: როგორ იპოვოს 150-ლარიანმა ჩაიზე და ცარიელ პურზე მცხოვრებმა 80 წლის პენსიონერმა კანონი და სამართალი, რომელსაც თქვენმა სასამართლომ მის მიერ დაწერილი და სასამართლოში შეტანილი სარჩელი უკან გადმოუგდო მოტივით: 1. ჩვენთან შემოტანილი განცხადება უნდა იყოს ადვოკატის ხელით დაწერილი; 2. განცხადებას უნდა ერთვოდეს სამხარაულის ინსტიტუტის მიერ შემოწმებული სინამდვილის და ზარალის ოდენობის დამადასტურებელი ცნობაო.



ადვოკატმა განცხადების დაწერასა და ამ საქმის ხელის მოკიდებისთვის 1000 ლარი წინასწარ გადახდით მოსთხოვა. სამხარაულის ინსტიტუტმა 30 სამუშაო დღის ვადაში შემოწმებისთვის 500 ლარი მოსთხოვა. სასბაჟოს გადასახადი მოსამართლემ 180 ლარი მოსთხოვა. ესეც შენი 1680 ლარი. ხელისუფალნო, ახლა გვითხარით, საიდან მოიტანოს ჩაიზე და ცარიელ პურზე მცხოვრებმა 80 წლის პენსიონერმა 1680 ლარი? რომელიც კომუნალურ გადასახადსაც კი ქუჩაში მათხოვრობით მოგროვილი ფულით დიდი გაჭირვებით იხდის? ან გნებავთ, 300 და 500-ლარიანმა ოჯახმა, რომელ ოჯახშიც, დავუშვათ, 4 სული ცხოვრობს?! ასეთები ხომ მთლიანობაში ჩვენი მოსახლეობის 90 % გამოვა უმუშევართა არმიასთან ერთად?! რაკი ასეა, ჩვენო ძვირფასო პარლამენტარებო, ვისთვის წერთ კანონებს? მოსახლეობის 10%-სთვის. თქვენს მიერ დაწერილი კანონები, რომლებიც ასე მცირე მოსახლეობას ეხება, ეს რომ ანტიხალხურია! არა მგონია, თქვენ ამას ვერ ხვდებოდეთ, რაკი ხვდებით და მაინც აკეთებთ – ეს ხომ დანაშაულია!

უპრიანი იქნება, ამ კითხვებზე გვიპასუხოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ, რადგან ეს საკითხები ესადაგება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას.

ჩვენი ნატოში მიღება რომ სდომოდათ, აქამდის ათჯერ მიგვიღებდნენ. ბევრი ვერ მიხვდება და იფიქრებს: ჩვენი მოტყუება რაში უნდა აწყობდეთ? იმაში, რომ ისევ რუსეთისკენ არ დავიწყოთ ყურება. ამიტომ გვიხვევენ ხელზე. დრო აღარ დადგა, რომ მივხვდეთ, მანამდე აფხაზეთს და ოსეთს ჩვენს მიწა-წყლად მივიჩნევთ, ნატოში ჩვენ არავინ მიგვიღებს! დავუშვათ, გასულელდნენ, მიგვიღეს და გავხდით ნატოს წევრი, მერედა რა! რას მოგვცემს ნატო?! აბსოლუტურად არაფერს.

ერთ გაუგებრობასაც მინდა შევეხო. ჯარის ფუნქცია-მოვალეობა თავისი საზღვრების დაცვა რომ არის, ეს ხომ უბრალო აქსიომაა და ყველამ იცის. ჯარი, რომელიც თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, რად გვინდა ასეთი ჯარი? რადგან ყველა ვხედავთ, ოსები ჩვენს მიწა-წყალს პერმანენტულად როგორ ითვისებდნენ და ითვისებენ. ჩვენი ჯარი კიდევ დგას ლონდრესავით და პირდაღებული უყურებს ოსების მოქმედებას. ჩვენი სახელმწიფოს მეტი სხვა სახელმწიფო ასეთ უსუსურ ჯარს და თანაც ჯამაგირზე შეინახავდა?! მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენნაირი გაპარტახებული ქვეყანა კი არა, შეძლებული სახელმწიფოც კი არ იყოლიებდა ასეთ ბალასტს და თანაც ხელფასზე. ხალხო, გამოფხიზლდით, კარგად აწონ-დაწონეთ ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობები, ნუ ვედრებით ამერიკას და ხმა ამოიღეთ, რადგან, ჯერ ერთი, ამერიკის ეკონომიკას იმის შესაძლებლობები თავისუფლად აქვს, რომ ჯარები ხელფასზე იყოლიოს. ჩვენი ეკონომიკა კი სულს ღაფავს და ჩვენი ხალხი არსებობისთვის იბრძვის. როგორ შეიძლება, ასეთ გაძვალტყავებულ და გაპარტახებულ ქვეყანას, ჯარები ხელფასზე ჰყავდეს?!



ამერიკისგან განსხვავებით, ჩვენ ხომ სხვა ქვეყნებთან ომებს არ ვგეგმავთ, და ჩვენს ახალგაზრდობას სისხლის ღვრა სხვის მიწებზე არ მოუწევთ?! მაშინ რად გვინდა კონტრაქტებით ხელფასიანი ჯარი? მშვიდობიან ჯარში კი, დაე, ჩვენი მილიონერების შვილებიც წავიდნენ, ამით რა დაშავდება? რაკი ვხედავთ, ჩვენი ჯარი თავის ფუნქცია-დანიშნულებას ვერ ასრულებს, ამიტომ ჩვენ ის უნდა შევამციროთ და სიმბოლურად ვიყოლიოთ მხოლოდ 10 ათასი ჯარისკაცი. ვინაიდან ღარიბები ვართ, ამიტომ ჯარი უნდა ვიყოლიოთ არა ხელფასზე, არამედ სავალდებულო ორწლიანი ვადით გაწვეული, როგორც ეს ოდითგან იყო. ამით ქვეყანას დაეზოგება ასეულობით მილიონი დოლარი, რაც დღეისათვის ტყუილ-უბრალოდ წყალში იყრება და ამით მსოფლიოსაც დავუმტკიცებთ, რომ ჩვენ ომისთვის არ ვემზადებით და ეს გაპარტახებული ქვეყანაც ცოტას ამოისუნთქებს.

ჩემს მოსაზრებას ხელფასიანი ჯარის შემცირებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არა მარტო ირაკლი ალასანია, რომელმაც 2013 წელს გამოაცხადა, მომავალი წლიდან მთელი ჯარი ხელფასებზე უნდა გადავიყვანოთო. არამედ არც ახალი მინისტრი გაიზიარებს. მაგრამ ისინი მოვალენი არიან, ეს რეალობა დაინახონ. თუ მაინც არ დამეთანხმებიან! მაშინ მიპასუხონ: ოსმა თავისი საზღვარი ხვალ თბილისში რომ გადმოიტანოს, შეეწინააღმდეგებიან და ჩვენი 25-ათასიანი ჯარით გაყრიან ოსების ჯარს?! მე ვფიქრობ, მათ იმდენი გონება კი აქვთ, რომ არ მითხრან: ჩვენი ჯარით ვერა, მაგრამ ევროპა-ამერიკის ჯარებთან ერთად გავყრითო. ისინი იმას კი მეტყვიან: რა ვქნათ, ოსებს რუსები უდგანან გვერდშიო. თქვენც ხომ სულ იმას ჩაგვჩიჩინებთ, ევროპა და ამერიკა ჩვენი მოკავშირეები და მეგობრები არიანო. თუ მეგობრები არიან, მაშინ ისინი ჩვენც რატომ არ გვიდგანან გვერდში ისე, როგორც ოსს რუსი უდგას?! გამოდის, რომ ისინი ჩვენი მეგობრები საქმით კი არა, მხოლოდ სიტყვით ყოფილან. მათი ასეთი მეგობრობა, ალბათ, ყველა ჭკვიანი დამეთანხმება, რომ ჩვენ არაფერში გვჭირდება. ამიტომ კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ და გეუბნებით: გამოფხიზლდით, ხალხნო, და ამ საკითხთან დაკავშირებით ხმა თქვენც ამოიღეთ! თუ ვცდები ან ვტყუი, გთხოვთ, გამაკრიტიკეთ სამართლიანად!

მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ საღად მოაზროვნე მოქალაქეს ჩვენი ჯარების სხვა ქვეყნების ე. წ. „სამშვიდობო ოპერაციებში“ მონაწილეობა, ჭკუაში არ უჯდება. მით უმეტეს, ყველამ ვიცით, როდესაც ჩვენ გვიჭირდა აფხაზეთში და შევარდნაძე მსოფლიოს რომ შეჰღაღადებდა და ეხვეწებოდა, გთხოვთ, მომეხმაროთ – რუსის შემოტევებს ველარ ვუმკლავდებიო. ჩვენ ვინმე მოგვეხმარა?! არათუ ცოცხალი ძალით, არამედ, თუ გნებავთ, ერთი შაშხანით მაინც?! არავინ. რაკი არავინ და ჩვენი გასაჭირი ყველამ ფეხებზე დაიკიდა, არავის ვალი ჩვენ არ გვაქვს, მაშინ ჩვენ რატომღა ვივალდებულებთ თავს და ჩვენს ჯარისკაცებს სხვა ქვეყნებში რატომ ვაგზავნით?! ამას სულელის მეტი ვინმე იზამდა?! ამერიკის გულის მოსაგებად ეს ხომ სააკაშვილმა მოგვახვია თავს?! მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ვლანძღავთ, ამის შესახებ ხმას რატომ არავინ იღებს?! ვინმე გავლენიანმა ხომ უნდა თქვას: ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ჩვენი ჯარების სხვა ქვეყანაში გაგზავნაო?! მოაზროვნე ხალხო, გთხოვთ გამომეხმაუროთ, იქნებ მე არასწორად ვმსჯელობ.

**ავთანდილ ქურხული,**
**ინჟინერი, ომისა და შრომის ვეტერანი, სახელმწიფო საომარი ჯილდოების კავალერი**
**ტელ.: 593 360 015**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-14

1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა, რომელსაც დაწყებული სინყარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი (ეგვიპტე) სუდანი (კოლხ-ქალდების იმპერია), პირინეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე „მეგრელია“ ეწერა. თუაფსემდე, მდინარე რამდე (ვოლგა), ყაზანი, რიაზანი — მეგრული სახელებია; აზოვის ზღვა (ზღვა „ლაზოვსკოე“ — ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი, ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთი იყო. ეს ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ჰეროდოტე (ძვ.წ VI ს) და სხვა ძველი ბერძენი სწავლულები აღნიშნულ სივრცეში კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ან სხვა ხალხები ამ ტერიტორიაზე არ არსებობდნენ.

ვისაც ბერძნებამდე ელადაში უცხოვრია, პელაზგად იხსენიება. ჰომეროსი მას „ღვთის სადარ პელასგოს“ უწოდებს, ჰესიოდე (ძვ.წ VIII ს) და აპოლონიოს როდოსელი დედამიწაზე შობილ პირველ ადამიანად პელაზგს თვლიან, პელაზგისი მიჩნეულია ჰერას წინაპრად. ლაგდება, რომ კოლხთა შთამომავალი პელაზგები, ბერძნებამდელი ელადის უადრინდელესი მოსახლეობა, ძველი საბერძნეთის წინაბერძნული, კერძოდ, კოლხური-პელაზგური კულტურის წიაღ-საფუძველს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მედიტერანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება პელაზგთა განაყოფების, იტალიელ ეტრუსკთა და ესპანელ ბასკთა მეტყველება. სხვათაშორის, როდესაც მდინარე განსაკუთრებულად ადიდებულია, საეგრელოში იტყვიან „პელაგონი მოსოფუნცია“, დაუოკებელი, უძლეველი, აბობოქრებული ძალა მოდისო...

რუსი მეცნიერი ა. ნოგოვიცინი აღნიშნავს: — „პელაზგები იყვნენ რა ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად, ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ. თავიანთი ბერძნული დამწერლობა ძველმა ელინებმა პელაზგებისგან მიიღეს. აქვე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უძველეს ფინიკიურ ანბანს ასევე პელაზგურს უწოდებენ.“

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ბორის გრეინშპოლი თავის ნაშრომში „ტროელები და ბერძნები“ პირდაპირ წერდა: — ქართველებმა დედამიწაზე პირველებმა მოაშინაურეს ცხენი და როგორ ჩანს, ავსტრიამდე მივიდნენ, სადაც ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 2800 წელს შექმნეს ბადენური კულტურა. როგორც ჩანს, ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც, მათგან დღეს მხოლოდ ერთი ხალხი დარჩა — ქართველები...“

ცნობილია, რომ მეფე აიეტის ასულმა მედეამ მამის კუთვნილი ტერიტორიის ერთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხ-დასავლეთით და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე (სადაც ათასწლეულების შემდეგ შეიქმნა ირანი და დღევანდელი აზერბაიჯანი), დაარსა სამეფო, რომელსაც მის საპატივცემულოდ მედეთი-მედეა ეწოდა. ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე, ეს სამეფო ჩვ.წ აღ-ით V-VI სს მიმოხილვებშიც „მედეა-დ“ იწოდება, შემდეგ უკვე, რატომღაც „მედიას“, „მიდიას“ უწოდებენ.





ძველი (V-VI სს) მიმომხილველები კასპიის ზღვის ნავთობით მდიდარ მხარეს მედეას, მეფე-ქალის კუთვნილებას უწოდებენ. ინგლისურენოვან გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ ნავთობის ძველთაძველი სახელია „მედეა ზოილი“ — მედეას კუთვნილი ნავთობი. ამ მხარეს ძველთაგან ერქვა „არია“, მოსახლეობა — არიელები. აქვე, ახლოს მდებარეობს ქალაქი მახაჩქალა, „ხაჩქვა“ კოლხურად „თოხნას“ ნიშნავს, „მახაჩქალი“ ე.ი მიწის დამმუშავებელი, მთოხნელი.

სიტყვამ მოიტანა — ცნობილი გერონტოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი მძიმედ დაავადებულა და საშველი რომ ვერსად უნახავს ტიბეტში წასულა. რომ უთქვამს, საქართველოდან ვარო, მხრები აუჩეჩავთ, მაგრამ როდესაც კოლხეთი უხსენებია, გაოცებულან, კოლხეთიდან აქ რამ ჩამოგიყვანათ, დღემდე კოლხურ მედიცინას ვსწავლობთ და ჯერაც ვერ ჩავწვდომივართ მის საიდუმლოსო...

მეცნიერებს გარკვეული აქვთ, რომ ეგვიპტურ ცივილიზაციას დიდი ხნით უსწრებდა შუამდინარეთის ცივილიზაცია, ხოლო ქალღმერთ ნანა-ს ქანდაკება (შუამდინარეთი) ეგვიპტურ ქალღმერთ ისიდას (შვილით) ქანდაკებას. ასევე, „მადონა“, როგორც „ნანა“, უძველესი მეგრული (კოლხური) სახელია.

წარღვნის შესახებ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, მათგან ერთ-ერთი უძველესია გილგამეშის ეპოსი, სადაც წარღვნის გმირებად ნახსენები სუმბაბა, ენქიდუ, უთუ, არარუ, მაშის მთა — თვით გილგამეშიც იხსნებიან მხოლოდ მეგრულ ენაზე. შუმერული მითოსის კუნძულის სახელწოდება „დილმუნი“ ასევე ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა; ალაპა და შვიდი აფქალი დღესაც იხმარება მეგრულად და ა.შ უამრავი სიტყვები დღევანდელ ლაზურ-მეგრულ (ჭანურ) სალაპარაკო ენაში. შუმერული „ნანა“ იგივე მეგრული (კოლხური) „ნანა-ა“, დედა და ამ ღვთაებრივ „ნანა-ს“ უმღეროდნენ დაახლოებით ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ ისეთ ულამაზეს სიმღერებს როგორიცაა; „ნანაია ნანა“, „ნანასქუა“, დიდოვ ნანა“, „ვოვ ნანა“. ასევე, თავიანთი სახელმწიფო „აია-ს“ სადიდებლად შეუქმნიათ „ოდოია“, სიმღერა მთვარის ღვთაება „ნანა-ზე“, იგივე დედაზე. ეს სიმღერები შექმნილია ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეიზე. „შემერებსაც“ ჰქონიათ სიმღერები თავიანთ ქალაქ ერეხეთსა და მთვარის ღვთაება „ნანა-ზე“ და მეგრელები დღემდე მღერიან ქალაქ ერეხეთზე — „ერეხეთი-მერეხეთი“... ათი მეფის შემდგომ მოვიდა მერეხი (ძლიერი წვიმა სეტყვით) და დატბორა ის კუთხე სადაც იყო ქალაქი ერეხი...

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აღმოსავლეთ ქორთუ



მედეა (ნახატი ვაზაზე). ჩ.ვ/წ. აღრიცხვამდე V საუკუნის ბოლო

ხალხი დასავლეთ სპერულ-კოლხური ერთეულის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და დროთა განმავლობაში ერთ ოჯახად გაერთიანდა ქართველის სახელწოდებით. სიტყვა „ქართი“ შექმნილია ორი სიტყვის შეერთებით „ქიანა ართი“ და ორივე სიტყვა მეგრულია, „ქიანა“ — ქვეყანა, მიწა-წყალი, სახელმწიფო და „ართი“ — ერთი, ერთიანი.

ჩვენს უძველეს დამწერლობას (ლურსმნულს) მისი შემქმნელები „ემეგრ“-ულს უწოდებენ წერილობით წყაროებში და ასეა განმარტებული ბრიტანეთის, კოლუმბიის და სხვა ენციკლოპედიებშიც, ლურსმნული დამწერლობის სახელმძღვანელოებში...

იშვიათი გამონაკლისების გარდა დღემდე საჯაროდ არავინ (ვერავინ) ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია გაყალბებულია და ახლიდან არის დასაწერი, არადა, დღემდე აღმოჩენილი და კვლევებით დადასტურებული შედეგებით, ყველაზე მცირე, 25 000 წელი აქვს მოპარული. ბოლო-ბოლო ისეთი ხილული ფაქტები დევს, უბრალოდ, დაკვირვებული ადამიანიც რომ კითხვას დასვამს.

დღემდე კვლევის საგნად დარჩენილ „ოქროს საწმისზე“ ვთქვათ.

აიეტი — კოლხეთის მეფეა!

პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!

ალოიე — აიეტის კიდევ ერთი ძმა, მოიხსენიება როგორც „დაფქვილი პურის ღმერთი“!

აიეტის დები:

ქალიფსო (კალიფსო) — ანუ „ქალი ფსოუდან“, მოიხსენიება როგორც ქალღმერთთა ღმერთი, რომელიც ფლობდა კუნძულ ოგიგიას ხმელთაშია ზღვის დასავლეთში!

ფაცია (ფასოფეა) — მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედაა!

ცირა (ცირცეა) — კუნძულ ეას (აიას) ოქროსფერთმიანი დედოფალი, რომელიც თითქმის ყველა ევროპელი ხალხის მითიურ დედად ითვლება! (ცირა ითვლება იტალიის პირველი მეფის ავსონის დედად; ასევე დედად იტალიისა, რომლის სახელითაც აპენინის ნახევარკუნძულს დღეს მთელი მსოფლიო „იტალიას“ უწოდებს და ა.შ)

და ვინ იყვნენ ამ დროს „არგონავტები“, უძველესი ბერძნული ცივილიზაციის წარმომადგენლები? არა! ეს დასტურდება უპირველეს ყოვლისა მარტივი ქრონოლოგიით.

მარტივად ავხსნათ — ზუსტად ვიცით, რომ ბერძნებმა ტროას უძველესი პროტოქართული ცივილიზაცია ჩვ. წ. აღმდე მე-13 საუკუნეში დაამხეს, „არგონავტები“ კი ამ მოვლენებამდე, სულ ცოტა, რამდენიმე ასეული წლით ადრე ეწვივნენ კოლხეთს. ანუ ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნებს ჯერ არ ჰყავდათ არც „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტე, არც უდიდესი მოაზროვნე პლატონი და არც „ილიადას“ ავტორი ჰომეროსი.

ბერძნები ძალიან იყვნენ დაინტერესებული „ოქროს საწმისით“, რაც ბუნებრივია, უბრალოდ, ოქროსფრად მოელვარე ცხვრის ტყავი კი არა, ისეთი განსაკუთრებული რამ იყო, რის გარეშეც ბერძნებს აღარ შეეძლოთ არსებობა!

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად ვინ არიან არგონავტები:

უფლისწული იაზონი, ჰერაკლე (ზევსის შვილი), თეზევსი (ასევე ზევსის შვილი და ათენის დამაარსებელი), პროკრუსტე, სიზიფე, ლაერტი, პოლიდევკი, ავგეა (ცნობილი თავლების მეპატრონე), ავთოლიკე (ელინებს შორის უეშმაკესი და უფლიდესი ღმერთის, ჰერმესის შვილი), ასკლეპიოსი (მედიცინის ღმერთი), ანთეოსი, ორფეოსი (პოეტთა პოეტი), კენეუსი (რომელიც ქალად იყო გარდასახული) და ათობით ასეთი ღმერთი თუ ნახევრად ღმერთი — ზევსის, პოსეიდონის, აპოლონისა და დიონისეს შვილები.

მოკლედ, რომ ვთქვათ, „არგონავტები“ სხვა და სხვა ეპოქის მსოფლიო ნაკრები ყოფილა და როგორ მოხვდებოდნენ ერთ ხომალდზე? — ეს უკვე მითიც აღარ არის, ხელისგულზე გადაშლილი სიყალბეა... „არგონავტების“ მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება იყო და არის როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აფერა და ამასთანავე, დადასტურებული დანაშაული!

**(გაგრძელება იქნება)**



1. ქალაქი ინგლისში
2. შეჯიბრის ფინალის მონაწილე
3. . . . ცვაიგი
4. შეშხუნა ღვინო
5. მთის ფერდობზე მოწყობილი რკინიგზა
6. სურვილის შემსრულებელი ჯადოსნური თვალი
7. ანდამატი
8. თოფის სამიზნე
9. ფეხბურთის უკრაინელი მწვრთნელი
10. ყურებთან ჩამოშვებული გრძელი თმები
11. მდინარე ციმბირში
12. „ჩელსის“ ფრანგი ფეხბურთელი
13. მოკლე ზედა სამოსი
14. დელონი ფილმში „... და მისი ძმები“
15. ფრანგული ყველი
16. დარტანიანის მშობლიური მხარე
17. ოპერის ბერძენი მომღერალი მარია . . .
18. იტალიური ავტომობილი
19. შაკიკი ანუ . . .
20. ფრანგი მსახიობი ანუკ . . .
21. საგუშაგო, სადარაჯო პუნქტი
22. ხმელი ტოტის ჩამონატეხი
23. საცეკვაო კაბარეში
24. ტვირთის ასაწევი კიდული მოწყობილობა
25. ოპტიკური ხელსაწყო
26. არაბების ბატონობის ხანა
27. ყელის ნაწილი
28. წელზე შესაკრავი ელასტიკური ღვედი
29. ჟალუზების ფირმა
30. კურორტი ქობულეთში
31. დიდი მატყუარა პერსონაჟი ზღაპრიდან
32. სამკურნალო დაწესებულება
33. სახელმწიფო სამხ. აღმ. აზიაში
34. ნაწილობრივ სიბნელე
35. ჰიტლერის ცოლი ევა . . .
36. ფასის ყოველი აწევა აუქციონზე



37. უმოქმედო, არაენერგიული
38. ჭკუასუსტების სამკურნალო დაწესებულება
39. დასასვენებელი ტყე ქალაქთან
40. . . . სტოუნი
41. საკანცელარიო ნივთი
42. ჟურნალისტის როლში „რომაულ არდადეგებში“
43. ავტონომია რუსეთის ფედერაციაში
44. იაპონური ტექნიკა
45. ღვიძლის სამკურნალო მცენარე
46. ყველა დროის საუკეთესო ამერიკელი ჰოკეისტი
47. გამაყრუებელი ხმაური
48. ლატვიის დედაქალაქი
49. მხატვარი დინარა . . .
50. „ბარსელონას“ კაპიტანი
51. ინგლისური გაზეთი
52. საპირფარეშოს დგამი
53. „გაზაფხული შემოსულა . . .“
54. „ბაიერნის“ ფეხბურთელი
55. ნუსხა
56. ფილმი პიტისა და რობერტსის მონაწილეობით
57. მამული ლათინურ ამერიკაში
58. ბერძნული საბრძოლო ეტლი
59. ქალაქი ისრაელში
60. ამერიკის მეტსახელი
61. „მილანის“ ფეხბურთელი
62. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა
63. ნაქსოვი გადასაფარებელი
64. ქამანდი
65. ფულის შესანახი ყუთი
66. მოაჯირის სვეტი



## თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზ | | | | | ■ | ■ | ■ | | ■ | პ | ო | ნ | ჩ | ო |
| უ | ■ | ■ | ■ | | | ბ | | | ■ | | ■ | ■ | ■ | |
| თ | | | | | ■ | ო | ■ | | ■ | | | | | |
| ხ | ■ | | ■ | | ■ | ქ | | | | | ■ | | ■ | |
| ი | | | | | ■ | ს | ■ | | ■ | | | | | |
| ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | ი | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ |
| ძ | გ | ი | დ | ე | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ჯ | | | | |
| | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | | ე | ■ | ■ | ■ | |
| | ■ | | | | | | ■ | | ■ | რ | | | | |
| | ■ | | ■ | | ■ | | | | | ო | ■ | ■ | ■ | |
| | | | | | ■ | | ■ | | ■ | მ | | | | |
| ■ | ■ | | ■ | ■ | ლ | ი | ტ | ა | ო | ■ | ■ | | ■ | ■ |
| კ | | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | | | | | |
| უ | ■ | ■ | ■ | | | | | | ■ | | ■ | | ■ | |
| ჩ | | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | დ | რ | ა | ჟ | ე |
| მ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | | | ■ | ■ | ■ | |
| ა | | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | |

შვეულად: აგატა, აბელი, ეკალა, ვინტი, ნადია, ობამა, ოზონი, ონილი, პაწია, სათლი, ტეტია, უფიცი, შონია, ცოდნა, ძაბრი, ხამსა, ჰურია.

თარაზულად: აბატი, აბელი, აფსკი, გაბრო, ზურნა, თავლა, თამრო, იანკა, იორღა, კიანუ, მუშტი, ნანკა, ჟამნი, რემბო, სახრე, ფიშტო, ქინძი, ჩანგი, წრომი, ჯვალო, ჰააგა.

## საიდან ერთი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 1 | ■ | 2 | ■ | 3 | | 4 | | 5 | | | 6 |
| 7 | | | | | | ■ | | ■ | | ■ | ■ | |
| ■ | | ■ | | ■ | 8 | | | | | | | |
| 9 | | | | | | ■ | | ■ | | ■ | ■ | |
| ■ | | ■ | | ■ | 10 | | | 11 | | 12 | | |
| 13 | | 14 | | 15 | | ■ | ■ | | ■ | | ■ | |
| | ■ | | ■ | | ■ | 16 | | | | | | ■ |
| 17 | | | | | | ■ | ■ | | ■ | | ■ | 18 |
| | ■ | | ■ | | ■ | 19 | | | | | | |
| 20 | | | | | | ■ | ■ | | ■ | | ■ | |
| | ■ | | ■ | | ■ | 21 | | | | | | |

შვეულად: 1. კედელი, სახელო, ბულონი. 2. დუქანი, დეგოლი, დალასი. 3. სიგარა, წამალი, მეთოდი. 4. ტატრა, ტანგო, ტალკი. 5. ლავრა, კანჭი, ჯართი. 6. ადამსი, ერეკლე, იდილია. 11. პასკალი, კარმენი, კოსმორი. 12. რექსონა, ბარკასინ შანდალი. 13. გარეჯი, ვისოლი, ჭედილა. 14. ბახუსი, კატერი, ნიკოლო. 15. ცამეტი, პუდელი, მანათი. 18. კროუ, ჭუკი, ჩითი.

თარაზულად: 3. საგარეჯო, სამოვარი სატელიტი. 7. ბაბალე, ჯუღელი, ფერარი. 8 კაროკანი, გალავანი, დედალოსი. 9. ტოროლა, კურარე, ბერიკა. 10. პარასოლი, შორაპანი, რიიკარდი. 13. ვინიცა, სახელო, ხელობა. 16. დალაქი, ბარაქა, კოზირი. 17. დუმილი, ღალატი, სიკიძი. 19. კლარუსი, ელერონი, პროცესი. 20. მამალი, ლოლიტა, ტიტიტნი. 21. პრომეთე, ყვარელი, კვიმატი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 23 | ■ | 6 | ■ | 13 | 9 | 20 | 9 | 17 | 9 | ■ |
| 33 | 25 | 19 | 5 | 17 | 2 | ■ | 5 | ■ | 9 | ■ | 16 |
| ■ | 31 | ■ | 1 | ■ | 29 | 7 | 17 | 9 | 13 | 1 | 2 |
| 30 | 25 | 28 | 5 | 6 | 9 | ■ | 20 | ■ | 24 | ■ | 4 |
| ■ | 17 | ■ | 14 | ■ | 8 | 9 | 2 | 26 | 9 | 12 | 5 |
| 27 | 2 | 27 | 2 | 4 | 2 | ■ | 4 | ■ | ■ | ■ | 1 |
| 9 | ■ | 9 | ■ | 5 | ■ | 15 | 2 | 4 | 9 | 21 | 2 |
| 18 | 5 | 22 | 11 | 2 | ■ | 9 | ■ | 5 | ■ | 25 | ■ |
| 14 | ■ | 2 | ■ | 30 | 7 | 24 | 5 | 33 | 7 | 17 | 2 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 2 | ■ | 25 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ |
| ■ | 17 | ■ | 2 | ■ | 3 | ■ | 12 | ■ | 23 | ■ | 28 |
| 29 | 25 | 13 | 10 | 14 | 2 | ■ | 5 | ■ | 22 | ■ | 9 |
| ■ | 6 | ■ | 9 | ■ | 13 | 9 | 21 | 4 | 2 | 13 | 2 |
| ■ | 30 | ■ | ■ | ■ | 24 | ■ | 4 | ■ | 15 | ■ | 1 |
| 32 | 2 | 32 | 2 | 13 | 2 | ■ | 9 | 4 | 9 | 15 | 2 |

| | |
|---|---|
| ა–9 | ს–3 |
| ბ– | ტ– |
| გ– | უ–7 |
| დ–24 | ფ– |
| ე– | ქ– |
| ვ– | ღ– |
| ზ– | ყ– |
| თ– | შ– |
| ი–2 | ჩ– |
| კ– | ც– |
| ლ– | ძ– |
| მ– | წ–27 |
| ნ– | ჭ– |
| ო–25 | ხ– |
| პ– | ჯ– |
| ჟ– | ჰ– |
| რ–17 | |

## ეთუნა შაიშმელაშვილს



ჩემს უძვირფასეს შვილს ვულოცავ 9 წლის იუბილეს.

ეთუნა, ჩემო სიყვარულო, გფარავდეს უფალი და დედაღვთისმშობელი მარად. შენ ხარ ჩემი ერთადერთი, ყველაზე დიდი სიხარული, გახსოვდეს მუდამ, შენს თითოეულ ფიქრს, სითბოს და სულის ღიმილებს სათითაოდ ვითვლი, რომელიც მარგალიტებად ავკინძე და გულზე მივიბი...

ამ ქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ!

შენი დედიკო
თეა შაიშმელაშვილი

პატარა ეთუნა შაიშმელაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე ქვეყნის სასახელო ქალი, გისურვებთ ბედნიერებას.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია


## ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001


## ენდეთ ლელას, გიმკურნალებთ!

ლელა დეკანოსიძე ნათლიამ (ლეილა ნადირაძემ) პატარაობიდანვე აზიარა წამალთმცოდნეობას. მოგვიანებით ნათლიამ თავისი რეცეპტები გადასცა და უთხრა: „თავის დროზე ეს „განძი“ დეიდაჩემმა გადმომცა და, იცი შენ, რამდენი გაჭირვებული მიხსნია უანგაროდ, მე არ მიფიქრია ამით გამდიდრება, არც შენ ხარ გულხარბი და ვიცი, ვის ხელშიც ვტოვებ ამ ჩანაწერებს“.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვიდრე შვილები პატარები ჰყავდა, ლელამ თავისი ცოდნის რეალიზაცია ვერ მოახერხა. მაგრამ, როცა შვილები თავის გზას დაადგნენ, უფრო მეტი დრო დაუთმო სამკურნალო ბალახებს და ახლა მრავალი მადლიერი ადამიანის თბილი სიტყვებით იხალისებს ცხოვრების შემოდგომას. თუკი ვინმეს აწუხებს სოკო, ბუასილი, ქუსლებზე ნახეთქები, სახსრები, კუჭ-ნაწლავი, ჩირქოვანი გამონაყრები, ღრძილების დაავადებანი, ნაწოლები და სხვა, ლელას მალამოები უებარი წამალია. და რაც მთავარია, დაავადების ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური მალამოების დამზადება მრავალ ფიტოთერაპევტს არ ეხალისება, მაგრამ ლელას პირიქით, ასეთი მიდგომა ავადმყოფისადმი აუცილებლად მიაჩნია.

ლელას უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული თავისი მალამოებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლელა დეკანოსიძეს შემდეგ ნომრებზე:
571 05-94-39; 593 64-63-03; 2 67-32-06

## davexmarot jaba bojguas!



საბანკო ანგარიშია GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების მსურველებმა ბილაინის და მაგთის აბონენტებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია

## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

## ფრანგულ-ქართული საბავშვო ბაღი „პატარა უფლისწული“




ბაღი ფუნქციონირებს 2014 წლის 15 სექტემბრიდან. ბაღის სასიამოვნო გარემოში ბავშვები სწავლობენ ფრანგულს და აქვთ ხატვის, სიმღერის, ცეკვის, ჭადრაკის და თეატრალური თამაშების გაკვეთილები.პარატებს გაკვეთილებს უტარებენ სენტ ეგზიუპერის ფრანგული კოლეჯის გამოცდილი მასწავლებლები.

„პატარა უფლისწული“ იღებს 3 დან 5 წლამდე ბავშვებს და მუშაობს 10 საათიდან 7 საათამდე.

დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:
595 727979 – ირინა ტერელაძე;
599 224328 – ქეთევან იოსელიანი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 11

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ამ კვირში პროფესიონალური წინსვლა გელით. კონკრეტულად ეს შეიძლება იყოს ახალი სამუშაო ადგილი ან გასამრჯელოს მომატება.

**კურო** – მიმდინარე პერიოდში მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და შარმი, ეს კი საწინააღმდეგო სქესი ადამიანებს თქვენდამი სიმპათიით განაწყობს.

**ტყუპები** – თუ თქვენ გათავისუფლდებით გაორებისგან და ამასთან კონცენტრაციასაც მოახერხებთ, შესაძლოა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოთ.

**კირჩხიბი** – კვირის პირველ ნახევარში მოსალოდნელია გარკვეული პრობლემები გაგიჩნდეთ და ეს, ძირითადად, დაკავშირებული იქნება თქვენს ემოციურ მდგომარეობასთან.

**ლომი** – მოერიდეთ მარტო მოქმედებას, თვით იდეებსაც მარტო ნუ დაგეგმავთ. ნებისმიერ საქმიან ურთიერთობაში უშუალობა და საქმისადმი პროფესიული მიდგომა გამოავლინეთ.

**ქალწული** – ამ პერიოდში მიიღებთ მეტად საჭირო ინფორმაციას, რომელიც თქვენს კარიერას სასიკეთოდ წაადგება, თუმცა ეს ინფორმაცია პრაქტიკულად უნდა გამოიყენოთ.

**სასწორი** – ამ კვირაში ნუ გამოიჩენთ ამბიცურობას და საკუთარ თავზე ნურც ზედმეტ პასუხისმგებლობას აიღებთ.

**მორიელი** – ნებისმიერ უმნიშვნელო წვრილმანს სერიოზულად მიუდექით, რათა უყურადღებობის გამო საბედისწერო შეცდომები არ დაუშვათ.

**მშვილდოსანი** – შესაძლებელია, საქმიანი ურთიერთობები დროებით დამუხრუჭდეს და იძულებით ცვლილებების გაკეთებაც მოგიწიოთ. ნუ აბობოქრდებით და პარტნიორებს ნუ დაუპირისპირდებით.

**თხის რქა** – იყავით აქტიური, ორიგინალური და ნებისმიერ ურთიერთობებში გულწრფელობა გამოიჩინეთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს გარშემომყოფებს გაუჩნდებათ სურვილი თქვენთან ურთიერთობა გაწყვიტონ.

**მერწყული** – ამ კვირაში თქვენი ყურადღება მთლიანად ოჯახურ პრობლემებზე გადაერთვება. ეს კი სამსახურებრივ საქმეებს დროებით უკან გადასწევს.

**თევზები** – მიმდინარე კვირაში „დასაჯდომად“ ნამდვილად ვერ მოიცლით და მთელ თქვენს ენერგიას ახალ და ამასთან, საინტერესო იდეების განხორციელებაზე დახარჯავთ.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:
#### სკანვორდი

1. მანჩესტერი. 2. ფინალისტი. 3. შტეფან. 4. შამპანური. 5. ფუნიკულიორი. 6. ნატვრისთვალი. 7. მაგნიტი 8. კორა. 9. ლობანოვსკი. 10. კიკინები. 11. ლენა. 12. ანელკა. 13. კურტაკი. 14. როკო. 15. ემენტალი. 16. გასკონია. 17. კალასი. 18. ლამბორჯინი. 19. მიგრენი. 20. ემე. 21. პოსტი. 22. ჩხირი. 23. კანკანი. 24. ტალი. 25. დურბინდი. 26. არაბობა. 27. სასა. 28. ბანდაჟი. 29. დიო. 30. ჩაქვი. 31. ქოსატყუილა. 32. დისპანსერი. 33. სინგაპური. 34. ბინდი. 35. ბრაუნი. 36. ბიჯი. 37. პასიური. 38. საგიჟე. 39. ტყეპარკი. 40. შერონ. 41. სკრეპი. 42. პეკი. 43. ინგუშეთი. 44. პანასონიკი. 45. ნეგო. 46. გრეცკი. 47. გრუხუნი. 48. რიგა. 49. ნოდია. 50. პუიოლი. 51. ობსერვერი. 52. პისუარი. 53. ლენ. 54. ოდო. 55. სია. 56. მექსიკელი. 57. ესტანსია. 58. კვადრიგა. 59. იერუსალიმი. 60. იანკი. 61. პატო. 62. სადკო. 63. პლედი. 64. ლასო. 65. სალარო. 66. რიკული.

ISSN 2233-3983
9 772233 398001